

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა - „განათლების მეცნიერებები“

თეა გერგედავა

„უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია: სტუდენტთა პროფესიული და
ტრანსფერული უნარების განვითარება ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ-
მობილობის ფარგლებში (თსუ-ის შემთხვევის შესწავლა)“

განათლების მეცნიერებების დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად
წარმოდგენილი დისერტაცია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა გრძელიძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
ასოცირებული პროფესორი, თსუ

თბილისი

2025

სარჩევი

შესავალი	1
თავი I. თეორიულ-კონცეპტუალური ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა	7
1.1. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე ტენდენციები	7
1.2. სტუდენტთა მობილობის როლი და ტიპოლოგია	13
1.3. ტრანსფერული და პროფესიული უნარები.....	24
1.4. თეორიული ჩარჩო	40
თავი II. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია	51
2.1. კვლევის ეტაპები	51
2.2. თვისებრივი კვლევის სტრუქტურა	55
2.3. რაოდენობრივი კვლევის სტრუქტურა	58
2.4. კვლევის ეტაპები	64
2.5. მონაცემთა დამუშავება.....	66
თავი III. კვლევის შედეგები და ანალიზი.....	67
3.1. თვისებრივი კვლევის ანალიზი და მიგნებები	67
3.2. მიგნებების თემატური ანალიზი.....	68
3.3. ზოგადი სარგებელი ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში	70
3.4. პიროვნული განვითარება: მობილობის პროგრამის გავლენა სტუდენტის ინდივიდუალურ ზრდაზე	72
3.5. პროფესიული კომპეტენციების განვითარება.....	74
3.6. ინტერკულტურული და სოციალური უნარების განვითარება	75
3.7. სტუდენტთა მობილობის მაჩვენებლები თსუ-ში	77
3.8. ფოკუს-ჯგუფების ანალიზი და მიგნებები.....	78
3.9. აკადემიური პერსონალის შეფასება: პიროვნული და პროფესიული განვითარება.....	83
3.10. სტუდენტების თვითშეფასება პიროვნული და პროფესიული ზრდის შესახებ	85
3.11. უნარების განვითარების ხარისხობრივი შეფასება	88
3.12. ტრანსფერული უნარების ინდიკატორების შეფასება და ანალიზი	90
თავი IV. რაოდენობრივი კვლევა. ძირითადი მიგნებები და ანალიზი	94
4.1. კვლევის მიზანი.....	94
4.2. კვლევის ლოგიკა	95
4.3. კვლევის მონაწილეები	95
4.4. კვლევის სტრუქტურული მიდგომა	96
4.5. კვლევის შედეგები და ანალიზი.....	97
4.6. ენის შესწავლის მხარდაჭერის ფორმები და ტრანსფერული უნარების განვითარება.....	103
4.7. პროფესიულ-ტრანსფერული უნარების განვითარება: ANOVA ანალიზის შედეგები.....	105
4.8. მოტივაციური და კარიერული განწყობების განსხვავებები მობილობის სტატუსის მიხედვით	108

4.9. სტუდენტთა თვითშეფასება მობილობის გავლენაზე სოციალურ და პროფესიულ განზომილებებში	112
4.10. შრომითი ფასეულობები და სამსახურისადმი დამოკიდებულება	115
4.11. თვითეფექტურობის ცვლილება Erasmus+ მობილობის გამოცდილების შედეგად	116
4.12. თვითეფექტურობის ანალიზი: რაოდენობრივი შედეგები	118
4.13. თვითეფექტურობის ინდივიდუალური კომპონენტების ანალიზი	120
4.14. მობილობის სტატუსის გავლენა პიროვნულ მახასიათებლებზე	121
4.15. მობილობის გამოცდილებისა და არჩევის სტრატეგიების ურთიერთკავშირი	125
4.16. ტრანსფერული უნარების ინდიკატორების შეჯამება რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე	131
თავი V. დასკვნა	135
თავი VI. რეკომენდაციები	145
6.1. რეკომენდაციები ინსტიტუციური პოლიტიკის დონეზე	145
6.2. რეკომენდაციები აკადემიური კურიკულუმის დონეზე	146
6.3. რეკომენდაციები სტუდენტური განვითარებისა და მხარდაჭერის მიმართულებით	147
6.4. რეკომენდაციები პოლიტიკისა და კვლევის დონეზე	148
გამოყენებული ლიტერატურა	155
დანართი 1. დემოგრაფიული მონაცემები - განაწილება რეგიონების მიხედვით	166
დანართი 2. მიღწეული შედეგების კავშირი პოლიტიკასთან და საგანმანათლებლო პრაქტიკასთან	169

აბსტრაქტი

გლობალიზაციისა და საგანმანათლებლო ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში, უმაღლესი განათლების ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება სტუდენტთა პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარებაა. მოცემული დისერტაცია მიზნად ისახავს Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის გავლენის შეფასებას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) სტუდენტების პროფესიულ და ტრანსფერულ კომპეტენციებზე.

კვლევაში გამოყენებულია შერეული, კონვერგენტულ-პარალელური დიზაინი, რომელიც აერთიანებს როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისებრივ მეთოდებს. რაოდენობრივი კომპონენტი მოიცავს 355 სტუდენტის გამოკითხვას სამ განსხვავებულ ჯგუფში (მობილობაში მონაწილე, მხოლოდ მობილობის კონკურსში მონაწილე და არამონაწილე), ხოლო თვისებრივი ანალიზი ფოკუსირებულია ფოკუს-ჯგუფისა და ინტერვიუების მეშვეობით მიღებულ სიღრმისეულ მონაცემებზე. კვლევაში გამოყენებულია ისეთი თეორიული ჩარჩოები, როგორიცაა გამოცდილებითი სწავლების თეორია (Kolb), ტრანსფორმაციული სწავლების თეორია (Mezirow), სოციოკულტურული სწავლების თეორია (Vygotsky), ჰუმანური სწავლების პრინციპები (Rogers) და ინტერკულტურული კომპეტენციის მოდელი (Deardorff).

კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მხოლოდ მობილობის კონკურსში მონაწილეობა არ იწვევს სტუდენტური უნარების არსებით ცვლილებას, მაშინ როცა Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში უშუალოდ მონაწილეობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თვითეფექტურობაზე, აკადემიურ თვითმართვაზე, ინტერკულტურულ სენსიტიურობაზე, სოციალური რესურსების გამოყენების უნარზე და პროფესიული კომპეტენციების განვითარებაზე. სტუდენტები მობილობის შემდეგ ავლენენ უფრო ცხად კარიერულ ხედვას, გაზრდილ პასუხისმგებლობას, კომუნიკაციისა და კრიტიკული აზროვნების გაუმჯობესებულ უნარებს.

დისერტაცია ხაზგასმით აჩვენებს, რომ Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობა არის ტრანსფორმაციული საგანმანათლებლო მექანიზმი, რომელიც სტუდენტთა პიროვნული, პროფესიული და სამოქალაქო განვითარებისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რესურსს წარმოადგენს. აღნიშნული მიგნებები მნიშვნელოვან

საფუძველს ქმნის პოლიტიკის შემუშავებისთვის საერთაშორისო მობილობის ხელშეწყობისა და მაღალი ხარისხის საგანმანათლებლო გამოცდილების უზრუნველყოფის კუთხით.

საკვანძო სიტყვები: ინტერნაციონალიზაცია, პროფესიული უნარები, ტრანსფერული უნარები, მობილობა, თვითეფექტურობა, ინტერკულტურული კომპეტენცია, Erasmus+

Abstract

Title: "University Internationalization: Development of Students' Professional and Transferable Skills through ERASMUS+ International Credit Mobility (A Case Study of TSU)"

In the era of globalization and educational internationalization, one of the core priorities of higher education is the development of students' professional and transferable skills. This dissertation assesses the impact of the Erasmus+ International Credit Mobility (ICM) program on the students of Ivane Javakhishvili Tbilisi State University (TSU). Employing a convergent parallel mixed-methods design, the study integrates both quantitative data (N=355) and qualitative findings derived from in-depth interviews and focus group discussions.

The results reveal that direct participation in the Erasmus+ ICM program significantly enhances students' self-efficacy, intercultural competence, professional readiness, and levels of social engagement. Grounded in a robust theoretical framework (Kolb, Mezirow, Vygotsky, Rogers, Deardorff), the findings confirm that mobility serves as a transformative educational experience influencing not only academic success but also personal and civic development.

Based on the evidence, Erasmus+ ICM program is positioned as a strategic tool for advancing international integration, improving the quality of education, and strengthening students' global employability.

Keywords: Internationalization, Professional Skills, Transferable Skills, Mobility, Self-Efficacy, Intercultural Competence, Erasmus+

შესავალი

თანამედროვე მსოფლიო საგანმანათლებლო სივრცეში ინტერნაციონალიზაცია უმაღლესი განათლების ხარისხისა და ეფექტიანობის გაზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სტრატეგიად გვევლინება. ის მოიცავს როგორც აკადემიური პერსონალის, ისე სტუდენტების პროფესიული და პიროვნული განვითარებისთვის ხელშემწყობ მრავალფეროვან მექანიზმებს, რომელთა შორის წამყვან ადგილს იკავებს **Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამა**.

აღნიშნული პროგრამა წარმოადგენს ევროკომისიის მიერ მხარდაჭერილ საგრანტო ინიციატივას, რომლის მიზანია სწავლისა და პროფესიული გამოცდილების მიღების ხელშეწყობა სხვა ქვეყანაში, სტუდენტის მშობლიური უნივერსიტეტის პარტნიორ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ის განიხილება არა მხოლოდ როგორც მობილობის მექანიზმი, არამედ, როგორც აკადემიური სივრცის განვითარებისა და კულტურათაშორისი კომპეტენციების განვითარების ინსტრუმენტი.

Erasmus+ პროგრამა უნივერსიტეტებისთვის ორ ძირითად კომპონენტად იყოფა:

- **აკადემიური თანამშრომლობა**, რომელიც ითვალისწინებს ინსტიტუციურ პარტნიორობას აკადემიურ და არასამთავრობო სექტორში მონაწილე ორგანიზაციებს შორის;
- **აკადემიური მობილობა**, რომელიც მოიცავს როგორც სტუდენტთა, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის გაცვლით პროგრამებს.

სტუდენტური მობილობის მიმართულებით, პროგრამა ორი ფორმით განხორციელდება:

- **საერთაშორისო კრედიტ-მობილობა (International Credit Mobility – ICM):** სტუდენტების მოკლევადიანი მობილობა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე;
- **მობილობა ხარისხის მოპოვების მიზნით:** ერთობლივი სამაგისტრო პროგრამები (Joint Master's Degree Programs – JMD), რომლებიც ბაკალავრის ხარისხის მქონე აპლიკანტებისთვისაა ხელმისაწვდომი.

ამ პროგრამის როლი უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობისაა; მისი გავლენა იკვეთება არა მხოლოდ აკადემიური ხარისხისა და საგანმანათლებლო მიღწევების კონტექსტში, არამედ პროფესიული, სოციალური და ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარების ჭრილში. Erasmus+ პროგრამის საშუალებით სტუდენტებს ეძლევათ უნიკალური შესაძლებლობა, განივითარონ ტრანსფერული უნარები, როგორცაა: კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარი, ეფექტური კომუნიკაცია, თანამშრომლობა მრავალკულტურულ გარემოში და თვითრეგულაცია. აღნიშნული კომპეტენციები უმნიშვნელოვანესია თანამედროვე გლობალურ შრომით ბაზარზე კონკურენტუნარიანობისთვის და ეფექტური პროფესიული იდენტობის ჩამოსაყალიბებლად. შესაბამისად, კვლევით დასაბუთებული ანალიზი, თუ როგორ და რა პირობებში აისახება მობილობის გამოცდილება სტუდენტების განვითარების კონკრეტულ კომპონენტებზე, წარმოადგენს როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად მნიშვნელოვან საკითხს. წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომი მიზნად ისახავს, გააანალიზოს და შეაფასოს Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის გავლენა სტუდენტების პროფესიულ და ტრანსფერულ უნარებზე თსუ-ის (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის) პრაქტიკისა და გამოცდილების კვლევის საფუძველზე.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანია, შეისწავლოს Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის გავლენა სტუდენტთა პროფესიულ და ტრანსფერულ უნარებზე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (თსუ) მაგალითზე. კვლევა მიზნად ისახავს პროგრამის რეალური ეფექტის ანალიზს სტუდენტთა აკადემიური თვითმართვის, პროფესიული ეფექტურობის, ინტერკულტურული კომპეტენციებისა და პიროვნული ტრანსფორმაციის ჭრილში.

კვლევის ამოცანები

კვლევის მიზნის მისაღწევად დასახული იქნა შემდეგი ამოცანები:

- **თეორიული ჩარჩოს შექმნა**, რომელიც დაეფუძნება გამოცდილებითი, ტრანსფორმაციული, სოციოკულტურული, ჰუმანისტური და ინტერკულტურული სწავლების თეორიებს;
- Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის კომპონენტების ანალიზი სტუდენტთა პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარების თვალსაზრისით;
- თსუ-ის სტუდენტთა გამოცდილების შესწავლა მობილობის პროგრამაში მონაწილეობისას;
- კრიტერიუმებზე დაფუძნებული ინსტრუმენტების შერჩევა და ადაპტაცია თვითეფექტურობისა და უნარების შესაფასებლად;
- რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების შეგროვება და ინტეგრირებული ანალიზი, რათა გამოიკვეთოს მობილობის გავლენა სტუდენტების უნარებზე; მიღებული შედეგების საფუძველზე რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის პროცესის გასაძლიერებლად.

კვლევითი კითხვა

ძირითადი კვლევითი კითხვა:

- რა გავლენას ახდენს Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში მონაწილეობა თსუ-ის სტუდენტების პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე?

დამაზუსტებელი (დამხმარე) კითხვები:

- რა სარგებელი მოაქვს სტუდენტებისთვის Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში მიღებულ გამოცდილებას აკადემიური თვითმართვისა და პროფესიული განვითარებისთვის?
- როგორ განიცდიან სტუდენტები პიროვნულ და პროფესიულ ტრანსფორმაციას მობილობის გამოცდილების საფუძველზე?

- როგორია სტუდენტთა შეფასებები საკუთარ თვითფექტურობაზე, სოციალური ჩართულობის უნარებზე და ინტერკულტურულ კომპეტენციებზე მობილობის გამოცდილების შემდეგ?
- არსებობს თუ არა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება პროფესიული და ტრანსფერული უნარების დონეში მობილობაში მონაწილე და არამონაწილე სტუდენტებს შორის?
- როგორია მობილობის პროგრამის გავლენა სტუდენტების გრძელვადიან კარიერულ ხედვებსა და შრომით ღირებულებებზე?

ტერმინთა განმარტება

ტერმინი	განსაზღვრება / განმარტება
პროფესიული კომპეტენციები (Professional competencies)	დარგობრივი სპეციფიკური ცოდნა, პრაქტიკული უნარები, ეთიკური სტანდარტები და პროფესიული ქცევის ნორმები, რომლებიც საჭიროა კონკრეტულ სფეროში ეფექტური მუშაობისთვის. <i>შენიშვნა:</i> პროფესიული კომპეტენციები განასხვავება ტრანსფერული (გადატანადი) უნარებისგან, რამდენადაც ისინი ეყრდნობა კონკრეტული დარგისთვის აუცილებელ სპეციფიკურ ცოდნასა და პრაქტიკას, მაშინ როცა ტრანსფერული უნარები უფრო ზოგადია და სხვადასხვა კონტექსტში გამოიყენება (მაგ.: კრიტიკული აზროვნება, კომუნიკაცია, თვითორგანიზება).
ტრანსფერული უნარები (Transferable skills)	უნარები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა კონტექსტში - აკადემიურში, პროფესიულსა და სოციალურ გარემოში. მოიცავს კომუნიკაციას, გუნდურ მუშაობას, პრობლემის გადაჭრას, თვითორგანიზებას, ინტერკულტურულ მგრძნობელობას.

ტერმინი	განსაზღვრება / განმარტება
	ტრანსფერული უნარები ფართო და მრავალკონტექსტურად გამოსაყენებელია.
თვითეფექტურობა (Self-efficacy)	ინდივიდის რწმენა საკუთარი შესაძლებლობების მიმართ, რომ შეუძლია კონკრეტული ამოცანების შესრულება ან მიზნების მიღწევა კონკრეტულ გარემოებაში (Bandura, 1997).
სოციალური ჩართულობა (Social engagement)	სტუდენტის აქტიური მონაწილეობა აკადემიურ, კურსგარეშე ან საზოგადოებრივ აქტივობებში, რაც უწყობს ხელს მისი იდენტობის ფორმირებას, კეთილდღეობას და კავშირის დამყარებას საგანმანათლებლო გარემოსთან. იგი ასახავს ურთიერთობებში ჩართულობას, გუნდურობასა და საზოგადოებრივ აქტივობაზე პასუხისმგებლობას (Tinto, 1993; Astin, 1999).
საკუთარ ძალებზე დაფუძნებული აკადემიური უნარები (Academic self-regulation / Self-managed academic competencies)	უნარების ერთობლიობა, რომელიც გულისხმობს აკადემიური მიზნების დაგეგმვას, დროის მართვას, სწავლის სტრატეგიების გამოყენებას და პროგრესის თვითშეფასებას. ამ კომპეტენციებში ასახულია ავტონომიურობა, პასუხისმგებლობა და მიზანმიმართული ქცევა სწავლის პროცესში (Zimmerman, 2002).
მეტაუნარები (Meta-skills)	ფართო უნარების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სხვა უნარების განვითარებას. მოიცავს თვითრეფლექსიას, შემოქმედებითობას, კრიტიკულ აზროვნებას, სწავლის უნარს და ადაპტაციის უნარს.
ინტერკულტურული კომპეტენცია (Intercultural competence)	უნარი და მოტივაცია ეფექტურად და ადეკვატურად იურთიერთო ადამიანებთან სხვადასხვა კულტურული ფონის პირობებში (Deardorff, 2006). მოიცავს ემპათიას, ღია კომუნიკაციას, ტოლერანტობას.

ტერმინი	განსაზღვრება / განმარტება
ტრანსფორმაციული სწავლა (Transformative learning)	სწავლის პროცესი, რომლის შედეგადაც ინდივიდი იძენს ახალ პერსპექტივას, ცვლის საკუთარი აზროვნების ჩარჩოებს და ახლებურად აღიქვამს სამყაროს (Mezirow, 1991).
გამოცდილებითი სწავლა (Experiential learning)	სწავლის მიდგომა, რომელიც ემყარება უშუალო გამოცდილების ანალიზს, რეფლექსიასა და გამოყენებას რეალურ კონტექსტში (Kolb, 1984).
სოციოკულტურული თეორია (Sociocultural theory)	სწავლების თეორია, რომელიც ხაზს უსვამს სოციალურ ინტერაქციას, კულტურულ მედიატორებს და ენის როლს განვითარების პროცესში (Vygotsky, 1978).
ჰუმანისტური სწავლება (Humanistic learning)	განათლების ფილოსოფია, რომელიც ფოკუსირებულია პიროვნულ ზრდაზე, თვითრეალიზაციასა და ავტონომიაზე (Rogers, 1969).
კონვერგენტული შერეული კვლევა (Convergent parallel mixed methods design)	კვლევითი დიზაინი, რომელიც აერთიანებს რაოდენობრივ და თვისობრივ მონაცემებს ერთდროულად, ანალიზს კი პარალელურად და დამოუკიდებლად აწარმოებს მათი ინტეგრაციისთვის.
ინტერნაციონალიზაცია (Internationalization)	პროცესების, სტრატეგიებისა და აქტივობების ერთობლიობა, რომლებიც მიზნად ისახავს საგანმანათლებლო სივრცის გახსნას გლობალური დონისთვის; მოიცავს საერთაშორისო თანამშრომლობას, მობილობას, კულტურულ ინტეგრაციას და სხვა.

თავი I. თეორიულ-კონცეპტუალური ჩარჩო და ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე ტენდენციები

გლობალიზაციის გავლენა უმაღლეს განათლებაზე

გლობალიზაცია, როგორც სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და ტექნოლოგიური პროცესების ურთიერთდაკავშირებული სისტემა, თანამედროვე სამყაროს გარდაქმნის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს წარმოადგენს. მისი ზემოქმედება საგრძნობლად აისახება უმაღლესი განათლების სისტემაზეც, რომელიც აქტიურად ეხმიანება გლობალურ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს.

უმაღლესი განათლება დღეს აღიქმება არა მხოლოდ ეროვნულ დონეზე ცოდნის შექმნისა და გადაცემის ინსტრუმენტად, არამედ გლობალურ სივრცედ, სადაც სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და კვლევითი რესურსები საერთაშორისო დონეზე გადაადგილდება. ამ პროცესში იზრდება საერთაშორისო აკადემიური მობილობისა და უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის როლი.

1. ინტერნაციონალიზაციის დაჩქარება: გლობალიზაციამ მნიშვნელოვნად გააძლიერა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ტენდენცია. უნივერსიტეტები ცდილობენ შექმნან გლობალურად კონკურენტუნარიანი აკადემიური გარემო, რომელიც მორგებულია მრავალკულტურულ კონტექსტზე და უზრუნველყოფს კურიკულუმის ადაპტირებას გლობალური სტანდარტების შესაბამისად (Altbach & Knight, 2007).

2. ცოდნის გლობალური ცირკულაცია და აკადემიური მობილობა: გლობალიზაცია უზრუნველყოფს ცოდნის, იდეების და ინფორმაციის სწრაფ გავრცელებას და საერთაშორისო დონეზე მეცნიერების განვითარების ხელშეწყობას. უმაღლესი განათლების სექტორში იზრდება როგორც სტუდენტთა, ისე აკადემიური პერსონალის მობილობა, რაც ქმნის მულტიკულტურულ საგანმანათლებლო სივრცეს და ხელს უწყობს ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებას (Marginson & Van der Wende, 2007).

3. **ახალი ტექნოლოგიების ინტეგრაცია:** ციფრული ტექნოლოგიების განვითარებამ გაამარტივა საერთაშორისო თანამშრომლობა, კვლევის ინკლუზიურობა და სწავლა-სწავლების ინოვაციური ფორმების დანერგვა. ონლაინ პლატფორმები, MOOCs და დისტანციური სწავლების ფორმატები აყალიბებს ახალ რეალობას, რომელიც შესაძლებელს ხდის განათლებაზე ხელმისაწვდომობას გეოგრაფიული საზღვრების გარეშე (Selwyn, 2016).
4. **ეკონომიკური და შრომითი ბაზრის მოთხოვნები:** გლობალიზაციამ შეცვალა შრომის ბაზრის სტრუქტურა და მოთხოვნები. თანამედროვე კურსდამთავრებულებს მოეთხოვებათ მოქნილი, მრავალმხრივი და ტრანსფერული უნარები, რაც ზრდის მოთხოვნას ისეთ პროგრამებზე, რომლებიც მიმართულია არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის, არამედ პროფესიული და ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებაზე (Brown, Lauder & Ashton, 2008).
5. **გლობალური კონკურენცია და ხარისხის მართვა:** გლობალიზაცია ზრდის კონკურენციას უნივერსიტეტებს შორის, რაც აიძულებს მათ, განავითარონ ხარისხის მართვის მექანიზმები, გაიარონ საერთაშორისო აკრედიტაცია და შეთავაზონ მაღალრეიტინგული პროგრამები, რაც მათ უფრო მიმზიდველს ხდის საერთაშორისო სტუდენტებისთვის (Hazelkorn, 2015).

დასკვნის სახით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ გლობალიზაცია არ არის უბრალოდ საგარეო ფაქტორი უმაღლესი განათლებისთვის, იგი გახდა მისი შიდა ტრანსფორმაციის მამოძრავებელი ძალა. გლობალიზაციის პირობებში უნივერსიტეტები საჭიროებენ ახალ მიდგომებს სტრატეგიულ განვითარებასა და პროგრამების დაგეგმვაში, რათა უზრუნველყონ სტუდენტების აკადემიური, პროფესიული და კულტურული მზაობა გლობალური გამოწვევების საპასუხოდ.

1.1.2. საერთაშორისო მობილობის როლი ინტერნაციონალიზაციაში

საერთაშორისო მობილობა უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთ არსებით კომპონენტად განიხილება. იგი წარმოადგენს პროცესს, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი

მონაწილეობენ სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებში საზღვარგარეთ, რაც მათ საშუალებას აძლევს გაიდრმავონ პროფესიული, კულტურული და აკადემიური გამოცდილება. საერთაშორისო მობილობა, განსაკუთრებით ისეთი პროგრამების მეშვეობით, როგორიცაა Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობა, არის ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკული განხორციელების მექანიზმი, რომელიც აძლიერებს უნივერსიტეტების გლობალურ ჩართულობასა და საერთაშორისო პარტნიორობას.

ინტერნაციონალიზაციის თანამედროვე მიდგომები მობილობას, როგორც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას სტუდენტების ინტერკულტურული კომპეტენციის, ტრანსფერული და პროფესიული უნარების გასაძლიერებლად. ამ პროცესში უნივერსიტეტები აღარ განიხილებიან მხოლოდ ლოკალური განათლების ცენტრებად, ისინი გლობალური საგანმანათლებლო სივრცის აქტიური მონაწილეები ხდებიან.

მობილობის გავლენა უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკაზე

საერთაშორისო მობილობა უნივერსიტეტებს ეხმარება გაზარდონ თავიანთი საერთაშორისო ცნობადობა და განავითარონ სტრატეგიული პარტნიორობა უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან. საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების წარმატებული განხორციელება ასევე წარმოადგენს ინსტიტუციური აკადემიური და ადმინისტრაციული განვითარების საფუძველს. უნივერსიტეტებისთვის, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო მობილობის პროგრამებში, ეს მექანიზმი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და კურიკულუმის მოდერნიზაციის შესაძლებლობას ქმნის.

მობილობის გავლენა სტუდენტურ გამოცდილებაზე

საერთაშორისო მობილობა მნიშვნელოვნად აყალიბებს სტუდენტთა გამოცდილებას. იგი აძლიერებს ისეთ უნარებს, როგორიცაა:

- დამოუკიდებელი სწავლა და გადაწყვეტილების მიღება,
- მრავალენოვანი კომუნიკაცია,
- ინტერკულტურული სენსიტიურობა,
- კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება.

კვლევების თანახმად (Teichler, 2017; Souto-Otero et al., 2019), სტუდენტები, რომლებიც მონაწილეობენ მობილობის პროგრამებში, უკეთესად არიან მომზადებული გლობალური შრომის ბაზრის გამოწვევებისთვის და იჩენენ მეტ აქტიურობას სოციალურ, სამოქალაქო და პროფესიულ ცხოვრებაში.

საერთაშორისო მობილობა არის არა მხოლოდ ინდივიდუალური განვითარების საშუალება, არამედ სისტემური ინსტრუმენტი, რომელიც განსაზღვრავს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის დონეს. იგი ერთდროულად აძლიერებს სტუდენტების, პერსონალისა და ინსტიტუციური კულტურის გლობალურ ორიენტაციას და წარმოადგენს მნიშვნელოვან სტრატეგიულ რესურსს განათლების საერთაშორისო სივრცეში ინტეგრაციისთვის.

1.1.3. ინტერნაციონალიზაციის მოდელები და სტრატეგიები

უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაცია მრავალგანზომილებიანი პროცესია, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის მიზამნიმართულ ქმედებებს ინსტიტუციური პოლიტიკის, პროგრამებისა და ქმედებების გლობალურ სივრცესთან ინტეგრაციის მიზნით. მისი სტრატეგიული განხორციელება ეფუძნება სხვადასხვა თეორიულ და პრაქტიკულ მოდელს, რომლებიც უმაღლესი განათლების სისტემას მძლავრ ინსტრუმენტებად აყალიბებს გლობალური კონკურენტუნარიანობის გასაზრდელად (Knight, 2004; de Wit, 2020).

ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ევროპულ უმაღლეს განათლებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს როგორც ინსტიტუციური ღირებულებების, ისე მობილობის მექანიზმების ჩამოყალიბებაში (Curaj et al., 2020). კვლევებით დასტურდება, რომ ინტერნაციონალიზაცია აღარ განიხილება მხოლოდ გარე პარტნიორობით ან მობილობის რაოდენობრივი ზრდით. ის უფრო და უფრო მიიწევს „კომპლექსური ინტეგრირებული ინტერნაციონალიზაციისკენ“ (comprehensive internationalization), რაც გულისხმობს უნივერსიტეტის სტრატეგიულ მიზნებში ინტერნაციონალიზაციის სრული ინტეგრაციას, მათ შორის აკადემიური პროგრამების, კვლევის, მენეჯმენტის და კულტურის დონეზე (de Wit & Deca, 2020).

ეს მიდგომა თანხვედრაში მოდის Beelen & Jones-ის მიერ აღწერილ ჰოლისტურ მოდელთან, რომლის მიხედვით ინტერნაციონალიზაცია უნდა იყოს უნივერსიტეტის საერთო იდენტობის ნაწილი. ამ კონტექსტში, ის არ არის მხოლოდ მობილობის საშუალება, არამედ ტრანსფორმაციული ინსტრუმენტი, რომელიც ცვლის სწავლების ხარისხს, აკადემიურ ღირებულებებს და კურიკულუმის შინაარსს.

ინტერნაციონალიზაციის მოდელებია:

1. **ფუნქციური მოდელი** - ფოკუსირებულია იმაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს საერთაშორისო აქტივობა უნივერსიტეტის სხვადასხვა განყოფილებაში (Van der Wende, 2001). იგი შეისწავლის მობილობის, ერთობლივი პროგრამების, კვლევითი პარტნიორობებისა და კურიკულუმში ცვლილებების ურთიერთდაკავშირებულობას.
2. **ფაზური მოდელი** - ამ მოდელის მიხედვით, უნივერსიტეტი პირველ ეტაპზე ახდენს საერთაშორისო პარტნიორობების ინიცირებას, შემდგომ ფაზაში ქმნის სტრატეგიულ პოლიტიკას, ხოლო საბოლოო ფაზაში - ინტერნაციონალიზაციას ორგანიზაციული კულტურის ნაწილად აქცევს (Knight, 1994).
3. **ჰოლისტური მოდელი** - ინტერნაციონალიზაციის ამგვარი ხედვა უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურულ ერთეულსა და საქმიანობაში სისტემურ ინტეგრაციას გულისხმობს. აქ ინტერნაციონალიზაცია აღიქმება როგორც კულტურული, აკადემიური და სტრატეგიული ღირებულებების სინთეზი, რომელიც აისახება როგორც მენეჯმენტში, ისე სასწავლო პროცესსა და კვლევაში (Beelen & Jones, 2015).

ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიები

Jane Knight-ის (2008) კლასიფიკაციით, ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიები იყოფა ორ ძირითად მიმართულებად:

1. **საკურიკულუმო სტრატეგიები (Internationalization at home)** აღნიშნული მიდგომა გულისხმობს ინტერნაციონალიზაციის პროცესის განხორციელებას უშუალოდ უნივერსიტეტში, სტუდენტთა მობილობის გარეშე; მიდგომა

ძირითადად მოიცავს უცხო ენებზე სწავლებას, მრავალკულტურულ კურსებს, საერთაშორისო თემატიკის ინტეგრაციას სასწავლო პროგრამაში და უცხოელი სტუდენტებისა და ლექტორების ჩართვას სასწავლო პროცესში (Beelen & Jones, 2015).

2. **გარე სტრატეგიები (Internationalization abroad)** ეს სტრატეგია მიმართულია სტუდენტთა და პერსონალის მობილობაზე, ერთობლივი და ორმაგი ხარისხის პროგრამების განხორციელებაზე, საზღვარგარეთ კამპუსების გახსნაზე და საერთაშორისო კვლევით კოლაბორაციებზე (de Wit & Hunter, 2015).

ამ სტრატეგიების წარმატებით რეალიზებისთვის აუცილებელია ისეთი მენეჯმენტური კომპონენტების არსებობა, როგორიცაა: გლობალური პარტნიორობის მართვის სისტემა, ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის დოკუმენტირება და უნივერსიტეტის ყველა დონეზე ჩართულობა (Hudzik, 2011).

ინტეგრირებული ინტერნაციონალიზაცია

გლობალური კონკურენციის ზრდის ფონზე, უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთი თანამედროვე ტენდენციაა „**ინტეგრირებული ინტერნაციონალიზაცია**“ (comprehensive internationalization), რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და საქმიანობის სრულ ინტერნაციონალიზაციას. ამ მიდგომის ფარგლებში, საერთაშორისო თანამშრომლობა აღიქმება არა როგორც ცალკეული ინიციატივა, არამედ როგორც უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარებისთვის აუცილებელი კომპონენტი (Hudzik, 2011).

საერთაშორისო კრედიტ-მობილობა განიხილება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისთვის. კვლევამ, რომელიც განხორციელდა Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისის მიერ, აჩვენა, რომ საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები საერთაშორისო მობილობის პროგრამას აღიქვამენ როგორც მნიშვნელოვანი ორგანიზაციული და სისტემური განვითარების საშუალებას. მიუხედავად არსებული მიღწევებისა, კვლევა მიუთითებს საჭიროებაზე, რომ მობილობის მიზნები უფრო მკაფიოდ იყოს დაკავშირებული უნივერსიტეტის

სტრატეგიულ ხედვასთან და პრიორიტეტებთან (Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი, 2019).

1.2. სტუდენტთა მობილობის როლი და ტიპოლოგია

1.2.1. საერთაშორისო კრედიტ-მობილობა

საერთაშორისო კრედიტ-მობილობა (International Credit Mobility – ICM) წარმოადგენს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს, რომელიც გულისხმობს სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის დროებით გადაადგილებას საგანმანათლებლო მიზნებით სხვადასხვა ქვეყნის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

აღნიშნული მობილობა უმეტესად ხორციელდება პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის არსებული ორმხრივი შეთანხმებების საფუძველზე და, როგორც წესი, მოიცავს ერთი სემესტრის ან ერთი აკადემიური წლის განმავლობაში სწავლის, კვლევის ან სასწავლო გამოცდილების მიღებას უცხოურ უნივერსიტეტში, რის შემდეგაც მონაწილე ბრუნდება საკუთარ უნივერსიტეტში, აგრძელებს დაგროვილ ცოდნასა და გამოცდილებას კოლეგებს ან/და თანატოლებს შორის და აგრძელებს სწავლას ან საქმიანობას.

მიზნები და ფუნქციები

საერთაშორისო კრედიტ-მობილობის მიზანია:

- ხელი შეუწყოს სტუდენტების პროფესიულ და პიროვნულ განვითარებას,
- გააძლიეროს ტრანსფერული და ინტერკულტურული უნარები,
- გაუმჯობესდეს აკადემიური შედეგები და დასაქმების პერსპექტივები,
- წახალისო ინტერნაციონალიზაციის პროცესები უნივერსიტეტების შიდა სტრუქტურებში.

გარე სტრატეგიის (internationalization abroad) ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური და წარმატებული მაგალითია ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამა Erasmus+, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში მოქმედ უნივერსიტეტებს შორის მობილობის ხელშეწყობასთან ერთად, 2014 წლიდან საშუალებას იძლევა მობილობა

განხორციელდეს ევროკავშირის წევრი ქვეყნის უნივერსიტეტიდან ისეთი ქვეყნის უნივერსიტეტში, რომელიც არ არის ევროკავშირის წევრი და პირიქით (საერთაშორისო კრედიტ-მობილობა) (European Commission, 2020).

Erasmus+ პროგრამა, გარდა სტუდენტთა ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობისა, მნიშვნელოვან როლს ასრულებს უნივერსიტეტებში ინსტიტუციური ტრანსფორმაციის ხელშეწყობაში. კვლევა, რომელიც მოიცავს 69 უნივერსიტეტს ევროპის მასშტაბით, აჩვენებს, რომ მობილობის პროგრამებში ჩართული თანამშრომლები დიდ ყურადღებას აქცევენ კოორდინაციის, ადმინისტრაციული პროცესების ციფრული ოპტიმიზაციისა და სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების საკითხებს (Roman & Bulat, 2024).

კვლევის შედეგების თანახმად, რესპონდენტების 85.5% პირდაპირ მონაწილეობს Erasmus+ პროგრამაში ჩართულ სტუდენტებთან დაკავშირებულ საქმიანობაში, რაც ზრდის მობილობის გამოცდილების ეფექტიანობას. ასევე, გამოიკვეთა რეკომენდაციები, რომლებიც მიზნად ისახავს მობილობის უფრო ინკლუზიური, მარტივად მართვადი და ინტერკულტურულად მდიდარი გამოცდილებად გარდაქმნას, მათ შორისაა ციფრული პლატფორმების გაუმჯობესება, ენობრივი კომპეტენციების მხარდაჭერა და ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივება.

მახასიათებლები

საერთაშორისო კრედიტ-მობილობას ახასიათებს შემდეგი ნიშნები:

1. **დროებითი ხასიათი** - საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული მობილობა სწავლების ან კვლევის მიზნით არ უნდა აღემატებოდეს 12 თვეს სწავლების თითოეულ საფეხურზე.
2. **აკადემიური კრედიტების ტრანსფერის პრინციპი** - მობილობის პერიოდში სტუდენტის მიერ მასპინძელ უნივერსიტეტში სწავლის შედეგად დაგროვილი აკადემიური კრედიტების აღიარება ხდება გამგზავნი უნივერსიტეტის მიერ, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას.
3. **შეთანხმებების საფუძველზე განხორციელება** - მობილობა ხორციელდება პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის წინასწარ შეთანხმებული (და ევროკომისიის მიერ დაფინანსებული) პროექტის ფარგლებში.

4. **ფინანსური მხარდაჭერა** - მობილობის პროგრამა გულისხმობს მონაწილეების უზრუნველყოფას ყოველთვიური სტიპენდიით და საერთაშორისო გადაადგილებისთვის აუცილებელი ხარჯებით.

მნიშვნელობა სტუდენტური განვითარებისათვის

საერთაშორისო კრედიტ-მობილობა არ შემოიფარგლება მხოლოდ აკადემიური კომპონენტით. ის წარმოადგენს **ტრანსფორმაციულ საგანმანათლებლო გამოცდილებას**, რომელიც სტუდენტებს ეხმარება:

- გაიღრმავონ **ენობრივი კომპეტენციები**,
- განივითარონ **კულტურული მგრძნობელობა**,
- აიმაღლონ **თვითდაჯერებულობა და დამოუკიდებლობა**,
- საერთაშორისო კონტაქტების შექმნის გზით, გაზარდონ თავიანთი **სოციალური კაპიტალი**.

როგორც Knight (2015) და Teichler (2017) მიუთითებენ, მობილობის პროგრამები ხელს უწყობს არა მხოლოდ სტუდენტების, არამედ მთლიანად უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციას, მათ შორის, ადმინისტრაციული სტრუქტურების, კურიკულუმისა და კვლევითი საქმიანობის დონეზე.

გამოწვევები

მიუხედავად მრავალი დადებითი მახასიათებლისა, საერთაშორისო კრედიტ-მობილობას თან ახლავს გარკვეული გამოწვევები:

- **აკადემიური კრედიტების აღიარება** - საუნივერსიტეტო სისტემებს შორის განსხვავებების გამო, შესაძლოა, პრობლემური იყოს მასპინძელ უნივერსიტეტში მიღებული კრედიტების სრულად აღიარება მშობლიური უნივერსიტეტის მიერ;
- **ენობრივი ბარიერები** - უცხო ენაზე სწავლა რთულია იმ სტუდენტებისთვის, ვისაც ენობრივი კომპეტენცია არ აქვს საკმარისად განვითარებული.
- **კულტურული ადაპტაცია** - უცხო გარემოში ინტეგრაცია მოითხოვს ემოციურ სიმტკიცესა და ადაპტაციურ უნარებს.

საერთაშორისო კრედიტ-მობილობა წარმოადგენს უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ ინსტრუმენტს. ის მნიშვნელოვნად ავითარებს სტუდენტთა პროფესიულ, აკადემიურ და ინტერკულტურულ უნარებს, რაც განაპირობებს მათი გლობალური კონკურენტუნარიანობის ზრდას; ამავე დროს, მობილობა აძლიერებს უნივერსიტეტებს, როგორც გლობალური ცოდნის ცირკულაციის მნიშვნელოვან კერებს.

1.2.2. ERASMUS+ პროგრამის მიზნები და კომპონენტები

Erasmus+ (European Region Action Scheme for the Mobility of University Students) წარმოადგენს ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ საგანმანათლებლო, პროფესიული გადამზადების, ახალგაზრდობისა და სპორტის პროგრამას, რომლის მიზანია ინდივიდების კომპეტენციების გაუმჯობესება, განათლების ხარისხის ამაღლება და ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში განათლების სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება. პროგრამას საფუძველი ჩაეყარა 1987 წელს, მასში მონაწილეობს ევროკავშირის ტერიტორიაზე არსებული უნივერსიტეტების დაახლოებით 90% და დაარსებიდან დღემდე განხორციელებული სტუდენტური მობილობების რაოდენობა რამდენიმე მილიონია (European Commission, n.d.; European Commission, 2025).

პროგრამის ზოგადი მიზნები:

- ცოდნის, უნარებისა და კვალიფიკაციების გაუმჯობესება ევროპულ სივრცეში;
- ახალგაზრდობის დასაქმების გაზრდა და სოციალური ჩართულობის გაძლიერება;
- ევროპული ღირებულებებისა და მოქალაქეობის ცნობიერების მხარდაჭერა;
- განათლებისა და პროფესიული სწავლების სფეროში ეროვნული სისტემების მოდერნიზება და ინტერნაციონალიზაცია.

ძირითადი კომპონენტები

Erasmus+ პროგრამა მოიცავს სამ ძირითად საკვანძო მიმართულებას (Key Actions):

- **Key Action 1 (KA1) - მობილობა სწავლებისა და სწავლის მიზნით.** ეს კომპონენტი გულისხმობს ინდივიდების საერთაშორისო მობილობას ევროპული პარტნიორი უნივერსიტეტების ფარგლებში, კერძოდ:
 - სტუდენტების მობილობა ბაკალავრიატის, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო საფეხურებზე;
 - აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მოკლევადიანი მობილობა სწავლებისა და პროფესიული განვითარების მიზნით.
- **International Credit Mobility (ICM):** მოკლევადიანი მობილობის პროგრამა, რომელიც მობილობის მონაწილეებს (სტუდენტებს, აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალს) სთავაზობს სწავლის, სწავლებასთან დაკავშირებულ გამოცდილებას ან პროფესიულ განვითარებას პარტნიორ უნივერსიტეტში.
- **Joint Master's Degrees (JMD):** საერთაშორისო სამაგისტრო პროგრამები, რომელსაც ახორციელებს რამდენიმე უნივერსიტეტი ერთობლივად და სწავლის დასრულების შემდეგ გასცემს ერთობლივ დიპლომს.
- **Key Action 2 (KA2) - თანამშრომლობა ორგანიზაციებს შორის** ითვალისწინებს სტრატეგიული პარტნიორობის განვითარებას, ინოვაციური პროექტების რეალიზაციასა და განათლების ხარისხის ამაღლების მიზნით ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობას.
- **Key Action 3 (KA3) - მხარდაჭერა პოლიტიკის განვითარებისთვის** ხელს უწყობს ეროვნული და საერთაშორისო განათლების პოლიტიკის რეფორმებსა და ახალგაზრდულ პოლიტიკაში მონაწილეობის გაძლიერებას.

Erasmus+ პროგრამის სპეციფიკა საქართველოსთვის

საქართველო Erasmus+ პროგრამაში პარტნიორი ქვეყნის სტატუსით სარგებლობს, რაც გულისხმობს, რომ ქართული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები და აკადემიური პერსონალი სარგებლობენ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის შესაძლებლობით ევროკავშირის წევრ და პროგრამაში ჩართულ

ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში (Third countries associated with the Program), ესენია: თურქეთი, ისლანდია, ლიხტენშტეინი, ნორვეგია, სერბეთი, ჩრდილოეთ მაკედონია. გარდა ამისა, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩართული არიან Key Action 2 ტიპის პროექტებში, რაც მათ საშუალებას აძლევს ინტერნაციონალიზაცია განხორციელონ ინსტიტუციური განვითარების პროექტებში მონაწილეობით.

Erasmus+ მობილობის ძირითადი სარგებელი

- **უნარების განვითარება:** სტუდენტები იძენენ ისეთ ტრანსფერულ და პროფესიულ უნარებს, როგორიცაა: დამოუკიდებლობა, კომუნიკაცია, ინტერკულტურული კომპეტენცია, აკადემიური თვითმართვა და კრიტიკული აზროვნება.
- **ენობრივი კომპეტენციები:** ინტენსიური ენობრივი განვითარება საერთაშორისო აკადემიურ გარემოში სწავლით.
- შესაძლებლობა, გაიღრმავო აკადემიური და კულტურული გამოცდილება.
- გლობალური კავშირებისა და პროფესიული ქსელების შექმნა.
- უნივერსიტეტების ინსტიტუციური განვითარება და აკადემიური სივრცის ინტერნაციონალიზაცია.

Erasmus+ არ არის მხოლოდ გაცვლითი პროგრამა. ის წარმოადგენს სტრატეგიულ მექანიზმს ევროპული და გლობალური განათლების ინტეგრაციისთვის, რომელიც ქმნის ახალ სტანდარტებს სწავლების ხარისხის, აკადემიური თავისუფლების და ინდივიდუალური შესაძლებლობების რეალიზაციის თვალსაზრისით.

1.2.3. მობილობის პროგრამების სტრუქტურა და ადმინისტრირება

საერთაშორისო მობილობის პროგრამების წარმატებული განხორციელება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მათ სტრუქტურულ მოწყობაზე და ადმინისტრაციულ მენეჯმენტზე. ეფექტიანი მენეჯმენტი უზრუნველყოფს პროგრამის გამჭვირვალობას, სტუდენტების მიერ პროგრამით გათვალისწინებულ სარგებელზე თანასწორ წვდომას, კრედიტების დაგროვებისა და აღიარების

მექანიზმების თანხვედრას, ინტეგრირებულ დაგეგმვასა და სტრატეგიულ ინტერნაციონალიზაციას.

სტრუქტურული კომპონენტები

საერთაშორისო მობილობის პროგრამები, მათ შორის Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობა, მოიცავს რამდენიმე ძირითად სტრუქტურულ კომპონენტს:

- 1. ინსტიტუციური შეთანხმება (Inter-Institutional Agreement) -** პარტნიორ უნივერსიტეტებს შორის იდება შეთანხმება, რომელიც ასახავს მობილობის მიზნებს, მასპინძელი/მიმღები და მშობლიური/გამგზავნი უნივერსიტეტების ვალდებულებებს, შეფასების და კრედიტების აღიარების მექანიზმებს.
- 2. სასწავლო შეთანხმება (Learning Agreement) -** სტუდენტსა და ორივე უნივერსიტეტს (მშობლიური/გამგზავნი და მასპინძელი) შორის გაფორმებული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს მასპინძელ უნივერსიტეტში გასავლელ კურსებს, სწავლების ფორმას და კრედიტების რაოდენობას. სასწავლო შეთანხმება წარმოადგენს სტუდენტის მიერ მასპინძელ/მიმღებ უნივერსიტეტში სწავლისას დაგროვილი კრედიტების მშობლიური/გამგზავნი უნივერსიტეტის მიერ აღიარების გარანტს.
- 3. მონაწილეთა შერჩევის პროცესი -** პროგრამაში მონაწილეობის მსურველთა შერჩევა უნდა ეფუძნებოდეს მობილობაში მონაწილეობის მსურველი სტუდენტის მოტივაციას, აკადემიურ მიღწევებს, ენობრივ კომპეტენციებსა და თანასწორობის პრინციპებს.
- 4. მობილობის პერიოდში დაგროვილი კრედიტების აღიარება -** სწავლის დასრულების შემდეგ მასპინძელი/გამგზავნი უნივერსიტეტი გასცემს ნიშნების ფურცელს (Transcript of Records), რომელშიც მითითებულია სტუდენტის მიერ მობილობის პერიოდში დაგროვილი კრედიტები და თითოეულ საგანში მიღწეული შეფასება. პროგრამის წესების თანახმად, მშობლიური/გამგზავნი უნივერსიტეტი ვალდებულია მობილობისას დაგროვილი კრედიტები აღიაროს და ასახოს მობილობაში მონაწილე სტუდენტის დიპლომში ან დიპლომის დანართში (Diploma Supplement).

ადმინისტრირების მექანიზმები

უნივერსიტეტში მობილობის პროცესის ადმინისტრირება მოიცავს რამდენიმე საკვანძო რგოლს:

- საერთაშორისო ოფისი ან ექვივალენტი ადმინისტრაციული ერთეული – წარმოადგენს საკოორდინაციო ცენტრს, რომელიც მართავს პარტნიორობთან კომუნიკაციას, საპროექტო განაცხადების მომზადებას და პროცესის ტექნიკურ მხარეს.
- ხარისხის უზრუნველყოფის კოორდინატორები საფაკულტეტო დონეზე - უზრუნველყოფენ მშობლიურ და მიმღებ/მასპინძელ უნივერსიტეტებს შორის სილაბუსების შედარებას, კრედიტების შესაბამისობას და სტუდენტის მიერ მობილობიდან დაბრუნებისას ნიშნების ფურცლის წარდგენის შემდეგ, მობილობისას დაგროვილი კრედიტების აღიარებას.
- მხარდამჭერი სერვისები - მოიცავს ენობრივ მხარდაჭერას, მენტორობას, საცხოვრებელთან დაკავშირებულ მხარდაჭერას და კულტურული ინტეგრაციის პროგრამებს.

Altbach და Knight (2007) ხაზს უსვამენ, რომ ეფექტიანად ადმინისტრირებული მობილობის პროგრამა მხოლოდ ლოგისტიკური უზრუნველყოფა კი არ არის, არამედ ითვალისწინებს საგანმანათლებლო მიზნების, ინსტიტუციური ხედვის და საერთაშორისო პოლიტიკის თანხვედრას.

ხარისხის მონიტორინგი და შეფასება

მობილობის პროგრამების წარმატება განისაზღვრება არა მხოლოდ მონაწილეთა რაოდენობით, არამედ მიღწეული შედეგების ხარისხით, მათ შორის:

- მობილობისას მასპინძელ/მიმღებ უნივერსიტეტში დაგროვილი აკადემიური კრედიტების აღიარება მშობლიური/გამგზავნი უნივერსიტეტის მიერ;
- სტუდენტების ტრანსფერული და ინტერპერსონალური უნარების გაუმჯობესება;
- პროფესიული რეალიზაციის მაჩვენებლები;
- უკუკავშირის მექანიზმების ხელმისაწვდომობა

- საერთაშორისო ორგანიზაციები, როგორებიცაა ევროპის უნივერსიტეტების ასოციაცია (European University Association) და გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD) სისტემურად აანალიზებენ მობილობის პროგრამების შედეგიანობას, რათა შეიმუშავონ გაუმჯობესების სტრატეგიები.

გამოწვევები ადმინისტრირებაში

მიუხედავად სტრუქტურულად განსაზღვრული ჩარჩოებისა, პრაქტიკაში ხშირად ფიქსირდება სირთულეები:

- დროის შეზღუდული ვადები განაცხადების პროცესში;
- არათანაბარი ინფორმაცია სტუდენტებისთვის;
- არასაკმარისი თანხვედრა სტუდენტის მშობლიურ პროგრამასა და იმ კურსებს შორის, რომელიც შემოთავაზებულია მიმღები უნივერსიტეტის მიერ;
- ადმინისტრაციის გადატვირთულობა.

ღია და ეფექტური კომუნიკაცია, ფაკულტეტების ჩართულობა და ცენტრალიზებული მართვის სისტემების განვითარება მიჩნეულია ამ გამოწვევების დაძლევის მნიშვნელოვან და ეფექტიან გზად (Knight, 2015; Brandenburg & Federkeil, 2007).

საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამების ეფექტური განხორციელება საჭიროებს მკაფიოდ განსაზღვრულ სტრუქტურულ ჩარჩოს და სტრატეგიულად დაგეგმილ ადმინისტრირებას. პროგრამის წარმატება განისაზღვრება იმით, რამდენად შეძლებს პროგრამა სტუდენტური გამოცდილების გაუმჯობესებას, ტრანსფერული უნარების გაძლიერებას და საერთაშორისო თანამშრომლობის რეალურ გაღრმავებას (European Commission, 2023; Erasmus+ International Credit Mobility Handbook, 2023; EUA, 2022).

1.2.4. სტუდენტთა აკადემიური მობილობა - განმარტება და მნიშვნელობა

სტუდენტთა აკადემიური მობილობა (Student Academic Mobility) განათლების მეცნიერებების დისციპლინაში აღიქმება როგორც ორგანიზებული, სისტემური და მიზანმიმართული პროცესი, რომელიც გულისხმობს სტუდენტის გადაადგილებას ერთი სასწავლო დაწესებულებიდან მეორეში, ადგილობრივად ან საერთაშორისო

დონეზე, აკადემიური გამოცდილების გასაზიარებლად და კომპეტენციების გასაღრმავებლად.

აკადემიური მობილობა შეიძლება განხორციელდეს როგორც მოკლევადიან (ერთი სემესტრი ან უფრო მოკლე პერიოდი), ისე გრძელვადიან ფორმატში და მოიცავს სწავლების სამივე საფეხურს - ბაკალავრიატს, მაგისტრატურასა და დოქტორანტურას.

აკადემიური მობილობის ფორმები

1. საერთაშორისო კრედიტ-მობილობა (International Credit Mobility - ICM)

- სტუდენტები დროებით სწავლობენ უცხოურ უნივერსიტეტში აკრედიტებულ პროგრამებზე და დაბრუნების შემდეგ მათ მიერ საზღვარგარეთ სწავლისას დაგროვილი კრედიტები აღიარდება მათი მშობლიური უნივერსიტეტის მიერ;

ეს არის მობილობის ყველაზე გავრცელებული ფორმა Erasmus+ პროგრამის ფარგლებში.

2. სრული ხარისხის მობილობა (Degree Mobility)

- სტუდენტი მთელ სასწავლო ციკლს გადის უცხოურ უნივერსიტეტში (მაგ., ერთობლივი სამაგისტრო პროგრამა) და იღებს შესაბამის ხარისხს.

3. შიდა მობილობა (Domestic Mobility)

- მოიცავს სტუდენტის გადაადგილებას ქვეყნის შიგნით არსებულ სხვადასხვა უნივერსიტეტს შორის.

აკადემიური მობილობის მიზნები:

- სტუდენტების პროფესიული და პიროვნული განვითარება;
- ინტერკულტურული გამოცდილების მიღება;
- ტრანსფერული და აკადემიური უნარების გაძლიერება;
- უნივერსიტეტების საერთაშორისო რეპუტაციის ამაღლება;

- ინსტიტუციური პარტნიორობებისა და სამეცნიერო თანამშრომლობის გაფართოება.

აკადემიური მობილობის მნიშვნელობა

სტუდენტთა მობილობა მნიშვნელოვანწილად ემსახურება ისეთი განათლების პრინციპების რეალიზაციას, როგორიცაა:

- **ქრესტომათიული სწავლება** - რეალურ გარემოში ცოდნის გამოყენება;
- **გლობალური კომპეტენცია** - მრავალფეროვან კულტურებთან ინტეგრაცია;
- **სოციალური ჩართულობა** - აქტიური სამოქალაქო პასუხისმგებლობის განვითარება;
- **თავისუფალი არჩევანი და დამოუკიდებლობა** - სტუდენტის სუბიექტური მონაწილეობის წახალისება საკუთარ პროფესიულ განვითარებაში.

საქართველოს კონტექსტში

საქართველოში სტუდენტური აკადემიური მობილობა განსაკუთრებით აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც ქვეყანა გახდა **Erasmus+ პროგრამის პარტნიორი ქვეყანა** (Erasmus+ National Office Georgia, 2019). ამ კონტექსტში სტუდენტები იღებენ შესაძლებლობას, საერთაშორისო გამოცდილება მიიღონ ევროპის უნივერსიტეტებში, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვნად უწყობს ხელს როგორც მათ პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, ისე უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

1.3. ტრანსფერული და პროფესიული უნარები

1.3.1. ტრანსფერული უნარების თეორიული საფუძველი

ტრანსფერული უნარები (transferable or transversal skills), ხშირად მოხსენიებული, როგორც „რეგენერირებადი“, „პერიფერიული“ ან „მეტა-უნარები“, თანამედროვე განათლების კვლევასა და პრაქტიკაში ცენტრალური ცნებაა, განსაკუთრებით საერთაშორისო მობილობის კონტექსტში. ეს უნარები არ ექვემდებარება ერთი

კონკრეტული დისციპლინური ჩარჩოს საზღვრებს და გამოიყენება სხვადასხვა პროფესიულ, საგანმანათლებლო და სოციალური კონტექსტის ფარგლებში.

ტრანსფერული უნარების ცნებითი განსაზღვრა

ტრანსფერული უნარები განისაზღვრება როგორც უნივერსალური, ზოგადი უნარები, რომლებიც შესაძლებელია გადატანილ იქნეს ერთი გარემოდან მეორეში და რომლებიც ასტიმულირებს მოქნილობას, ადაპტაციასა და უწყვეტი სწავლების უნარს (Cimatti, 2016). UNESCO-ს (2015) განსაზღვრებით, ეს უნარები მოიცავს: პრობლემის გადაჭრას, კრიტიკულ და ანალიტიკურ აზროვნებას, გუნდურ მუშაობას, კომუნიკაციას, ციფრულ კომპეტენციებს, ინტერკულტურულ კომპეტენციებსა და სწავლების უნარს მთელი ცხოვრების განმავლობაში.

თეორიული ჩარჩოები, რომელსაც ეფუძნება ტრანსფერული უნარების კონცეფცია

1. გამოცდილებითი სწავლების თეორია (Kolb, 1984)

Kolb-ის მიხედვით, სწავლა ხდება გამოცდილებაზე დაფუძნებული ციკლის მეშვეობით: კონკრეტული გამოცდილება - რეფლექსიური დაკვირვება - აბსტრაქტული კონცეპტუალიზაცია - აქტიური ექსპერიმენტირება. სწორედ ამ პროცესის შედეგად ვითარდება ისეთი უნარები, რომლებიც შეიძლება სხვადასხვა სფეროში იქნას გამოყენებული. ტრანსფერული უნარები ამ ციკლის შედეგად ქცევითი და შემეცნებითი პრაქტიკის ინტეგრირებულ პროდუქტად გვევლინება.

2. კონსტრუქტივისტული სწავლების მოდელი (Bruner, 1960; Vygotsky, 1978)

სოციოკულტურული თეორიის თანახმად, სწავლა და უნარების ათვისება ხდება სოციალურ ინტერაქციაში - ტრანსფერული უნარების განვითარება დამოკიდებულია გარემოზე, სოციალურ კონტექსტზე და მენტორობის ხარისხზე. ტრანსფერი ამ შემთხვევაში განიხილება როგორც ერთისგან მეორეში მნიშვნელოვანი მნიშვნელობების გადაადგილების უნარი.

3. ცხოვრების უნარების (life skills) მოდელი (WHO, 1999)

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მოდელი ხაზს უსვამს ისეთი კომპლექსური უნარების მნიშვნელობას, როგორიცაა ეფექტური კომუნიკაცია, ემპათია, სტრესთან გამკლავება და პასუხისმგებლიანი გადაწყვეტილებების მიღება. აღნიშნული უნარები კი ქმედითად გადადის სხვადასხვა სფეროში - რაც არის ტრანსფერული უნარების მთავარი ლოგიკა.

4. ინტერკულტურული კომპეტენციის მოდელი (Deardorff, 2006)

ინტერკულტურული კომპეტენციის თეორია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს კულტურულად მგრძნობიარე ქცევას, ღია აზროვნებასა და თვითრეფლექსიას; ყველა მათგანი კი, გადადის სხვადასხვა პროფესიულ თუ სოციალურ კონტექსტში და წარმოადგენს ტრანსფერულ უნარს.

ტრანსფერული უნარების კატეგორიზაცია

ხშირად ტრანსფერული უნარები კლასიფიცირდება რამდენიმე ქვეკატეგორიად (European Commission, 2017)

ცხრილი 1. ტრანსფერული უნარები კლასიფიცირება

კატეგორია	მაგალითები
კოგნიტური უნარები	ანალიტიკური აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, ლოგიკური მსჯელობა
ინტერპერსონალური უნარები	გუნდური მუშაობა, ემპათია, ინტერკულტურული კომუნიკაცია
ინტრაპერსონალური უნარები	თვითრეგულაცია, პასუხისმგებლობა, თვითშეფასება
ციფრული უნარები	ინფორმაციის მართვა, ტექნოლოგიური აზროვნება
ენობრივი უნარები	უცხო ენების გამოყენება პროფესიულ გარემოში

ტრანსფერული უნარების მნიშვნელობა საერთაშორისო მობილობის კონტექსტში

საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამები, როგორცაა Erasmus+, განსაკუთრებულად ხელს უწყობს ტრანსფერული უნარების განვითარებას იმ გამოცდილების მეშვეობით, რაც სტუდენტებს ეძლევათ სხვა აკადემიურ და კულტურულ გარემოში ყოფნისას. Mezirow-ის ტრანსფორმაციული სწავლების თეორიის მიხედვით, ახალი გამოცდილებები ადამიანს ეხმარება კომპლექსური უნარებისა და ღირებულებითი განზომილების ჩამოყალიბებაში, რაც საფუძვლად უდევს ტრანსფერული კომპეტენციების განვითარებას.

Teichler (2017) და González et al. (2020) ამტკიცებენ, რომ ტრანსფერული უნარები არა მხოლოდ სტუდენტის პიროვნულ თუ პროფესიულ წარმატებაზე ახდენენ გავლენას, არამედ მათი მეშვეობით შესაძლებელი ხდება სოციალური მობილობის, დასაქმების პოტენციალისა და აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობა.

ტრანსფერული უნარები თანამედროვე განათლების სისტემების ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს. მათ განვითარებას განსაკუთრებულად უწყობს ხელს საერთაშორისო აკადემიური მობილობის პროგრამები, რომლებიც ქმნიან რეალურ სოციალურ და პროფესიულ კონტექსტებს ახალი უნარების შესაძენად. თეორიული ჩარჩოები - გამოცდილებითი სწავლა, სოციოკულტურული თეორია ცხოვრების უნარების მოდელი და ინტერკულტურული კომპეტენციების მოდელი - გვთავაზობენ მყარ საფუძველს ამ უნარების ინტეგრირებული და პრაქტიკული გააზრებისთვის.

1.3.2. პროფესიული კომპეტენციები და მათი მნიშვნელობა

პროფესიული კომპეტენცია (professional competence) არის ცოდნის, უნარების, ღირებულებებისა და ქცევითი სტრატეგიების ინტეგრირებული ერთობა, რომელიც საშუალებას აძლევს ინდივიდს, ეფექტიანად შეასრულოს პროფესიული ამოცანები კონკრეტულ სოციალურ და ორგანიზაციულ კონტექსტში (OECD, 2018). თანამედროვე განათლების კვლევაში პროფესიული კომპეტენცია განიხილება როგორც დინამიკური და განვითარებადი ცნება, რომელიც მოითხოვს უწყვეტ შესწავლასა და ადაპტაციას გლობალურად ცვალებად შრომით ბაზართან.

პროფესიული კომპეტენციების სტრუქტურა

ზოგადი კონცეპტუალური ჩარჩოს თანახმად, პროფესიული კომპეტენციები მოიცავს შემდეგ ელემენტებს:

- **თეორიული ცოდნა** - კონკრეტული დარგის შინაარსობრივი და მეთოდოლოგიური ბაზა.
- **პრაქტიკული უნარები** - ამ ცოდნის გამოყენების უნარი რეალურ პროფესიულ სიტუაციაში.
- **თანამშრომლობის უნარი** - ეფექტიანი კომუნიკაცია კოლეგებთან, კლიენტებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან.
- **პროფესიული ეთიკა და ღირებულებები** - პროფესიულ სფეროში მოქმედი ნორმებისა და პასუხისმგებლობის გათვალისწინება.
- **განვითარებაზე ორიენტირებულობა** - თვითრეფლექსიის, თვითშეფასებისა და პროფესიული თვითგანვითარების უნარი (Rychen & Salganik, 2003).

პროფესიული კომპეტენციები განათლების მეცნიერებებში

განათლების სფეროში კომპეტენციის კონცეფცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან მასზე დგას სწავლების, შეფასებისა და კურიკულუმის რეფორმის თანამედროვე მიდგომები. პროფესიაზე ორიენტირებული სწავლის მოდელებში (competency-based learning) სწავლების შედეგები განისაზღვრება არა მხოლოდ შინაარსობრივი ცოდნით, არამედ პროფესიული მოქმედების უნართა და ღირებულებითი მზაობით (Mulder, 2014).

პროფესიული კომპეტენციების როლი სტუდენტთა მობილობის კონტექსტში

საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამები, მათ შორის Erasmus+, წარმოადგენს მნიშვნელოვან სივრცეს სტუდენტთა პროფესიული კომპეტენციების განვითარებისათვის. მობილობის ფარგლებში სტუდენტები:

- ხვდებიან განსხვავებულ აკადემიურ და პროფესიულ გარემოში, რაც ავითარებს მათი ადაპტაციისა და თვითორგანიზაციის უნარს (Teichler, 2017);
- აწყდებიან რეალურ პროფესიულ სიტუაციებს, რაც აძლიერებს პრაქტიკული კომპეტენციების ფორმირებას (Souto-Otero et al., 2019);

- სწავლობენ პროფესიული ეთიკის მრავალკულტურულ ასპექტებს და სოციალურ პასუხისმგებლობას გლობალურ კონტექსტში (Waibel et al., 2017).

კომპეტენციებისა და დასაქმებადობის კავშირი

კვლევების მიხედვით (Yorke, 2006; González & Wagenaar, 2008), პროფესიული კომპეტენციების განვითარება პირდაპირ კავშირშია სტუდენტთა დასაქმებადობასთან. თანამედროვე დამსაქმებლები ითხოვენ არა მხოლოდ აკადემიურ ხარისხს, არამედ ისეთ ქცევით და ინტერპერსონალურ კომპეტენციებს, როგორებიცაა:

- კრიტიკული აზროვნება;
- დროული გადაწყვეტილების მიღება;
- მრავალფეროვან გარემოში ეფექტიანი მოქმედება;
- პროფესიული თვითშეფასებისა და მიზანმიმართული განვითარების უნარი.

პროფესიული კომპეტენციების განვითარების გამოწვევები

მიუხედავად ზემოხსენებული სარგებლისა, გამოწვევად რჩება:

- კომპეტენციებზე ორიენტირებული სწავლების სტრუქტურული იმპლემენტაცია უმაღლეს განათლებაში;
- შეფასების მექანიზმების გაუმართაობა;
- სტუდენტების მიერ მიღებული კომპეტენციების ტრანსფერის სირთულე შრომით ბაზარზე (Bologna Process Report, 2020).

პროფესიული კომპეტენციები წარმოადგენს განათლების სისტემის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღერძს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის კარიერულ მომზადებასა და გლობალურ შრომით ბაზარზე წარმატებით ინტეგრაციის შესაძლებლობას. საერთაშორისო მობილობის პროგრამები ქმნის ხელსაყრელ გარემოს პროფესიული კომპეტენციების კომპლექსური განვითარებისთვის. მათი ინტეგრაცია განათლების სისტემაში მოითხოვს სისტემურ მიდგომას, ეფექტიან პოლიტიკას და საგანმანათლებლო პრაქტიკის განახლებას.

1.3.3. მობილობის გავლენა უნარების განვითარებაზე

მობილობის როლი უნარების მრავალგანზომილებიან განვითარებაში

Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამა ერთ-ერთ ყველაზე ძლიერი საშუალებაა იმ უნარების განვითარებისათვის, რომლებიც სტუდენტებს სჭირდებათ გლობალურად დაკავშირებულ და დინამიკურად ცვალებად სამყაროში ეფექტური ფუნქციონირებისთვის. მობილობის პროცესში სტუდენტები არა მხოლოდ იღებენ აკადემიურ ცოდნას, არამედ აძლიერებენ ტრანსფერულ, პროფესიულ და ინტერპერსონალურ უნარებს, რომლებიც კომპლექსურად განსაზღვრავენ მათ სამომავლო დასაქმების და სოციალური ინტეგრაციის შესაძლებლობებს (Teichler, 2017; González et al., 2020).

ტრანსფერული უნარები: მოქნილობა, კომუნიკაცია, პრობლემის გადაჭრა

ტრანსფერული უნარები (transferable skills) წარმოადგენს უნივერსალურ კომპეტენციებს, რომლებიც გამოიყენება მრავალ პროფესიულ და აკადემიურ კონტექსტში. საერთაშორისო მობილობის ფარგლებში განსაკუთრებით იხვეწება შემდეგი უნარები:

- **მოქნილობა და ადაპტაცია** - სტუდენტებისათვის სხვა კულტურულ და აკადემიურ სისტემაში ჩართულობა მოითხოვს გარემოსადმი სწრაფად შეგუების უნარს. ეს აძლიერებს მათ გლობალურ ქმედითუნიარიანობას (Souito-Otero et al., 2019).
- **კომუნიკაცია** - ენობრივი და ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარი იხვეწება მრავალენოვან და მრავალკულტურულ გარემოში. სტუდენტები სწავლობენ არა მხოლოდ ფორმალურ, არამედ სოციალურ და აკადემიურ კომუნიკაციას განსხვავებულ კულტურულ კონტექსტში (Deardorff, 2006).
- **პრობლემის გადაჭრა და კრეატიულობა** - საზღვარგარეთ ცხოვრებისას გამოწვევები იწვევს საჭიროებას, მოიძებნოს ინოვაციური და რაციონალური გადაწყვეტილებები. ეს პროცესი აძლიერებს სტუდენტის კოგნიტურ მოქნილობასა და თვითორგანიზებას (Jones, 2017).

პროფესიული უნარები და შრომის ბაზრის მზაობა

Erasmus+ მობილობის ფარგლებში მიღებული გამოცდილება პირდაპირ კავშირშია პროფესიულ მზადყოფნასთან. სხვადასხვა კვლევა მიუთითებს, რომ საერთაშორისო გამოცდილება:

- ზრდის სტუდენტის თავდაჯერებულობას პროფესიულ გარემოში;
- აძლიერებს მათი პროფესიული რეზიუმეს კონკურენტუნარიანობას;
- საშუალებას აძლევს სტუდენტს, გაიფართოვოს პროფესიული კავშირები და კარიერისთვის მნიშვნელოვანი კონტაქტები (King & Ruiz-Gelices, 2003).

ინტერკულტურული კომპეტენციები და ინტერპერსონალური უნარები

Deardorff-ის (2006) ინტერკულტურული კომპეტენციის მოდელის თანახმად, გლობალურ გარემოში ეფექტური მოქმედებისთვის აუცილებელია ისეთი უნარების განვითარება, როგორიცაა:

- ღია ატიტუდი/ დამოკიდებულება/ სოციალური განწყობა;
- ემპათია და კულტურული მგრძნობელობა;
- საკუთარი კულტურული თვითგაცნობიერება;
- სხვებთან კონსტრუქციულად ურთიერთობისა და თანამშრომლობის უნარი.

მობილობაში ჩართულ სტუდენტებში ამ კომპეტენციების განვითარება მჭიდრო კავშირშია რეალურ ინტერკულტურულ კონტაქტთან, კულტურულად მდიდარი გარემოს გააზრებასთან და კრიტიკული თვითრეფლექსიის პროცესებთან (Paige et al., 2004).

უნარების მდგრადობა და ტრანსფორმაციული სწავლა

Mezirow-ის (1991) ტრანსფორმაციული სწავლის თეორიის თანახმად, სტუდენტებს, რომლებიც სხვა კულტურულ სივრცეში სწავლობენ და ცხოვრობენ, ეძლევათ შესაძლებლობა, გადააფასონ თავიანთი წარსული წარმოდგენები და ღირებულებები. ეს შიდა ტრანსფორმაცია:

- აძლიერებს ღირებულებითი გააზრების პროცესებს;

- ხელს უწყობს გრძელვადიანი ცვლილებების ჩამოყალიბებას ქცევით და დამოკიდებულებით დონეზე;
- აყალიბებს ახალ პერსონალურ და პროფესიულ იდენტობას.

რაოდენობრივი მიგნებების შეჯამება

ცნობილია, რომ მობილობაში მონაწილე სტუდენტები ავლენენ მაღალი დონის შედეგებს ისეთ ინდიკატორებზე, როგორებიცაა:

- აკადემიური თვითმართვა;
- დამოუკიდებლად სწავლის უნარი;
- სოციალური პასუხისმგებლობა;
- გადაწყვეტილების მიღების და სტრატეგიული აზროვნების უნარი (Waibel et al., 2017; Souto-Otero et al., 2019).

Erasmus+ მობილობის გავლენა სტუდენტთა უნარების განვითარებაზე არსებითია და მოიცავს როგორც კოგნიტურ, ისე ქცევით, ემოციურ და ღირებულებით კომპონენტებს. ეს გამოცდილება ქმნის პიროვნულად მდგრად და პროფესიულად მოქნილ სუბიექტს, რომელიც მზად არის ეფექტურად იმოქმედოს მრავალფეროვან სოციალურ და პროფესიულ გარემოში. მობილობის გავლენა გადაჭარბებს მხოლოდ აკადემიურ სარგებელს და ტრანსფორმაციულად ცვლის სტუდენტთა მსოფლმხედველობასა და საქმიანობის სტილს.

1.3.4. საერთაშორისო მობილობის როლი პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარებაში

თანამედროვე საგანმანათლებლო სივრცეში, განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესის ფარგლებში, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სტუდენტთა საერთაშორისო აკადემიურ მობილობას, როგორც პროფესიული, ისე პიროვნული კომპეტენციების განვითარებისთვის. გლობალიზაციის პირობებში, პროფესიული წარმატება დამოკიდებულია არა მხოლოდ დარგობრივ ცოდნაზე, არამედ ისეთ ტრანსფერულ უნარებზე, როგორიცაა ინტერკულტურული კომუნიკაცია,

კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნება, დამოუკიდებლობა, მოქნილობა, თვითრეფლექსია და კოლაბორაციული თანამშრომლობა.

Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამა, როგორც ევროპის განათლების სივრცის ერთ-ერთი ფუნდამენტური კომპონენტი, მიზნად ისახავს ამ უნარების განვითარებას, რაც ქმნის წინაპირობას მათ ადაპტაციისუნარიანობისთვის სტუდენტებს დინამიკურ შრომით ბაზარზე ეფექტური თვითრეალიზაციისთვის.

როგორც ევროკომისიის მიერ 2023 წელს გამოქვეყნებულმა Erasmus+ პროგრამის შუალედური შეფასების (Mid-Term Evaluation) ანგარიშშია მითითებული, პროგრამის გავლენა სტუდენტების ტრანსფერული უნარების განვითარებაზე (როგორიცაა კომუნიკაცია, კულტურულად მგრძნობიარე თანამშრომლობა და პრობლემის გადაჭრის უნარი) ევროპულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში აღიქმება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე ღირებული შედეგი (European Commission, 2023).

დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების თეორიული ჩარჩო

2017 წელს საქართველოს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცემულ დოკუმენტში *„დემოკრატიული კულტურის კომპეტენციები: თანაცხოვრება კულტურულად მრავალფეროვან დემოკრატიულ საზოგადოებაში“* წარმოდგენილია კომპეტენციათა კონცეპტუალური ჩარჩო, რომელიც მოიცავს იმ ძირითადი ღირებულებების, დამოკიდებულებების, უნარებისა და ცოდნის ერთობლიობას, რაც აუცილებელია გლობალურ და კულტურულად მრავალფეროვან სამყაროში მშვიდობიანი თანაარსებობისთვის.

დოკუმენტში აღწერილი კომპეტენციების სისტემა - ე.წ. *„პეპელას მოდელი“* - ჰოლისტურად აერთიანებს პიროვნულ, სოციალურ და ინტერკულტურულ კომპონენტებს. აღნიშნული კომპეტენციები მჭიდროდ თანხვედრაშია იმ უნარებსა და მახასიათებლებთან, რომელთა განვითარებას Erasmus+ საერთაშორისო მობილობის პროგრამაც უწყობს ხელს.

ცხრილი 2. კომპეტენციების სისტემა

ღირებულებები	დამოკიდებულებები
ადამიანის ღირსებისა და უფლებების დაფასება	კულტურული განსხვავებულობისა და სხვა რწმენებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულებისათვის მზაობა
კულტურული მრავალფეროვნების დაფასება	პატივისცემა, მოქალაქეობრივი აზროვნება, პასუხისმგებლობა, თავდაჯერებულობა
დემოკრატიის, სამართლიანობის, კეთილსინდისიერების, თანასწორობისა და კანონის უზენაესობის დაფასება	გაურკვევლობისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება
უნარები	ცოდნა და კრიტიკული გააზრება
დამოუკიდებლად სწავლის უნარ-ჩვევები, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარ-ჩვევები	საკუთარი თავის შეცნობა და კრიტიკული გააზრება
მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევები, ემპათია, მოქნილობა და შეგუების უნარი	ენისა და კომუნიკაციის ცოდნა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება
ენობრივი, კომუნიკაციური და მრავალენობრივი უნარები, თანამშრომლობის უნარ-ჩვევები, კონფლიქტების მოგვარების უნარ-ჩვევები	მსოფლიოს (პოლიტიკა, კანონი, ადამიანის უფლებები, კულტურა, რელიგია, ისტორია, მედია, ეკონომიკა, გარემოს დაცვა, მდგრადი განვითარება) შეცნობა-შემეცნება და კრიტიკული გააზრება

აღნიშნული ჩარჩოს მიხედვით, Erasmus+ პროგრამა ინტეგრირებულად უწყობს ხელს როგორც პროფესიულ, ისე ღირებულებით ტრანსფორმაციულ განვითარებას.

1.3.5. Erasmus+ პროგრამა და ინტერნაციონალიზაციის კონტექსტი საქართველოში
ინტერნაციონალიზაცია უმაღლეს განათლებაში განიხილება, როგორც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პრიორიტეტი, რომელიც უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ინტეგრაციას გლობალურ საგანმანათლებლო სივრცეში. ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს არა მხოლოდ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გადაადგილებას, არამედ ღირებულებების, აკადემიური პრაქტიკისა და საგანმანათლებლო სტანდარტების გაცვლას საერთაშორისო დონეზე (Knight, 2004; de Wit, 2020).

საქართველოში, Erasmus+ პროგრამა იქცა ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობის ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად. აღნიშნული პროგრამა ევროპის მასშტაბით ხორციელდება 1987 წლიდან და წარმოადგენს ევროკავშირის განათლების, გადამზადების, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროში თანამშრომლობის მთავარ პლატფორმას. პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საერთაშორისო კრედიტ-მობილობას (International Credit Mobility – ICM), რომელიც შესაძლებელს ხდის მოკლევადიანი აკადემიური გაცვლების განხორციელებას ევროპის და პარტნიორი ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის. საქართველო აღნიშნულ პროგრამაში 2015 წლიდან მონაწილეობს (Erasmus+ National Office Georgia, 2019).

მობილობის კომპონენტები და საქართველოს ჩართულობა Erasmus+ პროგრამაში
Erasmus+ პროგრამის ფარგლებში მობილობა მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს:

- სტუდენტთა მობილობა (სწავლის ან სტაჟირების მიზნით);
- აკადემიური პერსონალის მობილობა (ვიზიტები სწავლების მიზნით);
- ადმინისტრაციული პერსონალის მობილობა (ვიზიტები გამოცდილების გაზიარებისა და პროფესიული განვითარების მიზნით)

საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, მათ შორის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ), აქტიურად მონაწილეობენ ICM-ის სქემაში. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2015-2022 წლებში, თსუ Erasmus+ მობილობის პროგრამის ერთ-ერთი წამყვანი ბენეფიციარია საქართველოში (Erasmus+ National Office Georgia, 2019).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მისი პარტნიორი უწყებები სისტემურად უწყობენ ხელს Erasmus+ პროგრამაში ჩართულობის გაფართოებას (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2022 - ერთიანი ეროვნული სტრატეგია). ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ასევე ასახულია უმაღლესი განათლების სტრატეგიულ დოკუმენტებში, რაც ცხადყოფს ამ მიმართულების პრიორიტეტულობას (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2022 - ერთიანი ეროვნული სტრატეგია).

ინტერნაციონალიზაცია და პროფესიული კომპეტენციების განვითარება

საერთაშორისო მობილობა არა მხოლოდ სტუდენტთა გადაადგილებას გულისხმობს, არამედ განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიის განახლებას, კვლევით თანამშრომლობასა და სტუდენტების პროფესიული უნარების ჰოლისტურ განვითარებას. ინტერნაციონალიზაცია ამ თვალსაზრისით წარმოადგენს ტრანსფორმაციულ ძალას, რომელიც ხელს უწყობს:

- კურიკულუმების ადაპტაციას გლობალურ გამოწვევებთან;
- ინტერდისციპლინურ და კულტურათაშორის კვლევით პროექტებში ჩართულობას;
- სტუდენტების გრძელვადიანი დასაქმების შესაძლებლობების გაფართოებას საერთაშორისო სივრცეში.

მრავალი ავტორი (Beelen & Jones, 2015; Teichler, 2017) აღნიშნავს, რომ ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია აუცილებელია არა მხოლოდ სტუდენტებისთვის გლობალური მოქალაქეობისათვის მოსამზადებლად, არამედ ქვეყნის ზოგადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშესაწყობად.

1.3.6. თსუ-ს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია: ინსტიტუციური მიდგომები და პრიორიტეტები (თსუ 2024a - ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა; 2024b - სტრატეგიული განვითარების გეგმა; 2024c - კვლევისა და ინოვაციური განვითარების სტრატეგია).

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (თსუ) ინტერნაციონალიზაციას განიხილავს როგორც უნივერსიტეტის განვითარების ერთ-ერთ ფუნდამენტურ ღირებულებასა და სტრატეგიულ პრიორიტეტს. ინტერნაციონალიზაცია აღარ განიხილება ცალკეულ ინიციატივად, ის წარმოადგენს უნივერსიტეტის განვითარების ყოვლისმომცველ სტრატეგიას, რომელიც გავლენას ახდენს სწავლების, კვლევის, ადმინისტრირების და საზოგადოებასთან ურთიერთობის ყველა მიმართულებაზე.

თსუ-ის ხედვაა გახდეს გლობალურად კონკურენტუნარიანი, ინკლუზიური და მრავალფეროვანი უნივერსიტეტი, რომელიც აყალიბებს მტკიცე საერთაშორისო პარტნიორობას, ხელს უწყობს ცოდნის ტრანსფერსა და კულტურათაშორის თანამშრომლობას. სტრატეგიული ინტერნაციონალიზაციის ფარგლებში, უნივერსიტეტი მიისწრაფის ინოვაციური მიდგომების დანერგვისკენ როგორც სწავლა-სწავლების, ისე კვლევისა და ადმინისტრირების მიმართულებით.

ინტერნაციონალიზაციის ძირითადი მიზნებია:

- გლობალურ სტანდარტებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
- სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლების მობილობის გაფართოება;
- ერთობლივი და ორმაგი ხარისხის პროგრამების დანერგვა;
- ინტერდისციპლინური და საერთაშორისო კვლევითი თანამშრომლობის მხარდაჭერა;
- ინგლისურენოვანი კურსების დივერსიფიკაცია და უცხოელი სტუდენტებისთვის ადაპტირებული გარემოს შექმნა;
- საერთაშორისო რეიტინგებში მონაწილეობის გაზრდა და ინსტიტუციური ხილვადობის გაძლიერება.

გლობალური აკადემიური სრულყოფილების მისაღწევად თსუ მიმართავს კურიკულუმის ინტეგრაციის პარადიგმას, რაც მოიცავს საერთაშორისო პერსპექტივების, ენობრივი მრავალფეროვნებისა და კულტურათაშორისი კომპეტენციების გაერთიანებას სასწავლო პროგრამებში. ეს ხორციელდება ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების, გაცვლითი ინიციატივებისა და საერთაშორისო აკრედიტაციების გზით.

უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს უცხოელი სტუდენტების ადაპტაციასა და ინტეგრაციას, საორიენტაციო პროგრამების, მხარდაჭერის მექანიზმებისა და კულტურულ-საგანმანათლებლო აქტივობების მეშვეობით. სტუდენტთა ჩართულობის წახალისება საერთაშორისო კონკურსებსა და კვლევით ფორუმებში უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პრაქტიკულ გამოხატულებად გვევლინება. ინტერნაციონალიზაციის მიზნების შესრულების მონიტორინგი ხორციელდება თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში, საკვანძო ინდიკატორებით. დოკუმენტში ასახული პოლიტიკა წარმოადგენს ინსტიტუციის ხედვას გლობალური ქსელებში ინტეგრაციისა და უნივერსიტეტის, როგორც საგანმანათლებლო და კვლევითი სრულყოფილების ცენტრის, პოზიციის განმტკიცების შესახებ.

საკვლევი საკითხის ფორმულირება და კვლევის თეორიული მოდელი

საკვლევი საკითხი: როგორ აისახება ინტეგრირებულ თეორიებზე დაფუძნებული სწავლების მოდელი სტუდენტთა პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე?

სტუდენტების პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარება საერთაშორისო მობილობის კონტექსტში ეფუძნება რამდენიმე საკვანძო თეორიულ ჩარჩოს, რომლებიც მოიცავს განათლების, სოციალური ფსიქოლოგიისა და ინტერკულტურული სწავლების პრინციპებს. მოცემული თეორიულ ჩარჩოში განხილულია, როგორ გავლენას ახდენს საერთაშორისო მობილობა სტუდენტების პროფესიული განვითარებაზე და ტრანსფერული უნარების გაძლიერებაზე.

თეორიული ჩარჩო, რომელიც მოიცავს ტრანსფორმაციულ სწავლებას, სოციოკულტურულ ინტერპრეტაციულ პერსპექტივას, ჰუმანურ სწავლებას, დასაქმებადობის და ინტერკულტურული კომპეტენციის მოდელებს, ქმნის მყარ

საფუძველს Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის გავლენის შესაფასებლად. ამ ჩარჩოს გამოყენებით შესაძლებელია დეტალურად შესწავლილ იქნას, როგორ აძლიერებს Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობა სტუდენტების პროფესიულ უნარებს და ზრდის მათი დასაქმებადობის პოტენციალს.

თეორიების არჩევის ლოგიკური დასაბუთება

თეორიების შერჩევა ემყარება იმ კვლევით და პრაქტიკულ აუცილებლობას, რომ სრულფასოვნად აიხსნას მობილობის პროგრამის გავლენა სტუდენტთა უნარებზე. თითოეული თეორია ასახავს უნარების განვითარების განსხვავებულ განზომილებებს. არსებულ ლიტერატურაში ფართოდ არის წარმოდგენილი Erasmus+ პროგრამის გავლენის ზოგადი ანალიზი (Teichler, 2017; González et al., 2020), თუმცა ქართული აკადემიური სივრცის, განსაკუთრებით კი თსუ-ის მაგალითზე, მსგავსი შერეული და მრავალგანზომილებიანი კვლევა ჯერჯერობით არ ჩატარებულა. შესაბამისად, მოცემული დისერტაცია მიზნად ისახავს ამ კვლევით ნიშაში არსებული სიცარიელის შევსებას კონკრეტული ინსტიტუციური პრაქტიკის საფუძველზე მობილობის გავლენის ანალიზით. კვლევა ავითარებს ინტეგრირებულ თეორიულ ჩარჩოს და ემპირიულად ამყარებს იმას, თუ როგორ გარდაქმნის საერთაშორისო მობილობის გამოცდილება სტუდენტთა პროფესიულ, პიროვნულ და ინტერკულტურულ კომპეტენციებს.

1.4. თეორიული ჩარჩო

კვლევის თეორიული ჩარჩო ეყრდნობა შემდეგ ძირითად თეორიებს:

1. **გამოცდილებითი სწავლების თეორია** (Experiential Learning Theory; Kolb, 1984)
განიხილავს სწავლას, როგორც ციკლურ პროცესს, სადაც გამოცდილება გარდაიქმნება ცოდნად. ეს თეორია ლოგიკურად შეირჩა, რადგან საერთაშორისო მობილობისას სტუდენტი მუდმივად იმყოფება ახალ გამოცდილებასთან კონტაქტში, რასაც მოჰყვება რეფლექსია და ცოდნის ინტეგრაცია.

2. **ტრანსფორმაციული სწავლების თეორია** (Transformational Learning Theory; Mezirow, 1991) უზრუნველყოფს ინტერპრეტაციულ ჩარჩოს, რათა ავხსნათ ღირებულებითი ცვლილებები და პიროვნული ზრდა, რაც ხშირად ასოცირდება კულტურული და აკადემიური შოკის გადალახვასთან. სწორედ ეს ასპექტი ხდის მას განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს საერთაშორისო მობილობის კონტექსტში.
3. **სოციოკულტურული თეორია** (Sociocultural Theory; Vygotsky, 1978) შერჩეულია იმის ასახსნელად, თუ როგორ ხდება უნარების განვითარება სოციალური ინტერაქციისა და კულტურული მედიატორების გავლენით. ეს თეორია ლოგიკურად ეხამება იმ გარემოს, სადაც სტუდენტი უცხოენოვან და მრავალკულტურულ ჯგუფებთან კოლაბორაციულ პროცესშია ჩართული.
4. **ჰუმანური სწავლების თეორია** (Humanistic Learning Theory; (Rogers, 1969, Maslow, 1943) ხაზს უსვამს ინდივიდის პიროვნულ ზრდასა და თვითრეალიზაციას. მისი ჩართვა თეორიულ ჩარჩოში გამართლებულია იმით, რომ საერთაშორისო მობილობა არ არის მხოლოდ აკადემიური პროცესი, არამედ სტუდენტის თვითშემეცნებისა და თვითორგანიზაციის საშუალება.
5. **ინტერკულტურული კომპეტენციის თეორია** (Intercultural Competence Theory; Deardorff, 2006 და სხვ.) შეირჩა იმ მიზნით, რომ განვმარტოთ, როგორ ვითარდება კულტურათაშორისი მგრძნობელობა და თანამშრომლობის უნარი მრავალკულტურულ კონტექსტში. იგი იძლევა ინსტრუმენტებს ინტერკულტურული ზრდის შეფასებისთვის, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პირობებში.

თეორიების შერჩევა ეფუძნება ჰოლისტურ მიდგომას, რომელიც მიზნად ისახავს სტუდენტების უნარების კომპლექსურ, მრავალგანზომილებიან განვითარებას. თითოეული თეორია ავსებს მეორეს და ქმნის ინტეგრირებულ ანალიტიკურ ჩარჩოს კვლევის მიზნების ეფექტურად რეალიზებისთვის.

თეორიული მოდელი: ინტეგრირებული ჩარჩო პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის

მოდელი წარმოადგენს ინტეგრირებულ, ჰოლისტიკურ და დინამიკურ ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს ზემოხსენებულ თეორიებს შემდეგი სტრუქტურით:

I. ცენტრალური კომპონენტი: გამოცდილებითი სწავლება

Kolb-ის მოდელის მიხედვით, გამოცდილება მოქმედებს როგორც ცოდნის წყარო. ციკლი მოიცავს:

- უშუალო გამოცდილებას (მაგ.: პროფესიული პრაქტიკა);
- რეფლექსიურ ანალიზს (დაკვირვება, ინტერპრეტაცია);
- კონცეპტუალიზაციას (თეორიული გაფორმება);
- აქტიურ ექსპერიმენტაციას (ახალი მიდგომების ტესტირება).

II. ტრანსფორმაციული განვითარება

Mezirow-ის მიდგომაზე დაყრდნობით:

- სწავლა იწყება ღირებულებებისა და აღქმების კრიტიკული შეფასებით;
- რეალობის ახლებური გააზრება იწვევს მსოფლმხედველობით ტრანსფორმაციას;
- მიღებული ცვლილებები აისახება პროფესიულ იდენტობასა და პიროვნულ ზრდაზე.

III. სოციოკულტურული კომპონენტი

სწავლა განიხილება როგორც კოლაბორაციული პროცესი:

- აქტიური ჩართვა ჯგუფურ აქტივობებში;
- მენტორული და დამრიგებლური მხარდაჭერა;
- კულტურულად სენსიტიური გარემოს გათვალისწინება.

IV. ჰუმანური განვითარება

მოდელის მიხედვით:

- სწავლება ორიენტირებულია სტუდენტის თვითრეალიზაციაზე;

- აღინიშნება ემპათიის, თვითშეფასებისა და პიროვნული ღირებულებების გაზრდის მნიშვნელობა.

V. ინტერკულტურული კომპეტენცია

კულტურულ მრავალფეროვნებაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო მიდგომა; ინტერკულტურული კომუნიკაციისა და თანამშრომლობის უნარების განვითარება.

VI. ინტეგრაცია და უნარების ტრანსფერი

თეორიული კომპონენტების სინთეზი ხელს უწყობს:

სფეროსპეციფიკური, პრაქტიკული და ანალიტიკური პროფესიული უნარების განვითარებას;

ტრანსფერული უნარების გაძლიერებას (კომუნიკაცია, გუნდური მუშაობა, პრობლემის გადაჭრა);

მულტიკულტურულ კონტექსტში ადაპტაციის უნარის ჩამოყალიბებას.

პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარების კონსტრუქტი
კონსტრუქტის სტრუქტურა:

1. კომპონენტები:

- გამოცდილებითი სწავლება
- ტრანსფორმაციული სწავლება
- სოციოკულტურული სწავლება
- ჰუმანური განვითარება
- ინტერკულტურული კომპეტენცია

2. პროცესები:

- Kolb-ის ციკლური მოდელი
- კრიტიკული რეფლექსია (Mezirow)
- სოციალური კონტექსტის ინტეგრაცია

3. შედეგები:

- პროფესიული უნარები: სფეროს ცოდნა, პრაქტიკული გამოცდილება, პრობლემების გადაჭრა
- ტრანსფერული უნარები: კომუნიკაცია, თანამშრომლობა, კრეატიული აზროვნება
- ინტერკულტურული უნარები: კულტურული მგრძნობელობა, მრავალკულტურულ გარემოში ინტეგრაცია


კონსტრუქტის გამოყენების არეალი:

- სასწავლო პროგრამების განვითარება - თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრაცია;
- ტრენინგ მოდულების დიზაინი - პროფესიული კომპეტენციების გაღრმავება;
- ემპირიული კვლევები - სტუდენტთა უნარების განვითარებისა და მათი ტრანსფერული პოტენციალის შეფასება.

თეორიული მოდელის ვიზუალური სტრუქტურა: პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარება


სტუდენტთა პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარების თეორიული მოდელი

კონსტრუქტის გრაფიკული წარმოდგენა



დიაგრამა 1

სტუდენტთა პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარების თეორიული მოდელი



1. გამოცდილებითი სწავლება (Kolb, 1984)

- პრაქტიკული გამოცდილება რეალურ სიტუაციებში
- რეფლექსია - გამოცდილების გააზრება
- ახალი იდეების შექმნა
- პრაქტიკაში გამოყენება

თეორიის სიღრმისეული აღწერა: Kolb-ის მოდელის მიხედვით, სწავლება ეფუძნება ციკლურ პროცესს: გამოცდილების მიღება, რეფლექსია, თეორიული დამუშავება და ახალი იდეების გამოცდა. ეს მიდგომა განსაკუთრებით ეფექტურია პროფესიულ პროგრამებში, სადაც სტუდენტი სწავლობს მოქმედებით და გააზრებით.

2. ტრანსფორმაციული სწავლება (Mezirow, 1991)

- ღირებულებებისა და შეხედულებების კრიტიკული ანალიზი
- პიროვნული და პროფესიული ტრანსფორმაცია

თეორიის სიღრმისეული აღწერა: Mezirow-ის თეორიის მიხედვით, სწავლა ხდება მაშინ, როდესაც ადამიანი იწყებს საკუთარი მსოფლმხედველობის გადახედვას. სწავლების მიზანია, სტუდენტი შეძლოს ცვლილებების აღქმა და საკუთარი თავისა და გარემოს ახლებური გააზრება.

3. სოციოკულტურული სწავლება (Vygotsky, 1978)

- კოლაბორაციული სწავლა და ჯგუფური აქტივობები
- მენტორობა და სოციალური მხარდაჭერა
- კულტურული კონტექსტის გათვალისწინება

თეორიის სიღრმისეული აღწერა: Vygotsky-ს ხედვით, სწავლა არის სოციალური პროცესი, რომელიც ხდება ურთიერთქმედების გზით. კულტურული და სოციალური ფაქტორები განსაზღვრავს როგორ და რას სწავლობს ადამიანი. ეს მიდგომა მნიშვნელოვანია, როდესაც მიზნად ვისახავთ თანამშრომლობით სწავლაზე დაფუძნებულ გარემოს შექმნას.

4. ჰუმანური სწავლება (Rogers, 1969/Maslow, 1943)

- ინდივიდუალური მიზნების და საჭიროებების გათვალისწინება
- ემპათიის, თვითშეფასებისა და მოტივაციის განვითარება

თეორიის სიღრმისეული აღწერა: ჰუმანური თეორია სწავლას მოიაზრებს როგორც ინდივიდუალურ და ემოციურ პროცესს. სასწავლო გარემო უნდა იყოს მხარდამჭერი, მოსწავლეზე ორიენტირებული და ხელს უწყობდეს თვითრეალიზაციას. ეს მიდგომა მნიშვნელოვნად ზრდის მოტივაციას და ჩართულობას.

5. ინტერკულტურული კომპეტენცია (Deardorff, 2006)

- კულტურული მგრძნობელობა და პატივისცემა
- ეფექტური კომუნიკაცია მრავალკულტურულ გარემოში

თეორიის სიღრმისეული აღწერა: ინტერკულტურული კომპეტენციის განვითარება მნიშვნელოვანია გლობალურ გარემოში ეფექტური ფუნქციონირებისთვის. Deardorff-ის მოდელი გულისხმობს დამოკიდებულებების, ცოდნის და უნარების კომბინაციას, რომელიც იწვევს კულტურულად ადეკვატურ ქცევას.

ინტეგრირებული შედეგები

პროფესიული უნარები

- სფეროსპეციფიკური ცოდნა
- პრაქტიკული გამოცდილება
- პრობლემების გადაჭრა

ტრანსფერული უნარები

- ეფექტური კომუნიკაცია
- გუნდური მუშაობა
- კრიტიკული და კრეატიული აზროვნება

ინტერკულტურული უნარები

- თანამშრომლობა სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან
- კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინება

ეს სტრუქტურა წარმოადგენს სწავლების ინტეგრირებულ ჩარჩოს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების მრავალმხრივ განვითარებას როგორც პროფესიულ, ისე სოციალურ და კულტურულ დონეზე.

დასმული პრობლემის საფუძველზე გამოიკვეთა კვლევის მთავარი შეკითხვა: რა წვლილი შეაქვს Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამას ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარებაში?

აღნიშნული კვლევა ფოკუსირებულია იმ მექანიზმების გამოვლენასა და ანალიზზე, რომლებიც Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შედეგად შესაძლებელს ხდის სტუდენტთა პროფესიული კომპეტენციებისა და ზოგადი (ტრანსფერული) უნარების განვითარებას.

კვლევის თეორიული ჩარჩოს საფუძველზე შემუშავდა თეორიული მოდელი, რომელიც ემსახურება პროცესების ახსნას და ინტერპრეტაციას იმ პერსპექტივიდან, თუ როგორ ვითარდება სტუდენტების უნარები ინტერნაციონალიზებული საგანმანათლებლო გამოცდილების გავლენით. აღნიშნული მოდელის ემპირიული ტესტირებისა და კვლევის ინსტრუმენტების ფორმულირებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა კვლევითი შეკითხვების მკაფიოდ განსაზღვრას.

მთავარ კვლევით შეკითხვასთან დაკავშირებული კვლევითი ქვე-კითხვები შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

- რა სარგებელი აქვს გამოცდილებითი სწავლების პროცესს ზოგადად? მიზნად იქნა დასახული იმ სარგებლის გამოვლენა, რომელსაც უშუალო გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლა იძლევა სტუდენტისთვის როგორც ცოდნის ღრმა ინტეგრაციის, ისე პრაქტიკულ სიტუაციებში გამოყენების თვალსაზრისით.
- რა სარგებელი აქვს Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში მონაწილეობას სტუდენტების პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის?
- კვლევა ორიენტირებულია იმ კონკრეტული პროფესიული და ზოგადი უნარების იდენტიფიცირებაზე, რომლებიც სტუდენტებმა განივითარეს საერთაშორისო მობილობის შედეგად.
- რა სარგებელი შეიძლება ჰქონდეს Erasmus+ პროგრამაში ჩართულობას სტუდენტების ცალკეული სოციალური უნარების განვითარებისთვის? კითხვაზე პასუხი შესაძლებელს გახდის, გაანალიზდეს, როგორ უწყობს ხელს მობილობის პროგრამაში მონაწილეობა სტუდენტთა სოციალური ინტეგრაციის, კულტურული მგრძნობელობისა და ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესებას.

აღნიშნული კვლევითი შეკითხვები უზრუნველყოფს თეორიული მოდელის ემპირიულ შესწავლას და კვლევის მიზნებთან შესაბამისობას. ისინი ქმნიან

ანალიტიკურ ჩარჩოს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება მონაცემების სიღრმისეული ანალიზი და ინტერპრეტაცია.

კვლევის ჰიპოთეზა

ვვარაუდობთ, რომ Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში მონაწილეობა და აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საზღვარგარეთ აკადემიურ გარემოში გატარებული პერიოდი დადებითად აისახება სტუდენტების როგორც პიროვნულ, ისე პროფესიულ განვითარებაზე. კერძოდ, ჰიპოთეზა ეფუძნება შემდეგ მოლოდინს: პროგრამაში მონაწილეობის შედეგად გაუმჯობესებული თვითეფექტურობის დონე წარმოადგენს იმ მექანიზმს, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების პიროვნულ ზრდასა და პროფესიული უნარების განვითარებას.

ამასთან, ჰიპოთეზა ემყარება თეორიულ დაშვებას, რომ საერთაშორისო აკადემიური გამოცდილება ხელს უწყობს სტუდენტების თვითწარმოჩენის უნარის გაუმჯობესებას, ამალღებს მათ დამოუკიდებლობას და განავითარებს თვითრეფლექსიის პროცესს. ამასთანავე, ეს გამოცდილება ხელს უწყობს ისეთი ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორიცაა დამოუკიდებლობა, კრიტიკული აზროვნება, ინტერკულტურული კომუნიკაცია და პროფესიული მოქნილობა.

თავი II. კვლევის დიზაინი და მეთოდოლოგია

კვლევისთვის არჩეული იყო შერეული მეთოდების დიზაინი, რაც გულისხმობს როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს. კონკრეტულად გამოყენებულ იქნა კონვერგენტული პარალელური შერეული დიზაინი (*Convergent Parallel Mixed Methods Design*), რომლის მიხედვითაც რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემები გროვდება ერთდროულად, დამოუკიდებლად ფორმულირდება და ანალიზდება, ხოლო საბოლოოდ ხდება მათი შერწყმა და ინტეგრირებული ინტერპრეტაცია (Creswell & Plano Clark, 2011). კვლევის აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს კომპლექსური კვლევითი პრობლემის მრავალმხრივ ანალიზს და ზრდის შედეგების სანდოობასა და ვალიდურობას.

2.1. კვლევის ეტაპები

კვლევა განხორციელდა ოთხ თანმიმდევრულ ეტაპად:

1. სამაგიდე კვლევა (Desk Research)

- შეგროვდა სტატისტიკური და აღწერითი მონაცემები Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში მონაწილე სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შესახებ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან (თსუ), 2016–2022 წლების განმავლობაში;
- ანალიზისთვის მოძიებული იქნა ასევე შესაბამისი კვლევები და აკადემიური პუბლიკაციები, რომლებიც გამოქვეყნებულია პარტნიორ უნივერსიტეტებსა და ევროპის სხვა ქვეყნებში.
- შედგა მონაცემთა ბაზა, რომელიც მოიცავდა პროგრამის მონაწილეთა კატეგორიზაციას ფაკულტეტის, სასწავლო საფეხურისა და პროგრამის ტიპის მიხედვით.

2. პირველი თვისებრივი კვლევა

- განხორციელდა მცირე მასშტაბის ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები თსუ-ის იმ სტუდენტებთან, რომლებიც მონაწილეობდნენ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში;
- მიღებული მონაცემების ანალიზი მოხდა თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდით (qualitative content analysis), რაც გულისხმობს თემატური კატეგორიების იდენტიფიცირებას და ინტერპრეტაციას.

3. რაოდენობრივი კვლევა

- შემუშავდა სტანდარტიზებული კითხვარი, რომელიც შეფასების მიზნებისთვის მოიცავდა ისეთ ცვლადებს, როგორებიცაა: თვითშეფასება, პროფესიული თვითშეფასება, კომუნიკაციის უნარები და ინტერკულტურული მგრძნობელობა;
- მონაცემების შეგროვება განხორციელდა ონლაინ ფორმატით Google Forms-ის საშუალებით;
- რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი ჩატარდა SPSS-ის პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით, ხოლო აღწერით სტატისტიკასთან ერთად განხორციელდა კავშირების დადგენა ცვლადებს შორის.

4. მეორე თვისებრივი კვლევა

- ბოლო ეტაპზე განხორციელდა განმარტებითი ინტერვიუები, რომლებშიც გააქტიურდა კვლევის შუალედური შედეგების ვალიდაცია და მონაცემების ინტერპრეტაციის სიღრმისეული ანალიზი;
- მიღებული ინფორმაციის მეშვეობით დამუშავდა და დაკორექტირდა თეორიული მოდელის ემპირიული განზომილება.

შერეული მეთოდების ფარგლებში განხორციელებული კვლევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა შესაბამისი მონაწილეთა შერჩევა, რომელიც განხორციელდა კვლევის მიზნებთან თანხვედრაში და შესაბამისი მეთოდოლოგიური პრინციპების დაცვით.

მონაწილეთა შერჩევის კრიტერიუმი და მახასიათებლები

კვლევაში მონაწილეობდნენ თსუ-ის საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტები, რომლებიც თავიანთი მობილობის სტატუსის (მონაწილეობდა, გეგმავს, არ ცდილობდა) მიხედვით იყვნენ კლასიფიცირებულნი. შერჩევის სტრატეგია იყო **არაალბათური, მიზნობრივი შერჩევა**, რომელიც ემყარებოდა კვლევის მიზანს - შეეფასებინა მობილობის გავლენა პროფესიულ და ტრანსფერულ უნარებზე. შერჩევის მთავარ კრიტერიუმებს წარმოადგენდა სტუდენტის მონაწილეობის სტატუსი საერთაშორისო კრედიტ-მობილობის ფარგლებში და მის ხელთ არსებული გამოცდილება უნარების გამოყენებისა თუ განვითარების კონტექსტში.

სტატისტიკური ანალიზის საფუძვლები და მეთოდების არჩევის არგუმენტი მონაცემთა დამუშავებისთვის გამოყენებულ იქნა ერთმხრივი დისპერსიული ანალიზი (One-Way ANOVA), ვინაიდან კვლევაში შედიოდა **სამი დამოუკიდებელი ჯგუფი**, ხოლო დამოკიდებული ცვლადები იყო უნარების რაოდენობრივი მაჩვენებლები. ANOVA საშუალებას იძლევა დადგინდეს, არსებობს თუ არა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება ჯგუფებს შორის საშუალო მაჩვენებლების დონეზე. Tukey-ის პოსტ-ჰოკ ტესტი კი გამოყენებულ იქნა ზუსტად იმ ჯგუფებს შორის განსხვავებების განსაზღვრისთვის, რომლებმაც სტატისტიკურად მნიშვნელოვნად სხვადასხვა საშუალო მაჩვენებელი აჩვენეს. ანალიზის მეთოდების შერჩევა ეყრდნობა როგორც კვლევის რაოდენობრივ ბუნებას, ისე მიზანს - გამოჩნდეს კანონზომიერება მობილობის სტატუსისა და უნარების განვითარების კავშირებში.

2.1.1. ჰიპოთეზების ჩამოყალიბება და თეორიული საფუძველი

კვლევის თეორიული და მეთოდოლოგიური ჩარჩოს საფუძველზე ჩამოყალიბდა შემდეგი სამუშაო ჰიპოთეზები, რომლებიც ეფუძნება ოთხ ანალიტიკურ კომპონენტს: თვითეფექტურობა, ტრანსფერული უნარები, პროფესიული კომპეტენციები და ინტერკულტურული მგრძნობელობა.

ჰიპოთეზა 1: თვითეფექტურობა

H1: Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში მონაწილე სტუდენტებს ექნებათ სტატისტიკურად მნიშვნელოვნად უფრო მაღალი თვითეფექტურობის დონე, ვიდრე პროგრამაში არამონაწილე სტუდენტებს.

განმარტება: ბანდურას სოციალური კოგნიტური თეორიის მიხედვით, პიროვნული ეფექტურობის რწმენა განაპირობებს ქცევით მოტივაციას და შედეგებს. მობილობის გამოცდილება აღიქმება როგორც თვითდამკვიდრებისა და დამოუკიდებლობის გაძლიერების საშუალება, რაც აისახება თვითეფექტურობის ინდექსზე.

ჰიპოთეზა 2: ტრანსფერული უნარები

H2: მობილობაში მონაწილე სტუდენტები გამოირჩევიან უფრო მაღალი ტრანსფერული უნარებით (კომუნიკაცია, დამოუკიდებელი სწავლა, გუნდური მუშაობა), ვიდრე კონკურსში არმონაწილე სტუდენტები.

განმარტება: გამოცდილებითი და ტრანსფორმაციული სწავლების თეორიების საფუძველზე, სხვა კულტურულ სივრცეში მიღებული პრაქტიკული გამოცდილება ხელს უწყობს უნივერსალური, მრავალკონტექსტური უნარების განვითარებას. მობილობა ქმნის რეალურ გარემოს ამ უნარების გადრმავეებისთვის.

ჰიპოთეზა 3: პროფესიული კომპეტენციები

H3: Erasmus+ მობილობის გამოცდილება პოზიტიურად მოქმედებს სტუდენტების პროფესიული კომპეტენციების თვითშეფასებაზე.

განმარტება: მობილობის პროგრამაში მონაწილეობა სტუდენტს საშუალებას აძლევს პრაქტიკაში გამოსცადოს აკადემიური და დარგობრივი უნარები, რაც ქმნის პიროვნული და პროფესიული ზრდის საფუძველს. შედეგების საფუძველზე მოსალოდნელია პროფესიული მიზნების უკეთ განსაზღვრა და კარიერული მზადყოფნის ზრდა.

ჰიპოთეზა 4: ინტერკულტურული კომპეტენცია

H4: მობილობაში მონაწილე სტუდენტებს აქვთ უფრო მაღალი ინტერკულტურული მგრძნობელობა და კულტურულად მგრძნობიარე კომუნიკაციის უნარი, ვიდრე მათ, ვისაც მობილობის გამოცდილება არ ჰქონიათ.

განმარტება: Deardorff-ის მოდელის თანახმად, ინტერკულტურული კომპეტენცია მოიცავს ღირებულებებზე, დამოკიდებულებებსა და უნარებზე დაფუძნებულ ქცევით მზაობას, რომელიც ხშირად ყალიბდება სწორედ ინტენსიური კულტურული კონტაქტის პირობებში.

ნულოვანი ჰიპოთეზა (H₀)

Erasmus+ მობილობის პროგრამაში მონაწილეობა არ იწვევს სტატისტიკურად მნიშვნელოვან განსხვავებას თვითფექტურობის, ტრანსფერული უნარების, პროფესიული კომპეტენციებისა და ინტერკულტურული მგრძნობელობის დონეებში.

ჰიპოთეზების ჩამოყალიბება ემყარება თეორიულ მოდელსა და ემპირიულ ბაზისს (ANOVA ანალიზი, თვითშეფასების ინსტრუმენტები და ფოკუს-ჯგუფის მიგნებები), რაც მათ მეტ ვალიდურობას და სანდოობას ანიჭებს.

2.2. თვისებრივი კვლევის სტრუქტურა

2.2.1. მონაწილეების შერჩევა

თვისებითი კვლევის მონაწილეთა შერჩევა განხორციელდა არაალბათური, მიზნობრივი და ხელმისაწვდომობის პრინციპით, რაც თვისებრივ კვლევებში ფართოდ მიღებული პრაქტიკაა (Patton, 2015). შერჩევის კრიტერიუმებს წარმოადგენდა როგორც პროგრამაში მონაწილეობის ფაქტი, ისე პროფესიული კავშირი Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამასთან ადმინისტრაციულ, აკადემიურ ან მენეჯერულ დონეზე.

2.2.2. სიღრმისეული ინტერვიუების მონაწილეები

ინტერვიუები ჩატარდა თსუ-ის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენლებთან, მათ შორის:

- ფაკულტეტების დეკანები ($n=5$)
- თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლები ($n=5$)
- ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელები და სამეცნიერო მიმართულებების კოორდინატორები ($n=3$)
- Erasmus+ პროგრამის მონაწილე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ($n=14$)

სიღრმისეული ინტერვიუების მიზანი იყო ორგანიზაციული ხედვის, სტრატეგიული მენეჯმენტის და პროგრამის ეფექტიანობის შიდა ანალიზის ხელშეწყობა.

2.2.3. ფოკუს-ჯგუფები

ფოკუს-ჯგუფური ინტერვიუები ჩატარდა პროგრამის მონაწილე სტუდენტებთან, რომლებიც წარმოადგენდნენ სწავლების სამივე საფეხურს (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო). ფოკუს-ჯგუფების ჩატარება განხორციელდა ორ ეტაპად:

I ეტაპი - რაოდენობრივი კვლევის დაწყებამდე ჩატარდა ორი ფოკუს-ჯგუფი სტუდენტებთან ($n=16$; მათ შორის, 10 ქალი და 6 მამაკაცი), რომელთაგან ნაწილი უკვე დასაქმებულია, ხოლო ნაწილი აგრძელებს სწავლას. სტუდენტები მონაწილეობდნენ Erasmus+ პროგრამაში 2016–2022 წლებში.

II ეტაპი - რაოდენობრივი კვლევის დასრულების შემდეგ ჩატარდა სამი ფოკუს-ჯგუფი ($n=21$; 16 ქალი და 5 მამაკაცი), რომელშიც მონაწილეობდნენ 2024–2025 წლების Erasmus+ მობილობის მონაწილე სტუდენტები, თსუ-ს თითქმის ყველა ფაკულტეტიდან და სწავლების სამივე საფეხურიდან.

ფოკუს-ჯგუფების ჩატარების გადაწყვეტილება ეფუძნება ავტორთა ჯგუფის (Krueger & Casey, 2015; Morgan, 1997; Creswell & Creswell, 2018) მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რომლის მიხედვითაც ფოკუს-ჯგუფები ხელს უწყობს როგორც კვლევის სტრუქტურის ფორმირებას, ისე მონაცემების სიღრმისეულ ინტერპრეტაციასა და ვალიდაციას.

- კვლევის დაწყებამდე ჩატარებული ფოკუს-ჯგუფები დაეხმარა ავტორს ძირითადი თემების გამოვლენასა და კითხვარის ადეკვატურობის შეფასებაში;
- კვლევის შემდგომი ფოკუს-ჯგუფები გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზის გასაღრმავებლად და ჰიპოთეზების განმარტებისთვის.

2.2.4. ეთიკური სტანდარტების დაცვა

კვლევის განხორციელებისას დაცული იყო ყველა ძირითადი ეთიკური პრინციპი.

- ყველა მონაწილე წინასწარ ინფორმირდა აუდიოჩანაწერის მიმდინარეობის შესახებ და ინტერვიუს გაგრძელება ხდებოდა მხოლოდ მათი წერილობითი ან ვერბალური თანხმობის შემთხვევაში.
- მონაწილეებს ჰქონდათ შესაძლებლობა, ნებისმიერ მომენტში შეეწყვიტათ მონაწილეობა კვლევაში ან არ ეპასუხათ მათთვის არასასურველ კითხვებზე.
- მონაცემები დამუშავდა ანონიმურად, რაც უზრუნველყოფს მონაწილეთა იდენტობის დაცვასა და ინფორმაციის კონფიდენციალურობას.

2.2.5. თვისებრივი კვლევის ინსტრუმენტები

თვისებრივი მონაცემების შეგროვებისთვის გამოყენებულ იქნა სპეციალურად შემუშავებული სადისკუსიო გეგმები, რომლებიც შეიქმნა კვლევის თეორიული ჩარჩოსა და პრაქტიკული მიზნების შესაბამისად.

შესაბამისად, შემუშავდა შემდეგი ინსტრუმენტები:

- სამი განსხვავებული სადისკუსიო გეგმა სიღრმისეული ინტერვიუებისთვის, რომელიც მორგებული იყო მიზნობრივი ჯგუფების (აკადემიური პერსონალი, ადმინისტრაციული მენეჯმენტი და ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები) სპეციფიკას;
- ერთი სადისკუსიო გეგმა ფოკუს-ჯგუფური ინტერვიუებისთვის, რომელიც მოიცავდა სტუდენტთა პერსპექტივების, გამოცდილებისა და შეფასებების დადგენას.

სადისკუსიო გეგმებში შედიოდა კითხვები, რომლებიც მოიცავდა შემდეგ თემატიკას:

- რესპონდენტთა დამოკიდებულება Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის მიზნებისა და აქტუალობის მიმართ;
- პროგრამის ეფექტურობის სუბიექტური შეფასება;
- პროგრამაში მონაწილეობის გავლენა სტუდენტთა აკადემიურ, პროფესიულ და სოციალურ განვითარებაზე;

- პროგრამის მენეჯმენტთან დაკავშირებული მოსაზრებები.

კითხვები დაიგეგმა ნახევრადსტრუქტურირებული ფორმატით, რაც შესაძლებელს ხდიდა ერთდროულად კვლევის მიზნების დაფარვასა და ინტერვიუერ-მონაწილეს შორის ღია დიალოგის წარმართვას.

2.3. რაოდენობრივი კვლევის სტრუქტურა

2.3.1. მონაწილეების შერჩევა

შერჩევა კვლევაში განხორციელდა არაალბათური, მიზნობრივი და ხელმისაწვდომობის პრინციპზე დაყრდნობით (*non-probability purposive and convenience sampling*), რაც ტიპური მიდგომაა განათლების სფეროში განხორციელებულ შერეულ კვლევებში, სადაც მიზნობრივი ჯგუფის თვისობრივი გაგება და დეტალური აღწერა წარმოადგენს კვლევის ძირითად მიზანს.

მონაწილეთა შერჩევა ემყარებოდა შემდეგ კრიტერიუმებს:

- სტუდენტების ან პერსონალის უშუალო კავშირი Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამასთან (მონაწილეობის ან მართვის თვალსაზრისით);
- სხვადასხვა საფეხურის (საბაკალავრო, სამაგისტრო, სადოქტორო) წარმომადგენლობა;
- თანხმობა კვლევაში მონაწილეობის შესახებ და ხელმისაწვდომობა შერჩევის ეტაპზე.

2.3.2. რაოდენობრივი კვლევის მონაწილეები

რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 355 სტუდენტმა.

თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, რომელიც აქვს პროექტის კოორდინატორს, 2016–2022 წლებში Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის კონკურსში მონაწილეობა ჰქონდა მიღებული 946 აპლიკანტს, რომლებსაც კვლევაში მონაწილეობის შეთავაზება გაეგზავნათ ელექტრონული გზით. გამოკითხვებში შედიოდნენ როგორც მოქმედი სტუდენტები, ასევე

კურსდამთავრებულები ბაკალავრიატიდან, მაგისტრატურიდან და დოქტორანტურიდან.

კვლევითი დიზაინის საფუძველზე, გამოკითხვა ჩატარდა სამ ცალკეულ ქვეჯგუფში, რათა შესაძლებელი ყოფილიყო მონაცემების შედარებითი ანალიზი:

1. პროგრამაში მონაწილე სტუდენტები - კონკურსში გამარჯვებულები ($N=139$)
2. კონკურსში მონაწილე, მაგრამ გამარჯვების გარეშე დარჩენილი სტუდენტები ($N=137$)
3. პროგრამაში მონაწილეობა არმიღებული სტუდენტები ($N=79$)

ასეთი დიფერენცირებული შერჩევის სტრატეგია ეფუძნება ჰიპოთეტურ დაშვებას, რომ სტუდენტები, რომლებიც გამოვლინდნენ როგორც კონკურსის მონაწილეები, შესაძლოა, იზიარებდნენ მსგავს მოტივაციას, ღირებულებებს ან უნარებს. ეს მიდგომა უზრუნველყოფს მონაცემთა ანალიზის სიზუსტეს და აძლიერებს კვლევის შედეგების ინტერპრეტაციის სიღრმეს.

ცხრილი 3. კვლევის მონაწილეების ჯგუფური განაწილება

მობილობა 3 ჯგუფად		
	Frequency	Percent
მქონდა	139	39,2
ჯერ არა, მაგრამ მივდივარ/ვერ გავიარე გასუბრება	137	38,6
არა და არც მიცდია	79	22,3
Total	355	100,0

2.3.3. კვლევისთვის გამოყენებული ცვლადების ოპერაციონალიზაცია

კვლევის თეორიული ჩარჩოსა და ჰიპოთეზის საფუძველზე, კვლევაში გამოვლინდა სამი ძირითადი ცვლადი:

1. დამოუკიდებელი ცვლადი (Independent Variable):
 - Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობის სტატუსი
 - კონკურსში გამარჯვებული
 - კონკურსში მონაწილე, მაგრამ არა გამარჯვებული

- არასდროს მიუღია მონაწილეობა

2. დამოკიდებული ცვლადები (Dependent Variables): დამოკიდებული ცვლადები ოპერატიულად გამოხატავს იმ კომპონენტებს, რომლებზეც სავარაუდოდ მოქმედებს დამოუკიდებელი ცვლადი, რომელიც მოცემულია ცხრილ 4-ში, კერძოდ:

ცხრილი 4. დამოკიდებული ცვლადები ოპერაციონალიზაცია და შეფასების სკალა
(ლიკერტის 5-ქულიანი სკალა (1=ძალიან დაბალი, 5=ძალიან მაღალი))

ცვლადი	ოპერაციონალიზაცია/შეფასების განზომილება	შეფასების სკალა
თვითეფექტურობა	საკუთარი შესაძლებლობების რწმენა, წარმატების მოლოდინი აკადემიურ და პროფესიულ საქმიანობაში	5 ქულიანი სკალა
პიროვნული ზრდა	თვითშემეცნების, დამოუკიდებლობისა და ემოციური ინტელიგენციის გაძლიერება	5 ქულიანი სკალა
პროფესიული კომპეტენცია	სფერო-სპეციფიკური უნარები, გადაწყვეტილების მიღების უნარი, დროის მართვა	5 ქულიანი სკალა
ტრანსფერული უნარები	გუნდთან მუშაობა, კომუნიკაცია, პრობლემების გადაჭრა	5 ქულიანი სკალა
ინტერკულტურული მგრძნობელობა	კულტურული სხვაობებისადმი პატივისცემა, უცხო გარემოში ადაპტაცია	5 ქულიანი სკალა
პროგრამის ეფექტიანობის შეფასება	სუბიექტური დამოკიდებულება Erasmus+ გამოცდილების მიმართ	5 ქულიანი სკალა

2.3.4. კვლევის ინსტრუმენტები

კვლევის რაოდენობრივი ნაწილისთვის შემუშავდა თვითადმინისტრირებადი სტანდარტიზებული კითხვარი, რომლის მიზანია გამოავლინოს სტუდენტთა შეხედულებები, სუბიექტური შეფასებები და გარკვეული ფსიქოლოგიური მახასიათებლები იმ გავლენაზე, რასაც Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში მონაწილეობის გამოცდილება ახდენს მათ პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაზე.

კითხვარი მოიცავდა რამდენიმე შინაარსობრივ ბლოკს, მათ შორის:

- დემოგრაფიული მონაცემები (სქესი, ასაკი, საფეხური, ფაკულტეტი);
- Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობის სტატუსი;
- თვითეფექტურობის, პროფესიული განვითარებისა და ინტერკულტურული კომპეტენციების თვითშეფასება;
- Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის გავლენის შეფასება პიროვნულ და აკადემიურ ზრდაზე.

კითხვარის შემუშავება ეფუძნებოდა წინასწარი სამაგიდე და თვისებრივი კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზს, რაც უზრუნველყოფდა კვლევის ინსტრუმენტის შინაარსობრივად ადეკვატურ ფორმირებას. კითხვარი მოიცავდა დახურული ტიპის კითხვებს, რომლებიც შეფასების საშუალებას იძლეოდა ლიკერტის სკალის (1–5 ქულა) მეშვეობით. თითოეული ბლოკი მიმართული იყო კონკრეტული დამოკიდებულებების, უნარებისა და ქცევითი მზაობის შეფასებაზე.

ფსიქოლოგიური ინსტრუმენტი: თვითეფექტურობის სკალა

კვლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო ფსიქოლოგიური კონსტრუქტის - თვითეფექტურობის - რაოდენობრივი შეფასება. ამ მიზნით კითხვარში ჩაშენებულ იქნა ფსიქომეტრული ინსტრუმენტი „ბავშვთა და მოზარდთა თვითეფექტურობის სკალა“ (Child and Adolescent Self-Efficacy Scale, Bandura et al., 1996). აღნიშნული სკალა შემუშავებულია ალბერტ ბანდურასა და მისი კოლეგების მიერ 1996 წელს და მიზნად ისახავს ბავშვებისა და მოზარდების თვითეფექტურობის დონის შეფასებას სხვადასხვა ამოცანის შესრულებისა და სირთულეებთან გამკლავების კონტექსტში.

სკალა ეფუძნება ბანდურას სოციალური-კოგნიტური თეორიის ძირითად პრინციპებს და ითვალისწინებს ინდივიდის უნარს მოახდინოს საკუთარი ქცევის კონტროლი და გააანალიზოს საკუთარი შესაძლებლობები კონკრეტულ სიტუაციაში წარმატების მისაღწევად. სკალა ითვალისწინებს თვითეფექტურობის სამ ძირითად განზომილებას:

1. **აკადემიური თვითეფექტურობა** - რწმენა საკუთარი აკადემიური უნარების მიმართ;
2. **სოციალური თვითეფექტურობა** - რწმენა საკუთარი შესაძლებლობის მიმართ, დაამყაროს და შეინარჩუნოს სოციალური ურთიერთობები;
3. **ემოციური თვითეფექტურობა** - უნარი საკუთარი ემოციების მართვისა და სტრესულ სიტუაციებთან გამკლავების თვალსაზრისით.

კვლევის ინსტრუმენტის თეორიული საფუძველი

რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტის - თვითადმინისტრირებული კითხვარის - თეორიული საფუძველი ეფუძნება ალბერტ ბანდურას მიერ ჩამოყალიბებულ თვითეფექტურობის კონცეფციას, რომელიც წარმოადგენს ადამიანის რწმენას საკუთარი შესაძლებლობებისადმი და განაპირობებს მის ქცევას, მოტივაციასა და პიროვნულ განვითარებას (Bandura, 1977).

ბანდურას **თვითეფექტურობის თეორია** ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ინდივიდები არ არიან მხოლოდ პასიური რეაგირებით მოქმედი სუბიექტები, არამედ ისინი აქტიურად ზემოქმედებენ საკუთარ ქცევაზე, მიზნებზე და მოლოდინებზე. შესაბამისად, თვითეფექტურობის მაღალი დონე აძლიერებს სწავლის, მიზნების დასახვისა და გამოწვევებთან გამკლავების მოტივაციას.

აღნიშნული სკალა ფართოდ გამოიყენება განათლების, განვითარების ფსიქოლოგიისა და სოციალური ფსიქოლოგიის კვლევებში და ითვლება ვალიდურ ინსტრუმენტად თვითეფექტურობის კომპლექსური შეფასებისთვის.

სკალის ადაპტაცია ქართულ კონტექსტში

ბანდურას სკალა ადაპტირებულია ქართულ პოპულაციაზე თ. ბანძელაძის მიერ (2016), რომელიც ფსიქოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად მომზადებულ დისერტაციაში წარმოგვიდგენს სკალის კულტურულ და ლინგვისტურ ინტეგრაციას. ადაპტაცია მიზნად ისახავდა სკალის ადგილობრივი სოციალური კონტექსტისთვის მორგებას და მისი სიზუსტის, ვალიდურობისა და სანდოობის დადასტურებას.

ადაპტირებული სკალა ითვალისწინებს:

- ლინგვისტურ შესაბამისობას ქართულ კულტურულ ნორმებთან;
- ასაკობრივად ადეკვატურ ფორმულირებებს;
- ადგილობრივი რეალობის გათვალისწინებით შერჩეულ სკალაზე შეფასებას.

ამ გზით მიღწეულია ინსტრუმენტის ეფექტიანობა ქართულ აკადემიურ სივრცეში თვითეფექტურობის ინდივიდუალური განსხვავებების ასახვისთვის. ადაპტაციის პროცესში გათვალისწინებული იყო სკალის კონტენტური და კულტურული შესაბამისობა მოზარდთა გამოცდილებასთან. სკალა მოიცავს რამდენიმე ქვეკატეგორიას, მათ შორის: სოციალური რესურსების გამოყენება, სწავლის პროცესის მართვა, ექსტრაკურიკულარული აქტივობები, თვითრეგულაცია, ასერტული ქცევა და სოციალური აქტივობების შესრულება.

სკალის სანდოობის შესაფასებლად გამოყენებული იქნა შიდა თანმიმდევრულობის მაჩვენებელი - კრონზახის ალფას კოეფიციენტი. ძირითადი სკალისთვის $\alpha=.95$, ხოლო ქვეკატეგორიების მიხედვით ცალკეულ კოეფიციენტთა დიაპაზონი მერყეობდა .83-დან .90-მდე, რაც მიუთითებს ინსტრუმენტის მაღალ შიდა კონსისტენტურობაზე და სანდოობაზე.

აღნიშნული შედეგები ადასტურებს, რომ სკალა წარმატებით არის ადაპტირებული ქართულ კონტექსტში და შეუძლია ეფექტურად შეაფასოს თვითეფექტურობის რწმენები.

ინსტრუმენტის გამოყენება და გავრცელება

თვითადმინისტრირებული კითხვარი **ონლაინ ფორმატით** შეივსო, გამოყენებული იყო Google Forms პლატფორმა. კითხვარი გაგზავნილ იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის ბაზაში არსებულ იმ პირებთან, რომლებიც 2016–2022 წლებში ფიქსირდებოდნენ როგორც Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის კონკურსანტები, ან კონკურსით დაინტერესებული სტუდენტები.

- თითოეულ პირს ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაეგზავნა ბმული კითხვარზე;
- თანდართული იყო ინფორმაციული წერილი კვლევის მიზნებისა და ეთიკური სტანდარტების შესახებ;
- მონაწილეები იძლეოდნენ ინფორმირებულ თანხმობას ჩართულობისთვის, ხოლო მონაწილეობის სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში, ავსებდნენ კითხვარს.

2.3.5. ეთიკური სტანდარტები


დაცული იყო კვლევის ეთიკური სტანდარტები, მათ შორის:

- ნებაყოფლობითი მონაწილეობა;
- ანონიმურობის დაცვა;
- მონაცემთა კონფიდენციალურობა.

2.4. კვლევის ეტაპები

კვლევის დიზაინი ითვალისწინებდა მონაცემთა შეგროვებას **სამ სხვადასხვა ეტაპზე**, რაც განაპირობა კვლევის შინაარსობრივმა სიღრმემ, შერეული მეთოდების დიზაინმა და მონაცემთა ვალიდაციის საჭიროებამ.

დიაგრამა 2. მეთოდოლოგიური დიაგრამა - კვლევის ეტაპები



I ეტაპი: 2022–2023 წლები

- **სიღრმისეული ინტერვიუები** - სულ ჩატარდა 27 ინტერვიუ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლებთან, Erasmus+ პროგრამის მენეჯმენტსა და მონაწილეებთან.
- **ფოკუს-ჯგუფები სტუდენტებთან** - ჩატარდა ორი ჯგუფური დისკუსია პროგრამის ყოფილ მონაწილეებთან.
- **პირველი ეტაპის გამოკითხვა** - მონაწილეობა მიიღო 165-მა სტუდენტმა, მათ შორის როგორც პროგრამაში მონაწილე, ისე მონაწილეობის გარეშე დარჩენილმა პირებმა.

II ეტაპი: 2024 წელი

- **ფოკუს-ჯგუფები** - ჩატარებულ იქნა ორი ფოკუს-ჯგუფი ახალი თაობის მონაწილეებთან (2024–2025 სასწავლო წლის განმავლობაში ჩართულ სტუდენტებთან).
- **გამოკითხვის მეორე ტალღა** - მონაწილეობა მიიღო 190-მა სტუდენტმა, რაც ზრდის შერჩევის მოცულობას და აუმჯობესებს ანალიზის შესაძლებლობებს ქვეჯგუფებს შორის.

III ეტაპი: 2025 წელი

- **ფოკუს-ჯგუფები** - განხორციელდა დამატებით სამი ფოკუს-ჯგუფი სხვადასხვა ფაკულტეტის და საფეხურის სტუდენტებთან, რაც უზრუნველყოფს კვლევის შედეგების სიღრმისეულ განმარტებას და ინტერპრეტაციის გამყარებას.

2.5. მონაცემთა დამუშავება

მონაცემების რაოდენობრივი ანალიზი განხორციელდა SPSS ვერსია 25-ის გამოყენებით, რაც ითვალისწინებდა როგორც აღწერით, ისე ინფერენციულ სტატისტიკას (inferential statistics). კონკრეტულად გამოყენებულ იქნა:

- აღწერითი სტატისტიკა (საშუალოები, დისპერსიები, პროცენტული განაწილება);
- ჯგუფებს შორის შედარება (ANOVA, T-test);
- კორელაციური ანალიზი ცვლადებს შორის კავშირის დასადგენად.

დამატებით, თვისებრივი მონაცემები (ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფები) დამუშავდა თემატური ანალიზის და თვისებრივი კონტენტ-ანალიზის მეთოდებით, რაც უზრუნველყოფს მრავალშრიანი ინტერპრეტაციის და თეორიული მოდელის ემპირიულად გამყარებას.

თავი III. კვლევის შედეგები და ანალიზი

3.1. თვისებრივი კვლევის ანალიზი და მიგნებები

კვლევის თვისებრივი ნაწილი მიზნად ისახავდა Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის გავლენის შეფასებას სტუდენტებისა და პროგრამასთან დაკავშირებული პერსონალის ინდივიდუალური გამოცდილებების, აღქმებისა და სუბიექტური ინტერპრეტაციების საფუძველზე.

ინფორმაცია შეგროვდა როგორც სიღრმისეული ინტერვიუების, ასევე ფოკუს-ჯგუფური დისკუსიების მეშვეობით.

ფოკუს-ჯგუფები

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილეობდა 16 სტუდენტი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში სხვადასხვა პერიოდში (2016–2022 წწ.). მათგან 10 იყო ქალი და 6 - მამაკაცი. ფოკუს-ჯგუფის წევრები წარმოადგენდნენ სწავლების სამივე საფეხურს და განსხვავდებოდნენ როგორც აკადემიური დისციპლინებით, ისე საერთაშორისო გამოცდილებით.

სიღრმისეული ინტერვიუების გეგმა და ანალიზი

ცხრილი 5. სიღრმისეული კვლევის მონაწილეები

მონაწილე პერსონალი	რაოდენობა
თსუ ფაკულტეტის დეკანი	5
თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელი	5
ფაკულტეტების სამეცნიერო მიმართულების წარმომადგენლები	3
Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის მონაწილე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი	14

სადისკუსიო გეგმა სიღრმისეული ინტერვიუებისთვის იყო ნახევრადსტრუქტურირებული და მოიცავდა ღია კითხვებს, რომლებიც შეესაბამებოდა კვლევის თეორიულ ჩარჩოსა და მიზნებს. კითხვები დაფარავდა შემდეგ საკითხებს:

- Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ეფექტურობის შეფასება;
- პროგრამის გავლენა სტუდენტთა პროფესიულ და პიროვნულ განვითარებაზე;
- ინტერკულტურული და სოციალური უნარების ცვლილება;
- პროგრამაში მონაწილეობის პირადი მოტივაცია და სირთულეები.

ინტერვიუების აუდიოჩანაწერები დეტალურად ტრანსკრიბირდა და ანალიზი განხორციელდა თემატური კონტენტ-ანალიზის მეთოდით, რაც გულისხმობს ტექსტში განმეორებადი აზრობრივი ერთეულების ამოცნობას, კატეგორიების ფორმირებას და მათი სტრუქტურული ერთიანობის განსაზღვრას.

ანალიზის მეთოდოლოგია

კონტენტ-ანალიზის პროცესი მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

1. ტრანსკრიბირებული ტექსტების მრავალჯერადი წაკითხვა;
2. ცოდნის შინაარსობრივი ბლოკების იდენტიფიცირება;
3. კატეგორიების და ქვეკატეგორიების გამოყოფა როგორც წინასწარ განსაზღვრული, ისე ინტუიტიურად ამოწურული ერთეულების საფუძველზე;
4. კატეგორიების თეორიულ ჩარჩოსთან შეჯერება (თვითეფექტურობა, ინტერკულტურული კომპეტენცია, აკადემიური ზრდა და სხვ.);
5. ციტატების და მაგალითების შერჩევა, რომლებიც ასახავს ტიპურ მიგნებებს.

3.2. მიგნებების თემატური ანალიზი

სიღრმისეული ინტერვიუებისა და ფოკუს-ჯგუფების მონაცემების ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა ოთხი ძირითადი თემა, რომლებიც ასახავს Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის გავლენას სტუდენტებზე და პროგრამაში ჩართულ პერსონალზე:

თემა I: პიროვნული განვითარება

ქვეკატეგორიები:

- დამოუკიდებლობის გაზრდა

- პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერება
- თვითშეფასების გაუმჯობესება
- ემოციური სიმტკიცის განვითარება

მონაწილეთა ციტატები ამ თემიდან მიაწოდებდა იმაზე, რომ პროგრამაში ჩართვამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია თვითრწმენასა და ცხოვრებისეული გამოწვევებისადმი მზაობაზე.

თემა II: პროფესიული კომპეტენციების განვითარება

ქვეკატეგორიები:

- აკადემიური უნარების გაღრმავება (Presentation, Writing Skills)
- სფეროსპეციფიკური ცოდნის გაფართოება
- კვლევითი კომპეტენციების განვითარება
- პრაქტიკული უნარების გამოყენება ახალ კონტექსტში

ეს თემა ხაზს უსვამს სტუდენტების მიერ ახალი აკადემიური გარემოსგან მიღებულ პროფესიულ სარგებელს.

თემა III: ინტერკულტურული და სოციალური უნარების განვითარება

ქვეკატეგორიები:

- კულტურული მგრძნობელობის ამაღლება
- კომუნიკაციის მრავალფეროვანი სტილის გაცნობა
- განსხვავებული ღირებულებების მიღების უნარი
- სოციალური ქსელის გაფართოება

ინტერვიუებსა და ფოკუს-ჯგუფებში განსაკუთრებით ძლიერი იყო იმ მონაწილეთა გამოხმაურება, რომელთაც პარტნიორ ქვეყანაში გამოცდილების შედეგად მნიშვნელოვნად გაეზარდათ ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარები.

თემა IV: პროგრამის ორგანიზაციული შეფასება და რეკომენდაციები

ქვეკატეგორიები:

- ინფორმაციის ნაკლებობა და კომუნიკაციური ბარიერები

- პროგრამის ადმინისტრირების ძლიერი და სუსტი მხარეები
- თანამშრომლობა ფაკულტეტებსა და ადმინისტრაციას შორის
- რეკომენდაციები პროგრამის გაუმჯობესებისთვის

ეს თემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკის დონეზე ცვლილებების ან სისტემური გაუმჯობესებების გეგმების შესამუშავებლად.

3.3. ზოგადი სარგებელი ინტერნაციონალიზაციის კონტექსტში

თემატური ანალიზის შედეგად გამოიკვეთა მნიშვნელოვანი მიგნება: კვლევის მონაწილეები ერთხმად აღნიშნავენ, რომ Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამა არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ ინსტიტუციურ და სტრატეგიულ დონეზეც ახდენს დადებით გავლენას.

პროგრამა აღიქმება როგორც ინტერნაციონალიზაციის მექანიზმი, რომელიც ხელს უწყობს ქართული აკადემიური სივრცის ინტეგრაციას ევროპულ საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემაში. ეს პროცესი მოიაზრება განათლების ხარისხის გაუმჯობესებისა და პროფესიონალიზმის ამაღლების საშუალებად, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის.

„გაცვლითი პროგრამები მეტი პირისპირ კონტაქტის საშუალებას იძლევა კონკრეტულ გარემოში, იმ უნივერსიტეტის, ქვეყნის წესების, მოდელების, სწავლების მეთოდების, თვითონ სასწავლო პროგრამების გაცნობის და ჩართვის და ამ ყველაფრის გაზიარების შესაძლებლობას. მგონია, რომ ეს ყოველივე გვეხმარება საერთოდ ამ დიდ სამეცნიერო სივრცესთან დაახლოებაში, ჩართულობაში და პლიუს გვიქმნის კიდევ პლატფორმას, რომ ჩვენი სიტყვა ვთქვათ იქ ჩვენი დარგების მიხედვით“ - აკადემიური პერსონალი

გაცვლით პროგრამაში მონაწილეობა განიხილება როგორც ინსტიტუციური პოტენციალის გაძლიერების შესაძლებლობა, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც ურთიერთობები იქცევა პროფესიულ ქსელებად და გრძელვადიან თანამშრომლობად.

აკადემიური თვალსაზრისი

აკადემიური პერსონალის შეფასებით, ერთჯერად ვიზიტებსაც კი, როგორცაა პერსონალის მოკლევადიანი მობილობა, აქვს სიღრმისეული ზეგავლენა პროფესიულ განვითარებასა და სწავლების ხარისხზე. პერსონალი ხედავს ღირებულ შესაძლებლობებს უცხოურ უნივერსიტეტებში დაკვირვების, სწავლის მეთოდოლოგიის გაცნობისა და უკუკავშირის ფარგლებში:

„ადამიანები სწავლობენ, იძენენ ახალ გამოცდილებას... ამ გამოცდილებით ბევრ, ესე ვთქვათ, ჩვევას, უნარს, ამ კომუნიკაციის დამყარების, თანამშრომლობის და ა.შ. იძენ“
- აკადემიური პერსონალი

სარგებელი სტუდენტისა და ქვეყნისთვის

ინტერნაციონალიზაცია აღიქმება როგორც ღირებულებათა გადანაწილების და კულტურული ტრანსფორმაციის პროცესის კატალიზატორი. როგორც ერთ-ერთმა რესპონდენტმა აღნიშნა: *„ჩვენი სტუდენტების დიდი ნაწილი ვერ იქნება ჰომოფობი... განსხვავებულ ადამიანებთან ურთიერთობებით, მეცადინეობით და ლექციებზე დასწრებით იძენენ ბევრ სასიკეთო ცოდნას და უნარს, რომელიც მათი ღირებულებების დახვეწას ახერხებს... სწორედ ეს არის მნიშვნელოვანი ქვეყნისთვის“* - აკადემიური პერსონალი

აღნიშნული მოსაზრებები ასახავს ინტერნაციონალიზაციის გავლენას მოქალაქეობრივი ცნობიერების, ტოლერანტობისა და პასუხისმგებლიანი საზოგადოების ფორმირების თვალსაზრისით.

როგორც თვისებრივმა ინტერვიუებმა და ფოკუსჯგუფებმა ცხადყო, თსუ-ში მობილობაში მონაწილე სტუდენტების მნიშვნელოვანი ნაწილი ინტერნაციონალიზაციის ძირითად სარგებლად ასახელებს პროფესიულ კომპეტენციებზე მეტად პიროვნულ ტრანსფორმაციას, მათ შორის ღია ხედვებს, მეტ თვითდაჯერებას და ინტერკულტურულ კომუნიკაციას.

მსგავსად, სხვა ევროპული უნივერსიტეტების მაგალითზე დაფუძნებული კვლევაც ადასტურებს, რომ მობილობის გამოცდილება სტუდენტებისთვის არამხოლოდ აკადემიური მიღწევების კონტექსტში, არამედ ფართო სოციალურ და კულტურულ დონეზე ტრანსფორმაციულ გავლენას ახდენს. Roman & Bulat-ის (2024) კვლევის

თანახმად, Erasmus+ პროგრამის თანამშრომელთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ მობილობის შედეგები უნივერსიტეტებში სისტემური ცვლილებების შესაძლებლობებს ქმნის, მათ შორისაა სტუდენტთა ჩართულობის ზრდა, სამეცნიერო თანამშრომლობა და ხარისხის უზრუნველყოფის ინოვაციური მიდგომები.

ამგვარი პარალელები აძლიერებს იმ მიდგომას, რომ ინტერნაციონალიზაცია არ უნდა განვიხილოთ მხოლოდ ქულების აღიარების ან სტიპენდიის სქემად, არამედ როგორც კომპლექსური კულტურულ-აკადემიური გამოცდილება, რომელიც მნიშვნელოვნად ამდიდრებს სტუდენტების და ინსტიტუტების განვითარების პოტენციალს.

ეროვნული დონეზე ჩატარებული კვლევები ადასტურებს სტუდენტური და პერსონალის მობილობის დადებით გავლენას როგორც ინდივიდუალურ, ისე ინსტიტუციურ განვითარებაზე. მაგალითად, ICM staff mobility-ის ანგარიშის მიხედვით, სტუდენტების უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პროგრამის შედეგად გაზარდა აკადემიური თვითდაჯერებულობა, უცხო ენების გამოყენების უნარი და ინტერკულტურული კომუნიკაციის კომპეტენცია. ასევე გამოიკვეთა, რომ მობილობის გამოცდილება ხშირად იწვევს მოტივაციის ზრდას და საკუთარი პროფესიული მიზნების გამოკვეთას (Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი, 2019).

3.4. პიროვნული განვითარება: მობილობის პროგრამის გავლენა სტუდენტის ინდივიდუალურ ზრდაზე

Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ერთ-ერთ მთავარ მიზნებად კვლევაში გამოიკვეთა ის, რომ პროგრამაში მონაწილეობა **სტუდენტების პიროვნული ზრდის ხელშემწყობად აღიქმება**. პროგრამაში მონაწილე სტუდენტები გამოხატავენ, რომ მობილობა მათ დაეხმარა ისეთი უნარების განვითარებაში, რომლებიც გადამწყვეტია თანამედროვე სოციალურ და პროფესიულ გარემოში წარმატებისთვის.

ძირითადი ქვეკატეგორიები:

- **დამოუკიდებლობის განვითარება:** სტუდენტები ხაზს უსვამენ, რომ უცხო ქვეყანაში დამოუკიდებლად ყოფნა აიძულებთ მათ პასუხისმგებლობის მიღებას ყოველდღიური გადაწყვეტილებების, ფინანსური მართვისა და დროის დაგეგმვის კუთხით.

- **თვითშეფასებისა და თვითრწმენის ამაღლება:** მობილობის გამოცდილება მათ აძლიერებს რწმენას საკუთარი ძალების მიმართ და ქმნის განცდას, რომ შეუძლიათ წარმატებით ფუნქციონირება განსხვავებულ კულტურულ, აკადემიურ და სოციალურ გარემოში.
- **ემოციური სიმტკიცე და მოქნილობა:** ახალ გარემოში ადაპტაცია, გაუცხოება და გამოწვევებთან გამკლავება ხშირად აღიწერება როგორც შინაგანი სიმტკიცის გაძლიერების წყარო.

„თავიდან იყო შიში, მერე როცა ყველაფერი გამოვიდა, მივხვდი, რომ შემძლია. უკვე სხვანაირად ვუყურებ ყველაფერს - ჩემს შესაძლებლობებს, იმას, რაც ადრე მეგონა რთული“ - სტუდენტი, საბაკალავრო საფეხური

„მივხვდი, რომ მარტო ცხოვრებაც შემძლია, სრულიად უცხო კულტურაში და ეს თავდაჯერებულობას მმატებს სხვა სიტუაციებშიც“ - სტუდენტი, სამაგისტრო საფეხური

ზეგავლენა ღირებულებებსა და მსოფლმხედველობაზე

მონაწილეთა ნარატივში განსაკუთრებულად თვალსაჩინოა **ღირებულებით ცვლილების მექანიზმი**. ინტერკულტურული გამოცდილება ეხმარება ახალგაზრდებს საკუთარი შეხედულებების გადახედვაში, თვითანალიზისა და ცხოვრებისადმი დამოკიდებულების გარდაქმნაში.

ეს პროცესი მჭიდროდ იკვეთება ტრანსფორმაციული სწავლების თეორიასთან (Mezirow, 1991), რომელიც ხაზს უსვამს კრიტიკულ რეფლექსიასა და იმ გავლენას, რომელსაც ახალი გამოცდილება ახდენს ინდივიდის ხედვებზე. პიროვნული განვითარების დონეზე Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამა აღიარებულია, როგორც მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელიც ხელს უწყობს დამოუკიდებლობას, თვითშეფასებას, ემოციურ სიმტკიცეს და ღირებულებითი ცვლილებების პროცესს. ეს მიგნება არსებითად ეხმარება თვითეფექტურობის თეორიულ კონსტრუქტს (Bandura, 1977) და დისერტაციის ჰიპოთეზურ მტკიცებას.

3.5. პროფესიული კომპეტენციების განვითარება

Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის მონაწილე სტუდენტების გამოცდილება მიანიშნებს, რომ მობილობა არ შემოიფარგლება მხოლოდ კულტურული გაცვლით, იგი მნიშვნელოვნად აისახება პროფესიულ მომზადებაზე და სფეროსპეციფიკური უნარების გაძლიერებაზე. სტუდენტთა განცხადებები მოწმობს, რომ პროგრამაში მონაწილეობა ახალ პერსპექტივებს აჩენს აკადემიური ცოდნის გამოყენებისა და პრაქტიკული კომპეტენციების განვითარებისთვის.

ძირითადი ქვეკატეგორიები:

- **აკადემიური უნარების გაღრმავება:** სტუდენტების თქმით, პარტნიორ უნივერსიტეტებში მიღებული სწავლების მეთოდები და შეფასების სისტემები განსხვავდება მათთვის ჩვეულისგან და მათ უბიძგა, დაეუფლონ ახალ მიდგომებს, რაც დადებითად აისახა აკადემიურ მუშაობაზე, პრეზენტაციის, წერისა და კვლევითი უნარების გაუმჯობესებაზე.

„უცხოეთში პრეზენტაციების წარდგენა სულ სხვა სტანდარტზეა, სხვა ტიპის მომზადება დამჭირდა და ეს ძალიან დამეხმარა სწავლაშიც და ახლა სამსახურშიც“ - სტუდენტი, სამაგისტრო საფეხური

- **სფეროსპეციფიკური ცოდნის გაფართოება:** მონაწილე სტუდენტები ხაზს უსვამენ, რომ უცხოურ პროგრამებში ჩართვამ მათ საშუალება მისცა, თავიანთ დარგში დაეუფლონ თანამედროვე ტენდენციებს, ისწავლონ მოწინავე პრაქტიკა და გამოიმუშაონ პროფესიული ხედვა.

„ჩემი მიმართულება ციფრული მარკეტინგია და დასავლეთში სწავლა მკაფიოდ განსხვავებული იყო, ბევრად პრაქტიკულიც და თანამედროვე მიდგომებზე ორიენტირებული“ - სტუდენტი, საბაკალავრო საფეხური

- **პრაქტიკული უნარების განვითარება:** მობილობის გამოცდილება ითვლება ერთგვარ პრაქტიკულ პოლიგონად, რომელიც ავითარებს ორგანიზებულობას, დროის მართვას, თვითგანვითარების უნარს და გუნდურ მუშაობას ტრანსფერული კომპეტენციების პარალელურად.
- **პროფესიული ქსელის ფორმირება:** ზოგიერთი სტუდენტი აღნიშნავს, რომ მობილობის პერიოდში დამყარებული კონტაქტები პროფესიულ

თანამშრომლობად გადაიქცა, რაც განიხილება როგორც საერთაშორისო კარიერული შესაძლებლობების პლატფორმა.

მიგნებები მიუთითებს იმაზე, რომ Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში მონაწილეობა წარმოადგენს პროფესიული კომპეტენციების განვითარებისთვის ძლიერ სტიმულს. კვლევაში გამოვლენილი გამოცდილებები ადასტურებს, რომ მობილობა ზრდის როგორც აკადემიური, ისე პრაქტიკული უნარების გამოყენების შესაძლებლობას, რაც მომზადებულ სტუდენტებს კონკურენტუნარიანს ხდის გლობალურ შრომით ბაზარზე.

3.6. ინტერკულტურული და სოციალური უნარების განვითარება

Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის მობილობის პროგრამა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სტუდენტთა ინტერკულტურული კომპეტენციისა და სოციალური უნარების განვითარებაზე. კვლევაში მონაწილე სტუდენტები ხშირად ასახელებდნენ ისეთ გამოცდილებებს, რომლებიც მათ უცხო კულტურულ კონტექსტში ურთიერთქმედების, კომუნიკაციისა და ადაპტაციის უნარების გაუმჯობესების საშუალებას აძლევდა.

ძირითადი ქვეკატეგორიები:

- **კულტურული მგრძნობელობის ამაღლება:** სტუდენტები აღნიშნავენ, რომ განსხვავებულ კულტურულ გარემოში ცხოვრების შედეგად ისინი გახდნენ უფრო ტოლერანტულები, მეტად ღია და შემწყნარებლები განსხვავებული ღირებულებების, რწმენებისა და ცხოვრების წესების მიმართ.

„თავიდან ცოტა დამაბნეველი იყო, როცა ჩემს ჯგუფში ისეთ ქვეყნებიდან იყვნენ, საიდანაც აქ ადამიანებს არ იცნობენ... მერე მივხვდი, რამდენად ბევრი საერთო გვაქვს და როგორ უნდა მიიღო სხვანაირი ადამიანი“ - სტუდენტი, საბაკალავრო საფეხური

- **ინტერკულტურული კომუნიკაციის უნარების გაუმჯობესება:** უცხოურ უნივერსიტეტებში სწავლა მოითხოვდა კომუნიკაციას სტუდენტებთან და ლექტორებთან განსხვავებულ ენობრივ და ქცევით კულტურაში. ეს

გამოცდილება ხელს უწყობდა კომუნიკაციის მოქნილობას, გადაცემის სტილის ადაპტაციას და კოდსვიჩინგის უნარის განვითარებას.

- **სოციალური ჩართულობა და საერთაშორისო მეგობრობები:** სტუდენტთა უმეტესობა გამოყოფს სოციალურ ქსელებსა და მეგობრულ ურთიერთობებს, როგორც ყველაზე ღირებულ შედეგს, რომელიც გაგრძელდა მობილობის დასრულების შემდეგაც.

„მეგობრები დავიმეგობრე ესპანეთიდან, ბელგიიდან, ბულგარეთიდან დღემდე ვმეგობრობთ და ერთმანეთს ვუზიარებთ ბევრ რამეს. ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოცდილება“ - სტუდენტი, სამაგისტრო საფეხური

- **ღირებულებების გარდაქმნა და ტოლერანტობის ზრდა:** სტუდენტების ნაწილი აღწერს, რომ უცხოურ გარემოში ურთიერთობა განსხვავებული იდენტობების მქონე ადამიანებთან იქცა საკუთარი ღირებულებების გადახედვის და ტრანსფორმაციის საფუძვლად.

ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარება Erasmus+ მობილობის ერთ-ერთი ცენტრალური შედეგია. ეს კომპეტენციები, რომლებიც მოიცავს კულტურულ მგრძნობელობას, მოქნილ კომუნიკაციას, ღირებულებათა ტოლერანტობას და გლობალურ მოქალაქეობრივ ცნობიერებას, განიხილება როგორც საგანმანათლებლო პროცესის მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ნაწილი. ეს მიგნებები სრულად ეხმიანება თეორიულ ჩარჩოში აღწერილ ინტერკულტურული კომპეტენციის მოდელს (Deardorff, 2006) და აძლიერებს დისერტაციის კონცეპტუალურ საფუძველს.

ეს მოსაზრებები ემთხვევა 2023 წლის Erasmus+ შუალედური ანგარიშის (Mid-Term Report) მიგნებებსაც, სადაც ხაზგასმულია, რომ სტუდენტების ინტერკულტურული მზაობა, ადაპტაციის უნარი და მრავალფეროვნებისადმი ღიაობა განიხილება როგორც პროგრამის გრძელვადიანი გავლენა, რომელიც გასცდება მხოლოდ აკადემიურ წრეს და ეხმიანება მათი დასაქმებადობის პერსპექტივებსაც (European Commission, 2023).

სტუდენტური ინტერვიუების შინაარსობრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ მობილობაში მონაწილეობის შედეგად განსაკუთრებით გამოკვეთილია ინტერკულტურული მგრძნობელობის, ტოლერანტობისა და განსხვავებული სოციალური ნორმების გააზრების უნარი.

იგივე ტენდენცია ვლინდება საერთაშორისო კვლევებშიც, მაგალითად, რუმინეთის „Alexandru Ioan Cuza” University of Iași-ში ჩატარებული კვლევის მონაცემების მიხედვით, Erasmus+ პროგრამის თანამშრომლები აფასებენ ინტერკულტურულ გარემოში თანამშრომლობის მნიშვნელობას როგორც სტუდენტთა, ისე პერსონალის პროფესიული ზრდისთვის. კვლევაში აღნიშნულია, რომ ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარება ითვლება უნივერსიტეტის გრძელვადიანი ინტერნაციონალიზაციის მიზნების ნაწილად (Roman & Bulat, 2024).

3.7. სტუდენტთა მობილობის მაჩვენებლები თსუ-ში

Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (თსუ) ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთ ძირითად მექანიზმად რჩება. 2016–2022 წლების განმავლობაში უნივერსიტეტიდან ევროკავშირის პარტნიორ უნივერსიტეტებში მობილობაში გაემგზავრა ასეულობით სტუდენტი.

ქვევითი ცხრილებში (ცხრილები 6, 7, 8) მოცემულია სტუდენტთა მობილობის მაჩვენებლები სწავლების, ფაკულტეტების და წლების მიხედვით. მოცემულია 2016–2022 წლის განმავლობაში 1,456 სტუდენტის მობილობა.

ცხრილი 6. სტუდენტების მობილობა სწავლების საფეხურების მიხედვით

აკადემიური წელი	საბაკალავრო საფეხური	სამაგისტრო საფეხური	სადოქტორო საფეხური	სულ
2015-16	143	20	20	183
2016-17	110	62	30	202
2017-18	128	34	14	176
2018-19	134	65	9	208
2019-20	110	34	15	159
2020-21	85	4	15	104
2021-22	114	43	30	187
2022-23	112	38	16	166

ცხრილი 7. სტუდენტების მობილობა ფაკულტეტების მიხედვით

აკადემიური წელი	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	იურიდიული	ეკონომიკისა და ბიზნესის	ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა	მედიცინის
2015-16	33	40	35	12	8	51	0
2016-17	27	55	37	18	4	68	0
2017-18	41	54	40	15	7	58	0
2018-19	26	71	36	17	10	58	3
2019-20	32	35	31	6	4	51	0
2020-21	19	32	21	6	1	41	0
2021-22	31	40	51	8	11	43	3
2022-23	26	40	40	6	13	41	0

ცხრილი 8. სტუდენტების მობილობა ფაკულტეტების მიხედვით (2016–2022 წწ.)

ფაკულტეტი	მობილობაში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა
იურიდიული	291
ეკონომიკისა და ბიზნესის	88
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა	367
სოციალური და პოლიტიკური მეცნიერებათა	411
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა	58
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა	235
მედიცინის	6

3.8. ფოკუს-ჯგუფების ანალიზი და მიგნებები

ფოკუს-ჯგუფური დისკუსიებისას, რომლებიც ჩატარდა სამივე საფეხურის სტუდენტებთან, გამოიკვეთა პროგრამის აღქმის ძირითადი ასპექტები

როგორც პიროვნულ, ასევე პროფესიულ დონეებზე. სტუდენტები ხშირად ხაზს უსვამდნენ მობილობის ღირებულებას როგორც პრაქტიკული, ისე ღირებულებითი ცვლილებების თვალსაზრისით.

მობილობის სარგებელი და გამოწვევები - თემატური კატეგორიები

ქვემოთ წარმოდგენილია ცხრილი 9, რომელიც აჯამებს ფოკუს-ჯგუფებიდან მიღებულ კატეგორიებს და მათ დაყოფას სარგებლისა და გამოწვევების ჭრილში:

ცხრილი 9. მობილობის თემატური კატეგორიები

მოტივაცია და სარგებელი	პიროვნული დონე	პროფესიული დონე
დამოუკიდებლობის განვითარება	პასუხისმგებლობის გაზრდა	სასწავლო უნარების გაუმჯობესება
ინტერკულტურული გამოცდილება	ღირებულებების გაფართოება	სისტემური ხედვის ჩამოყალიბება
საერთაშორისო კონტაქტები	სოციალური ადაპტაცია	პროფესიული ქსელის შექმნა
ენობრივი კომპეტენციების ამაღლება	კომუნიკაციის ეფექტიანობა	აკადემიური ენის სრულყოფა
დიגיტალური უნარების განვითარება	ტექნოლოგიებთან დამოუკიდებელი მუშაობა	აკადემიური და კვლევითი უნარების გაღრმავება
ახალი სასწავლო პრაქტიკის გაცნობა	გამოცდილების გაზიარების სურვილი	თეორიის პრაქტიკაში გამოყენების უნარის ზრდა
გამოწვევები	კულტურული შოკი, მართობის განცდა	ადაპტაციის სირთულეები და აკადემიური მოლოდინები

3.8.1. მრავალმხრივი ხედვა: სტუდენტებისა და პროფესორების შეფასება

როგორც სტუდენტური, ისე აკადემიური პერსონალის ნარატივი მიუთითებს იმაზე, რომ პროგრამას არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ ინსტიტუციური სარგებელი გააჩნია. ორივე ჯგუფის შეფასებით, მობილობა ხელს უწყობს:

- აკადემიური კულტურის გამდიდრებას;
- სწავლების პროცესში ახალი მიდგომების ინტეგრაციას;

- პროფესიული განვითარების დინამიკის გაუმჯობესებას.

„...სტუდენტები ბრუნდებიან ახალ ხედვებთან ერთად, და ეს უკვე გავლენას ახდენს ჯგუფზეც, დისციპლინაზეც და ზოგადად, სწავლის პროცესზე“ - აკადემიური პერსონალი

Erasmus+ პროგრამა სტუდენტებისთვის აღიქმება როგორც განვითარების პლატფორმა, რომელიც აერთიანებს პროფესიულ, აკადემიურ და ღირებულებით ზრდის შესაძლებლობებს. ამ მიგნებებზე დაფუძნებული ანალიზი წარმოადგენს საფუძველს იმ დასკვნებისათვის, რომლებიც დისერტაციის შემაჯამებელ თავში გაჟღერდება.

3.8.2. მონაწილეობის მოტივაცია სტუდენტთა პერსპექტივიდან

ფოკუს-ჯგუფების ანალიზმა ცხადად აჩვენა, რომ თსუ-ს სტუდენტებისთვის Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში მონაწილეობის მოტივაცია მრავალშრიანია და მოიცავს როგორც პიროვნულ განვითარებასთან, ისე აკადემიური და პროფესიული წინსვლის შესაძლებლობებთან დაკავშირებულ ასპექტებს.

სტუდენტები ხშირად ხაზს უსვამენ, რომ პროგრამაში მონაწილეობის მთავარი მოტივაციაა:

- ახალი გამოცდილებების მიღება უცხო ქვეყნის კულტურულ და აკადემიურ გარემოში;
- საკუთარი შესაძლებლობების გამოცდა განსხვავებულ სოციალურ და საგანმანათლებლო კონტექსტში;
- სხვა ტიპის ცხოვრების სტილის და საგანმანათლებლო პრაქტიკის გაცნობა;
- უცხოეთში მიღებული ცოდნის და გამოცდილების გადმოტანა ქართულ რეალობაში.

„სხვა კულტურაში ცხოვრებას ისეთი რაღაცების დანახვა შეუძლია, რაც აქ ვერ შეამჩნევ. მერე უკვე გინდა ის გამოცდილება რაღაცნაირად აქ გამოიყენო“ - სტუდენტი, სამაგისტრო საფეხური

სტუდენტები ასევე საუბრობენ იმაზე, რომ მობილობის პროგრამა აძლევს მათ შანსს გაიარონ ისეთი აკადემიური კურსები, რომლებიც თსუ-ში არ არის შეთავაზებული,

მაგრამ მჭიდროდ უკავშირდება მათ ინტერესებს ან მომავალი პროფესიული განვითარების გეგმებს.

„სხვა უნივერსიტეტში ისეთ კურსებზე დავდიოდი, რაც თსუ-ში არ გვაქვს და ვფიქრობ, ძალიან გამადგება ჩემს კარიერაში. რაღაც ისეთი ცოდნა მივიღე, რაც აქ ვერ მექნებოდა“ - სტუდენტი, საბაკალავრო საფეხური

3.8.3. მოტივაციის სტრატეგიული და გრძელვადიანი ასპექტები

მონაწილეობის მოტივაციები ზოგ შემთხვევაში სცდება მხოლოდ მიმდინარე სასწავლო მიზნებს და ეხება გრძელვადიან პერსპექტივებს, მაგალითად:

- საგარეო განათლების სფეროში კარიერული განვითარების მომზადება;
- სწავლების შემდეგ საფეხურზე (მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სწავლის გაგრძელებისთვის მომზადება;
- ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ინტეგრაციის პიროვნული მნიშვნელობა.

„ამ მობილობამ მომცა რაღაც განცდა, რომ შემოდგომა მომავალში უცხოეთში ვიმუშაო ან ვისწავლო, თავდაჯერება, რომ არ ვარ ნაკლები სხვა სტუდენტებზე“ - სტუდენტი, დოქტორანტურა

მონაწილეთა ნარატივი ნათლად აჩვენებს, რომ Erasmus+ მობილობის პროგრამა არ აღიქმება მხოლოდ „სწავლის გაცვლით გამოცდილებად“, არამედ **პერსონალური და პროფესიული განვითარების სტრატეგიულ ნაბიჯად**, რომელიც აძლიერებს სტუდენტთა აკადემიურ მოტივაციას, თვითშეფასებას და ღია საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციის მზაობას.

3.8.4. მობილობის სარგებელი სტუდენტების პერსპექტივიდან

კვლევის ფარგლებში მიღებულმა ხარისხობრივმა მონაცემებმა ცხადყო, რომ Erasmus+ მობილობის პროგრამას სტუდენტებისთვის გააჩნია **მრავალმხრივი სარგებელი** პიროვნული, აკადემიური, სოციალური და ღირებულებითი განზომილებებით.

როგორც სტუდენტური, ისე აკადემიური პერსპექტივიდან, მობილობის გამოცდილება განიხილება როგორც ტრანსფორმაციული ფაქტორი, რომელიც ცვლის სტუდენტის დამოკიდებულებას, ხედვას და ქცევის სტრატეგიებს.

ფოკუს-ჯგუფებში მონაწილე სტუდენტებმა პროგრამის სარგებელი შემდეგნაირად განსაზღვრეს:

- დამოუკიდებლობის გაძლიერება;
- ცხოვრების დამოუკიდებლად დაგეგმვის უნარის განვითარება;
- პრაქტიკული ცოდნის მიღება;
- კრიტიკული აზროვნების გაძლიერება;
- სიახლეების დანერგვის მოტივაცია;
- კულტურულად გამდიდრებული ხედვის ჩამოყალიბება.

ინტერვიუებში მონაწილე პროფესორები კი სტუდენტებში ცვლილებებს აფასებენ როგორც:

- ღირებულებითი ცნობიერების ამაღლებას;
- პასუხისმგებლიანობის ზრდას;
- თვითსრულყოფაზე ორიენტირებულობას;
- ინიციატივის უნარის გაძლიერებას.

ცხრილი 10. მობილობის სარგებელი: პროფესორებისა და სტუდენტების ხედვები

პროფესორების შეფასება	სტუდენტთა შეფასება (ფოკუს-ჯგუფი)
ხდებიან მეტად რაციონალურები და ტოლერანტულები	დამოუკიდებლად ცხოვრების დაგეგმვის უნარების განვითარება
მეტად ფიქრობენ თვითსრულყოფასა და მომავალ განვითარებაზე	პრაქტიკული ცოდნითა და უნარებით „შეიარაღება“
ხდებიან უფრო დამოუკიდებლები	სიახლეების გაზიარებისა და დანერგვის მოტივაცია
უმადლდებათ სოციალური პასუხისმგებლობის დონე	კრიტიკული აზროვნების ჩამოყალიბება და გადმოცემის უნარი
ხდებიან აქტიური მოქალაქეები	პროფესიული თვითიდეენტობის გაღრმავება

პროფესორების შეფასება	სტუდენტთა შეფასება (ფოკუს-ჯგუფი)
ინიცირებენ ცვლილებებს ფაკულტეტზე და უნივერსიტეტში	ერთობლივ სტუდენტურ პროექტებში ჩართულობა
ვითარდებიან პროფესიულად	
წარმატებული სტუდენტი ზრდის უნივერსიტეტის ცნობადობას	

მიგნებების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მობილობა განიხილება როგორც პერსონალური ტრანსფორმაციის პროცესის კატალიზატორი, რომელიც იწვევს ღირებულებით და ქცევით ცვლილებებს სტუდენტებში, მათ პროფესიულ როლსა და მოქალაქეობრივ პოზიციონირებაში. პროგრამის გავლენა სცდება მხოლოდ აკადემიურ წარმატებას და გულისხმობს პასუხისმგებლიანი, ღია და აქტიური მოქალაქის ფორმირებას.

3.9. აკადემიური პერსონალის შეფასება: პიროვნული და პროფესიული განვითარება

კვლევაში მონაწილე აკადემიური პერსონალი Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის მნიშვნელოვან სარგებელს ხედავს სტუდენტთა პიროვნული და პროფესიული განვითარების ჭრილში. მათი შეფასებით, მობილობა უზრუნველყოფს სტუდენტების მოტივაციის, ხედვისა და პასუხისმგებლობის ამაღლებას, რაც პირდაპირ აისახება როგორც აკადემიურ წარმატებაზე, ისე მომავალ კარიერულ განვითარებაზე.

კვლევის მონაცემების მიხედვით, თსუ-ის აკადემიური პერსონალი, რომელიც ჩართული იყო საერთაშორისო მობილობის პროგრამებში, ხაზს უსვამს საკუთარი პროფესიული კომპეტენციების, საგანმანათლებლო მიდგომებისა და კვლევითი ინტერესების გაფართოებას.

ეს შეფასება თანხვედრაში მოდის ევროპული პრაქტიკების ანალიზთანაც. რუმინეთის „Alexandru Ioan Cuza” University of Iași-ში ჩატარებული კვლევის მიხედვით, აკადემიური პერსონალი, რომელიც მჭიდროდ თანამშრომლობს Erasmus+

პროგრამებთან, აქტიურად მონაწილეობს როგორც ინტერკულტურულ ინიციატივებში, ისე საგანმანათლებლო პოლიტიკის გაუმჯობესების პროცესში (Roman & Bulat, 2024).

3.9.1. პიროვნული ტრანსფორმაცია

პროგრამაში მონაწილეობის ერთ-ერთ მთავარ მიგნებად სახელდება **სტუდენტთა თვალსაწიერის გაფართოება, დამოუკიდებელი ცხოვრებისა და თვითორგანიზების უნარის განვითარება**, ასევე განსხვავებული კულტურების მიღებისა და ადაპტაციის უნარის გაძლიერება.

“ძალიან ფასეულია, როდესაც შესაძლებლობა გეძლევა, თუნდაც დროებით, მოიცნო ის ცხოვრება უშუალო დაკვირვებით და ემპირიული შესწავლის გზით. ასეთ გამოცდილებაში ჩართულობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. ამ პროცესში თანამშრომლობა დიდი სიამოვნებაა - ის უკვე შენს მხარესაა, უკვე შენთან ერთად იკვლევს.” - აკადემიური პერსონალი, პროფესორი

„ახალი გარემო პიროვნულად აყალიბებს სტუდენტს. სხვა მიდგომებია - ბიბლიოთეკა, ურთიერთობა თანატოლებთან, ლექტორებთან. ეს ყველაფერი ინდივიდს ზრდის და პასუხისმგებლობას ასწავლის“ - აკადემიური პერსონალი

3.9.2. პროფესიული მზაობის გაძლიერება

სტუდენტების პროფესიულ განვითარებაზე საუბრისას პროფესორები ხშირად ხაზს უსვამენ იმას, რომ **სხვადასხვა აკადემიურ სისტემებთან შეხება აძლიერებს სტუდენტების წარმოდგენას ხარისხიან განათლებაზე და აღვივებს პროფესიული სტანდარტების მიღწევის მოტივაციას.**

„საერთაშორისო სტანდარტების გაცნობა მნიშვნელოვანია, სტუდენტები რომ მიდიან სამივე დონეზე და ხედავენ რა არის იქ. მე აქ რამდენიც არ უნდა ვილაპარაკო, ის ეფექტი არ ექნება, რაც იქ ყოფნას შეიძლება ჰქონდეს“ - აკადემიური პერსონალი

„ხშირად, ბრუნდებიან ისეთი ხედვით, რაც ადგილობრივ სტუდენტებს ნაკლებად აქვთ - იციან, რა უნდათ, როგორ უნდა განვითარდნენ და როგორ დაამყარონ პროფესიული ურთიერთობები“ - აკადემიური პერსონალი

3.9.3. ღირებულებითი მიგნებები და ქვეყნის პერსპექტივა

მონაწილე პროფესორები ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ მობილობაში მონაწილეობა არ არის მხოლოდ ინდივიდუალური სარგებელი - იგი პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ინტელექტუალური რესურსის ზრდასთან. მნიშვნელოვანია, რომ დაბრუნებულ სტუდენტებს ჰქონდეთ საფუძველი თავიანთი პროფესიული პოტენციალის საქართველოში რეალიზებისთვის.

„მთავარია, ჩვენმა ქვეყანამ შექმნას საფუძველი, რომ ამ განვითარებულ სტუდენტს მოუხდეს დაბრუნება და აქ განავითაროს თავისი სფერო“ - აკადემიური პერსონალი

აკადემიური პერსონალის პოზიცია ნათლად აჩვენებს, რომ Erasmus+ მობილობის პროგრამა აღიქმება პიროვნული და პროფესიული ტრანსფორმაციის ამაჩქარებელ ინსტრუმენტად, რომელიც ქმნის საფუძველს სტუდენტის განათლებაზე ორიენტირებული, აქტიური და განვითარებაზე მოტივირებული მოქალაქის ჩამოყალიბებისთვის.

3.10. სტუდენტების თვითშეფასება პიროვნული და პროფესიული ზრდის შესახებ

ფოკუს-ჯგუფების ანალიზის შედეგად გაირკვა, რომ პროგრამაში მონაწილე სტუდენტები საკუთარ მობილობის გამოცდილებას აღიქვამენ როგორც ფუნდამენტური გარდატეხის წერტილს, რომელიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მათ პიროვნულ და პროფესიულ ზრდას.

3.10.1. დამოუკიდებლობა და თვითორგანიზება

სტუდენტების თქმით, საზღვარგარეთ სწავლა მათ აძლევს დამოუკიდებელი ცხოვრების პირველ პრაქტიკულ გამოცდილებას, საკუთარი დროისა და რესურსების

მართვის, დოკუმენტაციის წარმოებისა და ცხოვრების ორგანიზების უნარების განვითარებას:

„ძირითადი უნარები, რაც განმეფიფარდა, იყო დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული... გულისხმობს ცხოვრების შენით დაგეგმვას, ბანკის ანგარიშის გახსნას და ა.შ.“ - ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი

3.10.2. ღირებულებითი ტრანსფორმაცია და ტოლერანტობა

ფოკუს-ჯგუფების მონაწილეები მიუთითებენ, რომ უცხოურ აკადემიურ გარემოში ყოფნა და სხვადასხვა ეთნიკური, რელიგიური და გენდერული იდენტობების მქონე სტუდენტებთან ურთიერთობა მათ ხელს უწყობს ღიაობის, ტოლერანტობისა და ქსენოფობიისგან დაცლილი პერსპექტივის ჩამოყალიბებაში:

„როცა ბევრ განსხვავებულ ხალხს ეცნობი, შეიძლება უფრო ტოლერანტული და შემწყნარებელი გახდე“ - ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი

3.10.3. აკადემიური და სოციალური თვითაქტივიზაცია

სტუდენტების თქმით, მობილობა აძლიერებს მათ აკადემიურ ინიციატივას, კრიტიკულ აზროვნებას და თანამონაწილეობას უნივერსიტეტულ სივრცეში. ისინი უფრო თამამად გამოხატავენ მოსაზრებებს ლექციებზე, მონაწილეობენ დისკუსიებში და ხშირად ინიცირებენ ცვლილებებს:

„აკუმულირებული ცოდნა მჟღავნდება დიალოგში პროფესორთან... ჩნდება მეტი ჯანსაღი პროტესტი სხვადასხვა საკითხზე... ნელ-ნელა იზრდება განახლების ტალღა უნივერსიტეტში“ - ფოკუს-ჯგუფის მონაწილე სტუდენტი

3.10.4. თავდაჯერება და შემოქმედებითი თვითგამოხატვა

მონაწილეთა თვითშეფასებაში თვალსაჩინოა საკუთარ შესაძლებლობებზე რწმენის ამაღლება, რაც დაკავშირებულია როგორც აკადემიური ენის გაუმჯობესებასთან, ისე სოციალური თვითრეალიზაციის ახალ გზებთან:

„უფრო დავრწმუნდი ჩემს თავში... გადავლახე სიახლეების შიში... პრაქტიკაში უკეთესად ვისწავლე ენები“ - ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ბაკალავრიატის საფეხური სტუდენტი

3.10.5. სოციალური მობილიზაცია და მოქალაქეობრივი მზაობა

სტუდენტები აღნიშნავენ, რომ უცხოურ გარემოში მიღებული გამოცდილება მათ აქცევს მეტი მოთხოვნის მქონე და კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქეებად, რაც დროთა განმავლობაში გარდაიქმნება აქტიურ სამოქალაქო პოზიციად:

„მეტი მოთხოვნა გიჩნდება როგორც საკუთარი თავის, ასევე სხვების მიმართ... არ ხარ დამოკიდებული არც სახელმწიფო მოხელეზე და არც ლექტორზე. ეს ყველაფერი ბრძოლისუნარიანობას გაძლევს“- ფოკუს-ჯგუფის მონაწილე სამაგისტრო საფეხურის სტუდენტი

სტუდენტთა თვითრეფლექსიური ნარატივი აჩვენებს, რომ Erasmus+ პროგრამა აღიქმება როგორც სრულიად ახალი ცხოვრება „საკუთარ თავთან ერთად“, რაც აყალიბებს მათ როგორც დამოუკიდებელ, კრიტიკულ და ღირებულებაზე ორიენტირებულ ახალგაზრდებს. მობილობის გამოცდილება სტუდენტების თვალში ის პლატფორმაა, სადაც ხდება მათი პიროვნების, მოქალაქის და პროფესიონალის ერთდროული ჩამოყალიბება.

ცხრილი 11. სარგებელი პიროვნულ და პროფესიულ დონეზე

სარგებელი პიროვნულ დონეზე	სარგებელი პროფესიონალურ დონეზე
თვითრწმენის ზრდა	უნარების გაუმჯობესება
დამოუკიდებლობა	კრიტიკული აზროვნების უნარი
ღიაობა	თვალსაწიერის გაფართოება; ახალი ცოდნის დაუფლება
რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური, გენდერული შემწყნარებლობა	მუშაობის საერთაშორისო სტანდარტების ცოდნა
სოციალური პასუხისმგებლობა	აკადემიურ წერაში გაწვრთნა

სარგებელი პიროვნულ დონეზე	სარგებელი პროფესიონალურ დონეზე
ენობრივი კომპეტენციების ამაღლება	ენობრივი კომპეტენციების ამაღლება
კროსკულტურული გამოცდილება	საკონტაქტო ქსელის გაფართოება

3.11. უნარების განვითარების ხარისხობრივი შეფასება

ფოკუს-ჯგუფის მეორე რაუნდის ანალიზი

ფოკუს-ჯგუფის მეორე რაუნდის მონაწილეებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს მობილობის შედეგად განვითარებულ უნარ-ჩვევებზე. სტუდენტები აღნიშნავენ, რომ Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-პროგრამაში მონაწილეობა გახდა იმ უნარების პრაქტიკული გაღრმავების სივრცე, რომლებიც მნიშვნელოვანია თანამედროვე აკადემიურ, პროფესიულ და სოციალურ გარემოში წარმატებისთვის.

ძირითადი უნარ-ჩვევები, რომლებიც გამოიკვეთა:

- დამოუკიდებლად სწავლა და თვითორგანიზება
- ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება
- მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევები
- მოქნილობა და ახალ გარემოსთან ადაპტაცია
- ენობრივი, კომუნიკაციური და მრავალენოვანი კომპეტენცია
- თანამშრომლობა ჯგუფურ მუშაობაში
- კონფლიქტების მოგვარების უნარები
- საკუთარი თავის შეცნობა და თვითრეფლექსია
- მსოფლიოს კულტურული და სოციალური სისტემების კრიტიკული გააზრება

ცხრილი 12. პიროვნული და პროფესიული უნარების განვითარება (ფოკუს-ჯგუფის II რაუნდი)

პიროვნული უნარები	პროფესიული უნარები
დამოუკიდებლად სწავლა და თვითორგანიზება	ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება

პიროვნული უნარები	პროფესიული უნარები
მოქნილობა და ახალ გარემოსთან ადაპტაცია	ენობრივი და მრავალენოვანი კომპეტენცია
მოსმენისა და დაკვირვების უნარ-ჩვევები	კომუნიკაცია და თანამშრომლობა ჯგუფურ მუშაობაში
საკუთარი თავის შეცნობა და თვითრეფლექსია	კონფლიქტების მოგვარების უნარები
ტოლერანტობა და ღირებულებითი მგრძნობელობა	კულტურათაშორისი გაგება და გლობალური ხედვა

შერჩეული ციტატები ფოკუს-ჯგუფიდან:

„დამოუკიდებლად ცხოვრება ყველაზე დიდი მიღწევაა... საკუთარი თავის შეცნობისა და გაანალიზების უნარი გამომიმუშავდა... ახლა მოთმინებასაც ვსწავლობ და ვეგუები ახალი გარემოს წესებს.“ - ფოკუს-ჯგუფის მონაწილე

„აქ გავიგე რა ღირებულებები აქვთ სხვებს და როგორ განსხვავდება ჩვენი კულტურა... მხოლოდ ქართველები კი არ ვართ განსაკუთრებულები, მაგრამ გვაქვს რაღაცები, რაც სხვებს არ აქვთ და ეს დავინახე სხვა თვალით.“ - ფოკუს-ჯგუფის მონაწილე

„პროექტზე მუშაობისას ვისწავლე კონფლიქტის დარეგულირება იყო რთული მომენტი, მაგრამ შევძელი თანამშრომლობა და სიტუაციის მართვა.“ - ფოკუს-ჯგუფის მონაწილე

„ფრანგულის სწავლა იძულებითი საჭიროება იყო, მაგრამ დღეს ამაყად ვამბობ, რომ შევძელი. გარემომ მიშველა და ახლა ეს ენა ჩემია.“ - ფოკუს-ჯგუფის მონაწილე

ფოკუს-ჯგუფის მეორე რაუნდის ანალიზი აჩვენებს, რომ Erasmus+ პროგრამა წარმოადგენს უნარების განვითარების კომპლექსურ არეალს, სადაც სტუდენტები სწავლობენ საკუთარ თავზე დაკვირვებას, გარემოსთან ადაპტაციას, თანამშრომლობას, და კულტურულად მგრძნობიარე კომუნიკაციას. ამ მიგნებებს თან სდევს ღირებული

თვითრეფლექსიური ნარატივი, რომელიც ხაზს უსვამს გლობალურ მზაობას და პიროვნული ზრდის პროცესს.

3.12. ტრანსფერული უნარების ინდიკატორების შეფასება და ანალიზი

ტრანსფერული უნარები, როგორც უნივერსალური და კონტექსტუალური კომპეტენციები, კვლევისას შეფასდა კონკრეტული ინდიკატორების გამოყენებით. ინდიკატორები შეირჩა თეორიულ ჩარჩოს, ფოკუს-ჯგუფების მონაცემებსა და ადაპტირებული კითხვარის ანალიზზე დაყრდნობით. თითოეული ინდიკატორი ასახავს იმ უნარებს, რომლებიც მონაწილეებმა განვითარებულად შეაფასეს Erasmus+ პროგრამაში მონაწილეობის შედეგად.

ინდიკატორების კლასიფიკაცია

შესაფასებელი ტრანსფერული უნარები კლასიფიცირებულია შემდეგ ქვაჯგუფებად:

- **კოგნიტური უნარები:** ლოგიკური აზროვნება, გადაწყვეტილების მიღება, ანალიტიკური ინტერპრეტაცია;
- **ინტერპერსონალური და კომუნიკაციის უნარები:** გუნდური მუშაობა, კომუნიკაცია, კულტურული მგრძნობელობა;
- **ინტრაპერსონალური უნარები:** თვითრეგულაცია, დამოუკიდებლად სწავლა, თვითშეფასება;
- **ციფრული და ტექნოლოგიური უნარები:** ტექნოლოგიური რესურსების გამოყენება;
- **შემოქმედებითი და ადაპტაციის უნარები:** იდეების ფორმულირება და განხორციელება.

ტრანსფერული უნარების გასაზომი ინდიკატორები

ტრანსფერული უნარები წარმოადგენენ ზოგად, პროფესიულად მნიშვნელოვანი კომპეტენციების ერთობლიობას, რომლებიც შესაძლებელია გადატანილ იქნეს სხვადასხვა კონტექსტში. მათი შეფასება შესაძლებელია კონკრეტული

ინდიკატორების საშუალებით, როგორც თვითშეფასებით, ასევე სტანდარტიზებული ინსტრუმენტებით.

კოგნიტური და პრობლემის გადაჭრის უნარები

ინდიკატორი	აღწერა
ლოგიკური და მიზეზ-შედეგობრივი აზროვნება	უნარი, დასაბუთებულად შეაფასოს სიტუაცია და დასკვნები გამოიტანოს
რთულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღება	დამოუკიდებლად არჩევანის გაკეთება გაურკვეველ და სტრესულ გარემოში
ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება	არსებული ინფორმაციის ანალიზის, შედარებისა და შეფასების უნარი

ინტერპერსონალური და კომუნიკაციური უნარები

ინდიკატორი	აღწერა
გუნდური მუშაობა	სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან ეფექტური თანამშრომლობა
ინტერკულტურული მგრძნობელობა	კულტურული სხვაობებისადმი პატივისცემა და ადაპტაცია
კომუნიკაციის მოქნილობა	უნარი, ეფექტურად დაუკავშირდეს ადამიანებს მრავალენოვან და მრავალფეროვან გარემოში

ინტრაპერსონალური უნარები

ინდიკატორი	აღწერა
თვითრეგულაცია	საკუთარი ქცევის, ემოციების და დროის მართვის უნარი

თვითშეფასება და თვითრეფლექსია	საკუთარ თავზე დაკვირვების და განვითარებაზე ორიენტირებული აზროვნება
დამოუკიდებლად სწავლის უნარი	თვითორგანიზებული აკადემიური და არაფორმალური სწავლის უნარი

ციფრული და ტექნოლოგიური უნარები

ინდიკატორი	აღწერა
ციფრული ტექნოლოგიების გამოყენება	ინტერნეტის, აპლიკაციების და კომპიუტერული რესურსების ეფექტური გამოყენება
იდეის განხორციელება ტექნოლოგიური საშუალებებით	ინიციატივის პრაქტიკაში გადატანა ციფრული ხელსაწყოებით

შემოქმედებითი და ადაპტაციის უნარები

ინდიკატორი	აღწერა
პრობლემის ინოვაციური გადაჭრა	შემოქმედებითი მიდგომა რთულ ამოცანებთან
გარემოსადმი ადაპტაცია	უცხო გარემოში სწრაფი შეგუების და მოქნილი ქცევის უნარი

ეს ინდიკატორები ასახავს როგორც თეორიულ, ისე ემპირიულ მონაცემებზე დაფუძნებულ კომპონენტებს. თითოეული მათგანი დისერტაციაში გამოყენებულია როგორც კვლევის ინსტრუმენტების კონსტრუქციული ელემენტი (კითხვარებში, ინტერვიუს გეგმა, SPSS-ის ანალიზი და სხვ.) და განიხილება როგორც პროფესიული მზაობის ნაწილად ჩამოყალიბებული უნარების ერთობლიობა.

თეორიულად ჩამოყალიბებული ინდიკატორების რაოდენობრივი ანალიზი და შედარებითი შეფასება წარმოდგენილია დისერტაციის მეოთხე თავში (იხ. 4.15)

თავი IV. რაოდენობრივი კვლევა. ძირითადი მიგნებები და ანალიზი

4.1. კვლევის მიზანი

რაოდენობრივი კვლევის მიზანი იყო Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის კონკურსში მონაწილე და არა მონაწილე სტუდენტთა შორის შესაძლო განსხვავებების იდენტიფიცირება ისეთი ინდიკატორების მიხედვით, როგორიცაა **თვითეფექტურობის დონე, ტრანსფერული უნარები და პროფესიული მზაობა.**

კვლევა ემყარებოდა წინასწარ ჩამოყალიბებულ ოთხ ჰიპოთეზას, რომლებიც უკავშირდებოდა შემდეგ ანალიტიკურ კომპონენტებს: თვითეფექტურობა, ტრანსფერული უნარები, პროფესიული კომპეტენციები და ინტერკულტურული მგრძნობელობა.

მონაწილეთა ჯგუფებად დაყოფა დაეფუძნა მათ სტატუსს მობილობის პროგრამასთან მიმართებაში, რაც უზრუნველყოფდა ჰიპოთეზის შეფასებისთვის საჭირო შედარებით ანალიზს. კერძოდ, კვლევაში შედგა შემდეგი ჯგუფები:

1. პროგრამის გამარჯვებულები (მობილობაში მონაწილე სტუდენტები)
2. კონკურსში მონაწილე, მაგრამ ვერ გასული სტუდენტები
3. კონკურსში არ მონაწილე სტუდენტები

ჰიპოთეზა

კვლევის ჰიპოთეზა დაფუძნებულია სოციალური კოგნიტური თეორიის (Bandura, 1977; 1996) კონცეპტუალურ მოდელზე, რომელიც ხაზს უსვამს გამოცდილებასა და თვითეფექტურობის კავშირს. ამ თეორიულ ფუნდამენტზე დაყრდნობით, კვლევის ძირითადი ჰიპოთეზა ფორმულირებულია შემდეგნაირად:

H₁: Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შედეგად, სტუდენტებს ემატებათ ისეთი პიროვნული და პროფესიული რესურსები, რომლებიც პოზიტიურად აისახება მათ თვითეფექტურობაზე და ტრანსფერული/პროფესიული უნარების დონეზე.

H₀ (ნულოვანი ჰიპოთეზა): მობილობის პროგრამაში მონაწილეობა არ ახდენს სტატისტიკურად მნიშვნელოვან გავლენას თვითეფექტურობასა და უნარების განვითარებაზე.

4.2. კვლევის ლოგიკა

გამოკითხვა ეფუძნებოდა თვითადმინისტრირებულ კითხვარს, რომელიც მოიცავდა:

- ლიკერტის ტიპის სკალებზე დაფუძნებულ კითხვებს (ტრანსფერული და პროფესიული უნარების თვითშეფასებისთვის);
- ადაპტირებულ ფსიქომეტრიულ ინსტრუმენტს - „ბავშვთა და მოზარდთა თვითეფექტურობის სკალა“ (Bandura et al., 1996; თ. ბანძელაძის ადაპტაცია, 2016).

მონაცემების ანალიზი განხორციელდა SPSS-ის (ვერსია 25) გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებდა:

- დესკრიპტიულ სტატისტიკას (საშუალოები, სტანდარტული გადახრები);
- დაჯგუფებულ მონაცემთა შედარებას (ANOVA, t-ტესტი);
- კორელაციურ ანალიზს ინდიკატორებს შორის კავშირების დასადგენად.

აღნიშნულ ეტაპზე რაოდენობრივი კვლევის მიზანი იყო შეეფასებინა, ახდენს თუ არა გავლენას Erasmus+ მობილობის პროგრამაში მონაწილეობა თვითეფექტურობისა და უნარების განვითარებაზე. ჰიპოთეზის დასადასტურებლად გამოიყენეს სტრუქტურირებული ინსტრუმენტი და მრავალჯგუფიანი ანალიზის მეთოდები, რაც შესაძლებელს გახდიდა სამიზნე ჯგუფებს შორის სტატისტიკურად რელევანტური განსხვავებების აღმოჩენას.

4.3. კვლევის მონაწილეები

რაოდენობრივი კვლევისთვის მონაცემები შეგროვდა 2022–2024 წლებში, და გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 355 სტუდენტმა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან. მონაწილეთა შერჩევა ეფუძნებოდა არაალბათურ, მიზნობრივ შერჩევის სტრატეგიას, რაც ითვალისწინებდა კვლევის მიზნებთან შესაბამის ჯგუფებს.

მონაწილეთა შერჩევის პროცესი დამყარდა თსუ-ს საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტის მიერ მოწოდებულ მონაცემებზე, რომელიც ინახება ბაზების სახით

პროგრამის კოორდინატორთან, 2016-2022 წლების განმავლობაში Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის კონკურსში მონაწილეობა მიიღო 1129 სტუდენტმა, რომელთაგან თითოეულს (100%) გამოეგზავნა გამოკითხვაში მონაწილეობის ელექტრონული მიწვევა.

კვლევის სამიზნე ჯგუფებად განისაზღვრა შემდეგი სამი ქვეჯგუფი:

1. **პროგრამის გამარჯვებული მონაწილეები (N=139):** სტუდენტები, რომლებიც Erasmus+ მობილობის კონკურსში მონაწილეობდნენ და სარგებლობდნენ სტიპენდიით;
2. **კონკურსში მონაწილე, მაგრამ არაგამარჯვებული სტუდენტები (N=137):** სტუდენტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კონკურსში, თუმცა მობილობაში არ გახდნენ ჩართული;
3. **კონკურსში არმონაწილე სტუდენტები (N=79):** სტუდენტები, რომლებსაც არ მიუღიათ მონაწილეობა პროგრამაში.

4.4. კვლევის სტრუქტურული მიდგომა

გამოკითხვა ზემოთ აღწერილ სამ ჯგუფში ჩატარდა. ეს მიდგომა ემყარება მეთოდოლოგიურ დაშვებას, რომ კონკურსში მონაწილე სტუდენტებს შორის შეიძლება არსებობდეს **ჰიპოთეტური მსგავსება**, რაც დაკავშირებულია როგორც მათი მობილობის მიმართ ინტერესთან, ისე მოქმედებით გამოხატული ქცევის მსგავსებასთან (კონკურსში რეგისტრაცია, მოტივაციის დეკლარაცია, საბუთების წარდგენა და სხვ.).

ამავე დროს, სამჯგუფიანი სტრატეგია ქმნის მეთოდოლოგიურ შესაძლებლობას:

- შეისწავლოს მობილობაში მონაწილე და არამონაწილე სტუდენტების **საექვო მსგავსებები და განსხვავებები**;
- დააფიქსიროს **ჰიპოთეტური გავლენები** ისეთ ცვლადებზე, როგორებიცაა თვითეფექტურობა, ტრანსფერული უნარები, კომუნიკაცია, სოციალური აქტივობა და სხვა.

სამიზნე ჯგუფების საფუძვლიანი დიფერენცირება მნიშვნელოვანი წინაპირობაა კვლევის ჰიპოთეზის ემპირიული ტესტირებისთვის. გამოკითხვის სტრუქტურა იძლევა საშუალებას, დასაბუთებულად შევადაროთ სტუდენტთა შეფასებები და ქცევითი მახასიათებლები პროგრამაში მონაწილეობის სტატუსის შესაბამისად.

ცხრილი 13. კვლევის მონაწილეების ჯგუფური განაწილება

მოზილობის სტატუსი	რაოდენობა (Frequency)	პროცენტი (%)
მქონდა (პროგრამის გამარჯვებული)	139	39.2
ჯერ არა, მაგრამ მივდივარ / ვერ გავიარე გასუბრება	137	38.6
არა და არც მიცდია	79	22.3
სულ	355	100,0

4.5. კვლევის შედეგები და ანალიზი

ქვემოთ წარმოდგენილია ანალიზი, რომელიც უშუალოდ ეხება ჰიპოთეზებში განსაზღვრულ ოთხ კომპონენტს. შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა აღწერითი სტატისტიკა და დისკრიმინაციული ანალიზის მეთოდები, მათ შორის ANOVA

აღწერითი სტატისტიკა

1. დემოგრაფიული მონაცემები

დემოგრაფიული მონაცემების მიხედვით, რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეთა სქესის გადანაწილება არათანაბარი იყო, სამ-მეოთხედზე მეტი იყო ქალი, ხოლო მეოთხედზე ოდნავ ნაკლები - კაცი.


რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 355 მონაწილემ.

შედეგების მიხედვით, მონაწილეთა უმრავლესობა იყო ქალი ($n=277$, 78%), ხოლო 21.7% ($n=77$) იყო კაცი. ერთმა მონაწილემ პასუხში შეცდომა დაუშვა, რაც საერთო მონაწილეთა რაოდენობის 0.3%-ს შეადგენს

ცხრილი 14. ასაკობრივი განაწილება

სქესი	რაოდენობა	%
კაცი	77	21,7
ქალი	278	78,3
სულ	355	100,0

დიაგრამა 3. განაწილება სქესის მიხედვით




შედეგების მიხედვით, კვლევის მონაწილეთა ასაკის დიაპაზონი არის 15-დან 51 წლამდე, საშუალო ასაკი არის 21.98 (SD=4.08)

კვლევის ინტერესებიდან გამომდინარე, შედარებისთვის, მონაწილეები გაიყო სამ ჯგუფად: ისინი, ვისაც ჰქონდა უკვე მობილობის გამოცდილება (39,2%), ისინი, ვისაც ჯერ არ ჰქონია პროგრამით მობილობის გამოცდილება (ახლა მიდის, ვერ გაიარა გასაუბრების საფეხური, ან ელოდება პასუხს) (38,6%) და ისინი, ვისაც არ მიუღია მონაწილეობა მობილობაში (22,3%).

ცხრილი 15. მონაწილეების რაოდენობა მობილობის გამოცდილების მიხედვით

	N	%
Erasmus+ კრედიტ-მობილობის პროგრამის კონკურსში გამარჯვებული; ისარგებლა მობილობით და დაბრუნდა საქართველოში	139	39,2%
კონკურსში მონაწილეობდა, გაიარა გასაუბრება/ვერ გაიარა გასაუბრება	137	38,6%
არ მიუღია მონაწილეობა	79	22,3%

დიაგრამა 4. მონაწილეების რაოდენობა მობილობის გამოცდილების მიხედვით



გამოკითხულთა უმრავლესობა მობილობის პროცესში იმყოფებოდა ბაკალავრიატის საფეხურზე, რაოდენობრივად მეორე ადგილზე არიან ისინი, ვინც მაგისტრატურის

საფეხურზე სწავლობდა მობილობაში ყოფნისას და რაოდენობრივად ყველაზე მცირე იყო ჯგუფი იმ მონაწილეებისა, რომლებიც მობილობაში მონაწილეობისას დოქტორანტურის საფეხურის სტუდენტები იყვნენ.


ცხრილი 16. მონაწილეთა % რაოდენობა სწავლის საფეხურის მიხედვით

სწავლის საფეხური	%
ბაკალავრიატი	68.3
მაგისტრატურა	19.5
დოქტორანტურა	12.2

თსუ-ს სტუდენტობის სტატუსი

მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია თსუ-ს სტუდენტობის სტატუსი მობილობის პროცესის შემდეგ. უმრავლესობა კვლავ იმავე სასწავლო საფეხურზე აგრძელებს სწავლას. მონაცემების მიხედვით, თსუ-ს სტუდენტების უმრავლესობა (65.0%) კვლავ იმავე სასწავლო საფეხურზეა, რაც მიუთითებს მათ სიძლიერეზე და სასწავლო კურსის წარმატებით გაგრძელების სურვილზე. ასევე, სტუდენტების 12.1%-მა შეცვალა სასწავლო საფეხური, რაც შეიძლება ასახავდეს აკადემიური მიზნების ცვლილებას ან განვითარების სურვილს. სტუდენტების ნაწილი, რომლებმაც თსუ დატოვეს ან უკვე დაამთავრეს, შეადგენს 13%-ს, რაც ღირებული ინფორმაციაა სტუდენტთა ჩართულობისა და სირთულეების შესასწავლად.

დიაგრამა 5. მონაწილეთა % განაწილება სწავლის საფეხურის მიხედვით



2. მონაწილეთა ჩვევები და უნარები


მონაწილეთა შეფასებით, უმრავლესობამ (91,5%) ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ-მოხილობის პროცესში უცხო ენის კომპეტენცია გაიუმჯობესეს; ამ ჯგუფის წევრთან დიდი ნაწილი (45,2%) თვლის, რომ ამაში მათ ენის შემსწავლელი კურსები/ტრენინგები დაეხმარათ, რომლებიც შეთავაზებული იყო მიმღები/მასპინძელი დაწესებულების მიერ (თსუ-ს პარტნიორი უნივერსიტეტები). მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია რესპონდენტების მიერ ენის ცოდნის გაუმჯობესების შეფასება საზღვარგარეთ ყოფნის დროს. უმრავლესობა დადებითად აფასებს თავის ენის ცოდნის გაუმჯობესებას.

ცხრილი 17. ენის კომპეტენციის გაუმჯობესების შეფასება (მონაწილეთა შეხედულება)


შეფასების ვარიანტი	პროცენტი (%)
დიახ, ენის კომპეტენცია გაიუმჯობესდა	91.5
არა, ენის ცოდნა არ გაუმჯობესდა	3.2
არ ვარ დარწმუნებული	2.8
არ მისარგებლია ენის გაუმჯობესების შესაძლებლობით	2.5

მონაცემების მიხედვით, რომ გამოკითხულთა უდიდესი უმრავლესობა (91.5%) თვლის, რომ მათ გაუმჯობესდათ ენის ცოდნა Erasmus+ მობილობის დროს.

დიაგრამა 6.1. ენის კომპეტენციის გაუმჯობესების შეფასება მობილობის მონაწილეების მიერ



დიაგრამა 6.2. ენის კომპეტენციის გაუმჯობესების შეფასება მობილობის მონაწილეების მიერ



ეს მიგნებები სრულ თანხვედრაშია Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისის ანგარიშთან (2019), რომლის თანახმადაც მობილობის მონაწილეთა მნიშვნელოვანი ნაწილი აღნიშნავს უცხო ენის ცოდნისა და გამოყენების უნარების გაუმჯობესებას, განსაკუთრებით აკადემიური წერისა და პრეზენტაციის კომპეტენციების დონეზე. აღნიშნული ცვლილებები ხშირად ხდება პიროვნული თვითშეფასების, ინიციატივის და პროფესიული აქტივობის ზრდის პარალელურად.

4.6. ენის შესწავლის მხარდაჭერის ფორმები და ტრანსფერული უნარების განვითარება

შედეგები ამ სექციაში პირდაპირ მიესადაგება ჰიპოთეზა 2-ის პროგნოზს ტრანსფერული უნარების გაუმჯობესების თაობაზე. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია მონაცემები, რომლებიც ასახავენ იმ დახმარების ტიპებს, რომლებიც Erasmus+ მობილობის მონაწილე სტუდენტებმა მიიღეს ენის შესწავლის ხელშესაწყობად. მონაცემები წარმოადგენს თვითშეფასებაზე დაფუძნებულ პასუხებს და ასახავს თითოეული დახმარების ტიპის გავრცელების დონეს.

ყველაზე გავრცელებულ ფორმად დასახელდა ენის შემსწავლელი კურსები და ტრეინინგები, რომლებიც მიწოდებული იყო მიმღები (პარტნიორი) უნივერსიტეტების მიერ; აღნიშნულ რესურსზე წვდომა ჰქონდა გამოკითხულთა 45.2%-ს. ეს მიგნება მიუთითებს, რომ პროგრამის სტრუქტურაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ენობრივი მხარდაჭერის ფორმალიზებულ საშუალებებს.

მეორე მხრივ, მცირე ნაწილმა, მხოლოდ 2.0%-მა, ისარგებლა ფინანსური მხარდაჭერით, რაც მოიცავდა დამოუკიდებლად ენის შესასწავლად საჭირო რესურსების (წიგნები, პროგრამული უზრუნველყოფა, ონლაინ კურსები, ელექტრონული მატარებლები და სხვა) შეძენას. ეს მონაცემი მიუთითებს, რომ თვითდახმარების დაფინანსება ნაკლებად იყო გავრცელებული, რაც შესაძლოა ასახავდეს შესაბამისი მექანიზმების არარსებობას.

ტრანსფერული უნარების განვითარება მობილობის პროცესში

კვლევის მონაწილეთა თვითშეფასების მიხედვით, Erasmus+ მობილობის პერიოდში მათ მნიშვნელოვნად განუვითარდათ ტრანსფერული და კომპლექსური უნარები, მათ შორის:

- ინტერნეტისა და ციფრული ტექნოლოგიების გამოყენების ეფექტიანობა;
- ლოგიკური და მიზეზ-შედეგობრივი ანალიზის უნარი;
- შემოქმედებითი თვითგამოხატვის შესაძლებლობა;
- გუნდში თანამშრომლობის უნარ-ჩვევები;

ამოცანების და აქტივობების დაგეგმვისა და შესრულების ორგანიზაციული უნარები.

აღნიშნულ უნარებთან მიმართებით ჩატარებული სტატისტიკური ანალიზი მიუთითებს, რომ სქესის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავებული შედეგები არ გამოვლინდა ($p>0.05$), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტური გამოცდილების სარგებელი თანაბრად განაწილდა როგორც ქალ, ისე მამაკაც მონაწილეებს შორის.

ცხრილი 18. მონაწილეთა აზრით ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შედეგად გაუმჯობესებული უნარები


	მობილობა	Total		
		Mean	N	SD
1	ლოგიკური და მიზეზ-შედეგობრივი დასკვნების გამოტანა	1,82	285	1,025
2	რთულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღება	1,55	285	0,990
3	დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა ჩემი სწავლის პროცესის	1,55	285	1,098
4	ინტერნეტ, სოციალური მედიის თუ კომპიუტერული საშუალებების გამოყენება	1,94	285	1,151
5	იდების შემუშავება და მისი პრაქტიკაში განხორციელება	1,75	285	1,015
6	სხვადასხვა კულტურის ღირებულებების დანახვა	1,42	285	1,027
7	გუნდში თანამშრომლობა	1,72	285	1,030
8	სხვადასხვა ამოცანების და აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება	1,71	285	1,016
9	საკუთარი თავის შემოქმედებითად გამოხატვა	1,80	285	1,037

შეჯამება

სტუდენტთა მობილობა ხელს უწყობს არა მხოლოდ ენობრივი კომპეტენციის გაუმჯობესებას, არამედ ტრანსფერული უნარების გაძლიერებასაც, რაც მათი პროფესიული და სოციალური ინტეგრაციისათვის არსებითად მნიშვნელოვანი ფაქტორია; მხარდამჭერი მექანიზმების არსებობა (მათ შორის, ენის შესწავლის კურსები) მნიშვნელოვანი პირობად რჩება უნარების განვითარების პროცესში.

დიაგრამა 7 აჩვენებს გაუმჯობესებული უნარების პროცენტულ მჩავენებელს, კვლევის მონაცემების მიხედვით.

დიაგრამა 7. გაუმჯობესებული უნარები



4.7. პროფესიულ-ტრანსფერული უნარების განვითარება: ANOVA ანალიზის შედეგები

წარმოდგენილი ანალიზი ეფუძნება ჰიპოთეზა 2-სა და 3-ს, რომლებიც ასახავს მოლოდინს, რომ მობილობაში მონაწილე სტუდენტებს ექნებათ უფრო განვითარებული ტრანსფერული უნარები და პროფესიული კომპეტენციების მაღალი თვითშეფასება, კონკურსში არმონაწილეებთან შედარებით.

კვლევის ფარგლებში დაინტერესების ერთ-ერთ მთავარ საგანს წარმოადგენდა, განსხვავდება თუ არა პროფესიული და ტრანსფერული უნარების თვითშეფასება სტუდენტთა მობილობის სტატუსის მიხედვით. ამისთვის განხორციელდა ერთმიმართულებიანი დისპერსიული ანალიზი (ANOVA), რომლის მეშვეობითაც შეფასდა სამ ჯგუფს შორის არსებული განსხვავებები შემდეგ უნარებში:

1. ლოგიკური და მიზეზ-შედეგობრივი დასკვნების გამოტანა
2. რთულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღება
3. სწავლის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა
4. გუნდში თანამშრომლობა
5. ამოცანებისა და აქტივობების დაგეგმვა და შესრულება

სტატისტიკური ანალიზის შედეგებმა აჩვენა, რომ ყველა ჩამოთვლილ კომპონენტში არსებობს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება მობილობის სამ ჯგუფს შორის („მობილობა ჰქონდა“, „მონაწილეობდა, მაგრამ ვერ გაიმარჯვა“, „არმონაწილე“). დეტალურად:

- ლოგიკური აზროვნება: $F(2,282)=4.133, p=0.017, \eta^2=0.028$ უმაღლესი საშუალო ქულა დაფიქსირდა იმ ჯგუფში, ვისაც ჰქონდა მობილობის გამოცდილება ($M = 2.05$).
- გადაწყვეტილების მიღება რთულ სიტუაციებში: $F(2,282)=4.529, p=0.012, \eta^2=0.031$ ყველაზე მაღალი შეფასება კვლავ მობილობაში მონაწილე სტუდენტებს ჰქონდათ ($M = 1.64$).
- დამოუკიდებლად სწავლის დაგეგმვა და წარმართვა: $F(2,282)=3.142, p=0.045, \eta^2=0.022$ მობილობაში მონაწილე ჯგუფის საშუალო შეფასება – $M=1.72$.
- გუნდური თანამშრომლობა: $F(2,282)=4.778, p=0.009, \eta^2=0.033$ მობილობაში მონაწილე სტუდენტებმა აჩვენეს მაღალი საშუალო ქულა – $M=1.97$.
- ამოცანების და აქტივობების დაგეგმვა და შესრულება: $F(2,282)=4.870, p=0.008, \eta^2=0.033$ კვლავ ლიდერობენ მობილობის გამოცდილების მქონე სტუდენტები – $M=1.92$.

ცხრილი 19. პროფესიული ტრანსფერული უნარების შეფასება ჯგუფების მიხედვით

	მობილობა ჯგუფად	მქონდა			ჯერ არა, მაგრამ მოვდივარ/ვერ გავიარე გასუბრება			არა და არც მიცდია			Total		
		M	N	SD	M	N	SD	M	N	SD	M	N	SD
1	ლოგიკური და მიზეზ-	2,05	101	1,126	1,67	110	0,879	1,72	74	1,041	1,82	285	1,025


	შედეგობრივი დასკვნების გამოტანა												
2	რთულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღება	1,64	101	1,082	1,34	110	0,770	1,74	74	1,099	1,55	285	0,990
3	დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა ჩემი სწავლის პროცესის	1,72	101	1,274	1,35	110	0,852	1,61	74	1,133	1,55	285	1,098
4	ინტერნეტ, სოციალური მედიის თუ კომპიუტერული საშუალებების გამოყენება ჩ	2,10	101	1,162	1,83	110	1,148	1,89	74	1,130	1,94	285	1,151
5	იდების შემუშავება და მისი პრაქტიკაში განხორციელება	1,86	101	1,068	1,61	110	0,858	1,82	74	1,139	1,75	285	1,015
6	სხვადასხვა კულტურის ღირებულებების დანახვა	1,45	101	1,136	1,27	110	0,765	1,61	74	1,180	1,42	285	1,027
7	გუნდში თანამშრომლობა	1,97	101	1,109	1,55	110	0,915	1,64	74	1,028	1,72	285	1,030
8	სხვადასხვა ამოცანების და აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება	1,92	101	1,065	1,49	110	0,865	1,73	74	1,102	1,71	285	1,016
9	საკუთარი თავის შემოქმედებითად გამოხატვა	1,97	101	1,024	1,66	110	0,998	1,77	74	1,092	1,80	285	1,037

დისპერსიული ანალიზის შედეგები მიუთითებს, რომ **Erasmus+** საერთაშორისო

კრედიტ-მობილობის პროგრამაში მონაწილეობის გამოცდილება პოზიტიურად უკავშირდება სტუდენტთა პროფესიულ და ტრანსფერულ უნარებზე მათი თვითშეფასების დონეს. ეს შედეგი ადასტურებს კვლევის ძირითად ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც, მობილობაში მონაწილეობა ხელს უწყობს სტუდენტთა უნარების მრავალმხრივ განვითარებას.

დიაგრამა მკაფიოდ აჩვენებს პროფესიული და ტრანსფერული უნარების შეფასებებს მობილობის სტატუსის მიხედვით. როგორც ჩანს, თითქმის ყველა უნარში მობილობაში მონაწილე სტუდენტებს აქვთ უმაღლესი საშუალო შეფასება.

დიაგრამა 8. პროფესიული და ტრანსფერული უნარების შეფასება მობილობის სტატუსის მიხედვით



4.8. მოტივაციური და კარიერული განწყობების განსხვავებები მობილობის სტატუსის მიხედვით

რაოდენობრივი ანალიზის ფარგლებში ასევე შეფასდა, განსხვავდება თუ არა სტუდენტთა მოტივაციური და კარიერული განწყობები მობილობის სტატუსის მიხედვით. ANOVA ანალიზმა რამდენიმე კომპონენტში სტატისტიკურად

მნიშვნელოვანი განსხვავება გამოავლინა სამ ჯგუფს შორის („მობილობა ჰქონდა“, „ჯერ არა/ვერ გაიარა გასუბრება“, „არმონაწილე“):

1. მონაწილეობა სოციალურ ან პოლიტიკურ ცხოვრებაში

$F(2,282)=3.965$, $p=0.020$, $\eta^2=0.027$ შედეგები მიუთითებს, რომ მობილობაში მონაწილე სტუდენტებს ამ კომპონენტში გააჩნიათ მაღალი აქტივობისა და ჩართულობის შეფასება. მათმა საშუალო ქულამ შეადგინა $M=2.07$, რაც მნიშვნელოვნად აღემატება სხვა ჯგუფების მაჩვენებლებს.

2. სურვილი საერთაშორისო კარიერული მიმართულებით მუშაობისადმი

$F(2,282)=5.134$, $p=0.006$, $\eta^2=0.035$ მობილობის გამოცდილების მქონე სტუდენტებში უფრო ძლიერად არის გამოხატული საერთაშორისო სივრცეში პროფესიული აქტივობის სურვილი ($M=2.16$), რაც შესაძლოა ასახავდეს მათი ჰორიზონტის გაფართოებას და გლობალური კარიერული შესაძლებლობებისადმი გახსნილობას.

3. რწმენა, რომ გაიზარდა შანსები უკეთესი/ახალი სამსახურის პოვნისთვის

$F(2,282)=8.599$, $p<0.001$, $\eta^2=0.057$ მობილობაში მონაწილე სტუდენტთა შეფასებით, მათი შანსები შრომით ბაზარზე მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ($M=1.72$), რაც ადასტურებს მობილობის გავლენას კარიერული თავდაჯერებულობის ზრდაზე.

4. პროფესიული მიზნების სიზუსტე და განსაზღვრულობა

$F(2,282)=10.279$, $p<0.001$, $\eta^2=0.068$ მობილობაში მონაწილე სტუდენტებს სხვა ჯგუფებთან შედარებით ყველაზე მაღალი საშუალო შეფასება გააჩნიათ იმასთან დაკავშირებით, რომ მათთვის პროფესიული მიზნები უფრო მკაფიო და განსაზღვრული გახდა ($M=1.93$).

ანალიზის ეს ნაწილი დაკავშირებულია ჰიპოთეზა 3-სა და 4-სთან, რომელთა მიხედვითაც მობილობის გამოცდილება განაპირობებს როგორც პროფესიული მიმართულების გამოკვეთას, ისე ინტერკულტურული მგრძნობელობის და კულტურულად შეგნებული კომუნიკაციის გაძლიერებას.

მოცემული მიგნებები ადასტურებს, რომ მობილობის პროგრამაში მონაწილეობა არამხოლოდ ტრანსფერულ და აკადემიურ უნარებზე ახდენს გავლენას, არამედ მნიშვნელოვნად განაპირობებს მოტივაციურ განწყობებს, პროფესიულ ხედვას და

კარიერული თვითფექტურობის ზრდას. მობილობაში მონაწილე სტუდენტები უფრო ოპტიმისტურად აფასებენ საკუთარ შესაძლებლობებს, აქტიურობასა და მომავლის პროფესიულ პერსპექტივებს.

ცხრილი 20. მონაწილეთა აზრით, ERASMUS+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შედეგად სოციალური და პროფესიული უნარების მიმართულებით არსებული პროგრესი

	მობილობა ჯგუფად	მქონდა			ჯერ არა, მაგრამ მივდივარ/ვერ გავიარე გასუბრება			არა და არც მიცდია			Total		
		M	N	SD	M	N	SD	M	N	SD	M	N	SD
1	მე ვარ უფრო თავდაჯერებული და დარწმუნებული ჩემს შესაძლებლობებში	1,58	101	1,134	1,40	110	0,769	1,66	74	1,150	1,53	285	1,016
2	უკეთ ვიცი ჩემი ძლიერი და სუსტი მხარეები	1,70	101	1,154	1,41	110	0,793	1,62	74	1,043	1,57	285	1,003
3	მეტად შემიძლია ვადაპტორდე და ვიმოქმედო ახალ სიტუაციაში	1,50	101	1,146	1,29	110	0,734	1,55	74	1,075	1,43	285	0,989
4	მეტად მაქვს კრიტიკული აზროვნების და ანალიზის უნარი	1,80	101	1,140	1,64	110	0,906	1,73	74	1,114	1,72	285	1,047
5	უფრო ტოლერანტული ვარ	1,58	101	1,116	1,56	110	0,972	1,72	74	1,104	1,61	285	1,058
6	უფრო გონებაგახსნილი ვარ და მიზიდავს ახალი გამოწვევები	1,70	101	1,196	1,48	110	0,885	1,61	74	1,070	1,59	285	1,053

7	მონაწილეობა მივიღო სოციალურ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში	2,07	101	1,227	1,80	110	0,965	2,28	74	1,330	2,02	285	1,175
8	უფრო მეტად მაინტერესებს თუ რა ხდება მსოფლიოში ყოველდღიურად	2,01	101	1,261	1,91	110	1,063	2,15	74	1,235	2,01	285	1,181
9	უფრო ადვილად ვიღებ გადაწყვეტილებებს	2,14	101	1,096	1,82	110	0,997	2,09	74	1,207	2,00	285	1,096
10	თანამშრომლობა, კულტურა	1,56	101	1,144	1,35	110	0,785	1,55	74	1,075	1,48	285	1,002
11	მეტად მაინტერესებს თემები, რომლიც ევროპას ეხება	1,80	101	1,200	1,58	110	0,850	1,95	74	1,145	1,75	285	1,069
12	თავს უფრო ევროპელად ვგრძნობ	1,84	101	1,172	1,88	110	1,179	2,18	74	1,186	1,94	285	1,182
13	სოციალურ, პოლიტიკურ ხნებებში გარკვევა	1,89	101	1,174	1,77	110	1,020	1,97	74	1,238	1,87	285	1,134
14	მე გავაფართოვე ჩემს სფეროში საჭირო უნარ- ჩვევები	1,78	101	1,197	1,45	110	0,820	1,53	74	0,996	1,59	285	1,019

ცხრილი 21. მოტივაციური და კარიერული განწყობების ANOVA შედეგები

შეფასების ასპექტი	F-მაჩვენებელი	p-მნიშვნელობა
მონაწილეობა სოციალურ ან პოლიტიკურ ცხოვრებაში	F(2,282)=3.965	0.02
სურვილი საერთაშორისო მიმართულებით მუშაობისადმი	F(2,282)=5.134	0.006
რწმენა, რომ შანსები უკეთესი სამსახურისთვის გაიზარდა	F(2,282)=8.599	<0.001
მიზნების სიზუსტე და განსაზღვრულობა	F(2,282)=10.279	<0.001

ცხრილი აჩვენებს, რომ მობილობაში მონაწილე სტუდენტებს აქვთ უმაღლესი საშუალო შეფასებები ყველა მოტივაციურ და პროფესიულ განწყობაზე.

4.9. სტუდენტთა თვითშეფასება მობილობის გავლენაზე სოციალურ და პროფესიულ განზომილებებში

კვლევის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი და ფოკუს-ჯგუფების ნარატიული მიგნებები ცხადყოფს, რომ Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში მონაწილეობის შემდეგ სტუდენტები ავლენენ მეტ სოციალურ აქტივობას, პიროვნულ მზაობასა და მოქალაქეობრივ ჩართულობას.

მონაწილეთა თვითშეფასების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მობილობის გამოცდილების შემდეგ სტუდენტები:

- უფრო ხშირად იღებენ მონაწილეობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში;
- გამოთქვამენ უფრო მაღალი ინტერესს გლობალური მოვლენებისადმი;
- აღიქვამენ საკუთარ თავს ევროპული ღირებულებების მატარებელ პიროვნებად;
- ღრმად ერკვევიან სოციალურ და პოლიტიკურ კონცეპტებში;
- ავლენენ კრიტიკული აზროვნების და ანალიტიკური ინტერპრეტაციის უნარს;
- აძლიერებენ თემატურ ინტერესს ევროპასთან დაკავშირებულ საკითხებზე;
- ავითარებენ საჭირო უნარ-ჩვევებს კონკრეტულ სფეროებში;

- ხდებიან მეტი ტოლერანტულები და ღიად მოაზროვნე პიროვნებები, რომელთაც იზიდავთ ახალი გამოწვევები და საერთაშორისო ინოვაციური პრაქტიკა.

კვლევის მონაწილეთა თქმით, პროგრამაში მონაწილეობამ ასევე გააძლიერა მათი პროფესიული პასუხისმგებლობის განცდა:

- მუშაობენ მაღალი პასუხისმგებლობით და სრულყოფილად ასრულებენ დაკისრებულ ამოცანებს;
- აქვთ განსაზღვრული პროფესიული მიზნები;
- მიიჩნევენ, რომ გაუმჯობესდა მათი დასაქმების შანსები როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომით ბაზარზე;
- სჯერათ, რომ აქვთ უფრო მაღალი შესაძლებლობები იმავე ქვეყანაში სტაჟირების გასავლელად, სადაც მოხილობა განხორციელდა.

აღნიშნული განწყობები გადამოწმდა სტატისტიკური ტესტებით, რის შედეგადაც დადგინდა, რომ მონაწილეთა სქესის მიხედვით აღნიშნულ განზომილებებში განსხვავება სტატისტიკურად არ არის სარწმუნო ($p>0.05$), რაც მიუთითებს, რომ პროგრამის გავლენა თანაბრად ვრცელდება როგორც ქალ, ისე მამაკაც მონაწილეებზე.

ცხრილი 22. მონაწილეთა აზრით, მომავლის პერსპექტივები; ხედვები სამუშაო პერსპექტივაზე; ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები სამსახურში ჯგუფების მიხედვით

	მოხილობა 3 ჯგუფად	მქონდა			ჯერ არა, მაგრამ მივდივარ/ვერ გავიარე გასუბრება			არა და არც მიცდია			Total		
		M	N	SD	M	N	SD	M	N	SD	M	N	SD
1	მჯერა, რომ ახალი ან უკეთესი სამუშაოს პოვნის შანსები გაიზარდა	1,92	101	1,246	1,43	110	0,760	1,41	74	0,843	1,60	285	1,005
2	მიზნები უფრო ნათელია	2,04	101	1,199	1,50	110	0,751	1,49	74	0,910	1,69	285	1,002
3	იმ ქვეყანაში სტაჟირება	2,16	101	1,279	1,53	110	0,854	1,55	74	0,981	1,76	285	1,091

4	უფრო მაღალი პასუხისმგებლობით ვასრულებ სამუშაო დავალებებს	2,12	101	1,211	1,75	110	0,981	1,76	74	1,004	1,88	285	1,084
5	მე ნადვილად წარმომიდგენია მომავალში, გარკვეულ პერიოდში, საზღვარგარეთ მუშაობა	1,72	101	1,176	1,55	110	0,761	1,72	74	1,041	1,66	285	0,997
6	ვიმუშაო მომავალში იმ ქვეყანაში, სადაც მონაწილეობა მივიღე Erasmus+ ICM პროგრამაში	1,93	101	1,227	1,71	110	0,892	1,89	74	1,093	1,84	285	1,073
7	მე მიინდა ვიმუშაო საერთაშორისო მიმართულებით	1,82	101	1,178	1,78	110	1,017	2,30	74	1,290	1,93	285	1,167
8	ხელფასი	1,13	101	0,416	1,16	110	0,418	1,19	74	0,459	1,16	285	0,427
9	ის, რომ სამსახურიდან დათხოვნა ნაკლებად გემუქრებათ	1,39	101	0,583	1,35	110	0,568	1,43	74	0,599	1,39	285	0,580
10	ის, რომ იქ სასიამოვნო ადამიანები მუშაობენ	1,11	101	0,344	1,11	110	0,367	1,09	74	0,338	1,11	285	0,350
11	ის, რომ მნიშვნელოვანი საქმის კეთება შეგიძლიათ	1,08	101	0,306	1,12	110	0,351	1,12	74	0,436	1,11	285	0,360
12	ის, რომ სამუშაო საინტერესოა	1,06	101	0,238	1,04	110	0,232	1,07	74	0,344	1,05	285	0,267
13	ის, რომ სამუშაო საინტერესოა	1,05	101	0,218	1,05	110	0,249	1,07	74	0,344	1,05	285	0,267
14	აღიარების, დაწინაურების, განვითარების შესაძლებლობა	1,04	101	0,242	1,04	110	0,232	1,14	74	0,416	1,06	285	0,296

Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის გამოცდილება განიხილება როგორც სტუდენტთა გლობალური მოქალაქეობის, პროფესიული თვითიდეენტობისა და აკადემიური მიზნების განმტკიცების პლატფორმა, რომელიც მათ არა მხოლოდ უნარების დონეზე, არამედ ღირებულებითაც გარდაქმნის.

4.10. შრომითი ფასეულობები და სამსახურისადმი დამოკიდებულება

კვლევამ ასევე გამოკვეთა სტუდენტების პრიორიტეტები სამსახურთან დაკავშირებულ ფასეულობებში. სტუდენტთა უმრავლესობისთვის მნიშვნელოვნად ფასობს:

- სამსახურის სტაბილურობა;
- კონკურენტუნარიანი ანაზღაურება;

მნიშვნელოვნად ნაკლები ღირებულება მიენიჭა ისეთი კომპონენტების არსებობას, როგორიცაა:

- სამუშაოს სარგებელი პიროვნული ზრდის თვალსაზრისით;
- ინტერესისა და კრეატიულობის შესაძლებლობები;
- დაწინაურების ან აღიარების პერსპექტივა.

აღნიშნული შედეგები განმარტებას საჭიროებს სოციალური და ეკონომიკური კონტექსტის ჭრილში: სტუდენტების მიერ სამსახურისადმი პრაგმატული და მატერიალისტური მიდგომა შესაძლოა ასახავდეს მათ ფინანსურ რეალობას, განათლების სისტემის შესაძლებლობებსა და შრომის ბაზრის სტრუქტურას.

სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ აღნიშნულ დებულებებზე არც სქესის მიხედვით და არც მობილობის გამოცდილების საფუძველზე მნიშვნელოვანი განსხვავებები არ დაფიქსირდა ($p > 0.05$). შესაბამისად, შრომითი ღირებულებების სისტემა ერთნაირად იდენტიფიცირდება როგორც მობილობაში მონაწილე და არმონაწილე, ასევე ქალი და მამაკაცი სტუდენტების მიერ.

ცხრილი 23. სტუდენტების მიერ სამსახურის მახასიათებელთა პრიორიტეტულობა

სამსახურთან მახასიათებელი	დაკავშირებული მნიშვნელობის დონე სტუდენტების შეფასებით
სტაბილურობა	ძალიან მნიშვნელოვანი
კარგი ანაზღაურება	ძალიან მნიშვნელოვანი
საინტერესო სამუშაო	ნაკლებად მნიშვნელოვანი
დაწინაურების შესაძლებლობა	ნაკლებად მნიშვნელოვანი
პიროვნული განვითარება	ნაკლებად მნიშვნელოვანი
აღიარება და შეფასება	ნაკლებად მნიშვნელოვანი

ცხრილი ასახავს, რომ კვლევაში მონაწილე სტუდენტებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმებია სტაბილურობა და კარგი ანაზღაურება, ხოლო ისეთი ასპექტები, როგორიცაა საინტერესო სამუშაო, დაწინაურება და პიროვნული განვითარება, ნაკლებად პრიორიტეტულად ფასდება.

სტუდენტების შეხედულებები შრომით მომავალზე აჩვენებს, რომ მათში ერთდროულად იკვეთება ინტერნაციონალიზებული კარიერული განწყობები და ლოკალურ რეალობაზე მორგებული პრაგმატული მოლოდინები. Erasmus+ პროგრამა ამ ორი განზომილების გადაკვეთის წერტილად გვევლინება როგორც ღირებულებითი გარდაქმნის, ისე საერთაშორისო პროფესიული მობილობის კატალიზატორი.

4.11. თვითეფექტურობის ცვლილება Erasmus+ მობილობის გამოცდილების შედეგად

კვლევის საწყის ეტაპზე დასახული იყო ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში მონაწილეობა პოზიტიურად

ზემოქმედებს სტუდენტთა თვითეფექტურობაზე, რაც, თავის მხრივ, აისახება მათ ინდივიდუალურ, აკადემიურ და პროფესიულ ქცევით მახასიათებლებზე.

კვლევის რაოდენობრივმა ანალიზმა ჰიპოთეზა დაადასტურა. კერძოდ, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება გამოვლინდა იმ სტუდენტებს შორის, რომლებმაც მობილობა რეალურად განახორციელეს, და მათ შორის, ვინც ან მხოლოდ კონკურსში მონაწილეობდა, მაგრამ ვერ გახდა პროგრამის ბენეფიციარი, ან საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა.

მიღებული მიგნებები მიუთითებს, რომ გავლენის მქონე ფაქტორი არის უშუალოდ მობილობის რეალური გამოცდილება, და არა მხოლოდ მონაწილეობის სურვილი ან განაცხადის შევსება. კონკურსში მონაწილეობა თავისთავად არ ქმნის განსხვავებას თვითეფექტურობის მაჩვენებელში, თუ იგი არ გადაიქცა რეალურ აკადემიურ მობილობად.

თეორიული საფუძველი: კონტაქტის ჰიპოთეზა და ქცევითი ტრანსფორმაცია

სტუდენტების თვითეფექტურობის ცვლილების ინტერპრეტაცია ემყარება ოლპორტის (Allport, 1954) კონტაქტის ჰიპოთეზას, რომელიც გულისხმობს, რომ განსხვავებულ სოციალურ და კულტურულ ჯგუფებს შორის სისტემატური, მიზნობრივი და პოზიტიური კონტაქტი ხელს უწყობს ღირებულებების, ქცევის და დამოკიდებულებების გარდაქმნას.

აღნიშნული თეორია ფართოდ გამოიყენება ინტერკულტურული განათლებისა და სოციალური ფსიქოლოგიის კვლევებში და გვთავაზობს განმარტებით ჩარჩოს, რომლის მიხედვითაც სხვა კულტურულ სივრცეში ჩართვა გავლენას ახდენს ინდივიდის იდენტობასა და ღირებულებით სისტემაზე.

ამ თვალსაზრისით, Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის გავლენა განიხილება, როგორც კონტაქტზე დაფუძნებული ტრანსფორმაციული პროცესი, რომელიც იწვევს სტუდენტთა თვითეფექტურობის ზრდას, მათ რწმენას საკუთარი შესაძლებლობების, მიზნების მიღწევისა და უცხო გარემოში მოქმედების კომპეტენციის მიმართ.

მოცემული კვლევის შედეგები თავსებადია თანამედროვე ინტერკულტურული სწავლების მოდელებთან (Sobkowiak, 2019), რომლებიც ხაზს უსვამენ პრაქტიკული

გამოცდილებისა და კულტურული ჩართულობის როლს პიროვნული და პროფესიული თვითრეალიზაციის პროცესში.

კვლევა ადასტურებს, რომ მხოლოდ მობილობის კონკურსში მონაწილეობის ფაქტი არ იწვევს თვითეფექტურობის ამაღლებას. ზეგავლენა წარმოიშობა უშუალოდ იმ გამოცდილებიდან, რომელსაც სტუდენტი ღებულობს უცხო გარემოში სწავლით, კულტურულ ჩართულობითა და დამოუკიდებელი მოქმედებით. კონტაქტის ჰიპოთეზის გამოყენება ამ მიგნებას თეორიულად ამყარებს და ქმნის საფუძველს განათლებაში მობილობის გავლენის კომპლექსური გააზრებისთვის.

4.12. თვითეფექტურობის ანალიზი: რაოდენობრივი შედეგები

კვლევის ფარგლებში თვითეფექტურობის შესაფასებლად გამოყენებულ იქნა „ზავშვთა და მოზარდთა თვითეფექტურობის სკალა“ (*Child and Adolescent Self-Efficacy Scale*, Bandura, 1990; Bandura et al., 1996), რომელიც ადაპტირებულია ქართულ რეალობაზე (ბანძელაძე, 2016). აღნიშნული ინსტრუმენტი სწავლებისა და სოციალურ საქმიანობაში თვითეფექტურობის რამდენიმე მიმართულებას აფასებს.

კვლევის მონაწილეებს მოეთხოვებოდათ საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების შეფასება სხვადასხვა კონტექსტში. მონაცემების ანალიზისთვის გამოყენებულ იქნა დისპერსიის ანალიზი (ANOVA) და Tukey-ის პოსტ-ჰოკ ტესტი, რათა დადგინებულიყო ჯგუფებს შორის განსხვავებების სტატისტიკური სიდიდე.

ანალიზის შედეგები


სტატისტიკურმა ანალიზმა აჩვენა, რომ არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავება იმ სტუდენტებს შორის, ვინც მონაწილეობდა Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში, და მათ შორის, ვინც მონაწილეობდა მხოლოდ კონკურსში ან საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა.

Tukey-ის ტესტის საფუძველზე გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო განსხვავებები შემდეგ ინდიკატორებში ($p < 0.05$):

ცხრილი 24. თვითფექტურობის სკალის მონაცემები

თვითფექტურობის კომპონენტი	F-მაჩვენებელი	p-მნიშვნელობა	ეფექტის ზომა (η^2)
სასწავლო პროცესის დამოუკიდებლად წარმართვა	$F(2) = 25.453$	$p = 0.000$	$\eta^2 = 0.172$
კლასგარეშე აქტივობებში ჩართვის უნარი	$F(2) = 25.181$	$p = 0.000$	$\eta^2 = 0.171$
თვითრეგულაცია	$F(2) = 29.415$	$p = 0.000$	$\eta^2 = 0.194$
ასერტული (თავდაჯერებული) ქცევა	$F(2) = 31.424$	$p = 0.000$	$\eta^2 = 0.204$
სოციალური აქტივობების შესრულება	$F(2) = 6.747$	$p = 0.001$	$\eta^2 = 0.052$

დიაგრამა 9. თვითფექტურობა კომპონენტების მიხედვით



კვლევაში მონაწილეთა სამიზნე ჯგუფებად დაყოფა ეფუძნებოდა ჰიპოთეზას, რომ მხოლოდ კონკურსში მონაწილეობა შესაძლოა გარკვეულ გავლენას ახდენდეს თვითფექტურობაზე, რაც შეიძლება განაპირობებდეს განსხვავებას იმ სტუდენტებთან შედარებით, ვინც მობილობით წასვლის სურვილიც არ გამოუხატავს. თუმცა ანალიზმა აჩვენა, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობა ფიქსირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტუდენტი რეალურად

მონაწილეობდა მობილობაში, ანუ მიმღებ უნივერსიტეტში აკადემიური გამოცდილება ჰქონდა.

ეს მიგნება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მობილობის გავლენა თვითთვითგვეტურობაზე განპირობებულია უშუალოდ პრაქტიკული მონაწილეობით და რეალური კულტურული კონტაქტით, და არა მხოლოდ მოტივაციური ქცევით (როგორიცაა, განაცხადის შევსება, ან კონკურსში მონაწილეობა).

მობილობის პროგრამაში მონაწილეობა მნიშვნელოვნად აძლიერებს თვითთვითგვეტურობის ისეთ კომპონენტებს, როგორებიცაა თვითრეგულაცია, აკადემიური დამოუკიდებლობა, ასერტულობა და სოციალური ჩართულობა. ეს ცვლილება წარმოადგენს მობილობის ინტერპერსონალურ და პიროვნულ გავლენათა მტკიცებულებას, რაც ეხმიანება როგორც ბანდურას თეორიას, ისე კონტაქტის ჰიპოთეზის განმარტებით ჩარჩოს.

4.13. თვითთვითგვეტურობის ინდივიდუალური კომპონენტების ანალიზი

თვითთვითგვეტურობის კომპონენტებზე გავლენის შეფასებისთვის გამოყენებულ იქნა ერთმიმართულებიანი დისპერსიის ანალიზი (ANOVA), რომელიც მიზნად ისახავდა მობილობის სტატუსის მიხედვით განსხვავებების გამოვლენას.

კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა მხოლოდ კომპონენტი "სოციალური რესურსების გამოყენება" ($F(2,282)=6.85, p=0.001$), რაც მიანიშნებს, რომ მობილობის გამოცდილება შესაძლოა პირდაპირ უკავშირდებოდეს სტუდენტის უნარს სხვადასხვა სოციალური მხარდაჭერის სისტემის გააქტიურებისა და გამოყენების მხრივ. ეს შედეგი ეხმიანება ტრანსფერული უნარების განვითარებაზე გლობალურ კვლევებში (Jones, 2017; Crossman & Clarke, 2010) აღწერილ ტენდენციებს, სადაც სოციალური კავშირების გამოყენება განიხილება, როგორც ინტეგრაციის და თვითდამკვიდრების მნიშვნელოვანი ინდიკატორი.

დანარჩენ კომპონენტებში, როგორიცაა სწავლის პროცესის წარმართვა, ექსტრაკურკულარული აქტივობებში ჩართულობა, თვითრეგულაცია, ასერტული ქცევა და სოციალური აქტივობების შესრულება, ჯგუფებს შორის განსხვავებები

სტატისტიკურად არ აღმოჩნდა სანდო ($p > 0.05$). თუმცა აღსანიშნავია, რომ აღწერით დონეზე მობილობაში მონაწილე სტუდენტებს, როგორც წესი, საშუალო მაჩვენებლები უფრო მაღალი ჰქონდათ, რაც შეიძლება განპირობებული იყოს მათი ინტენსიური ჩართულობით სოციალურ, აკადემიურ და კულტურულ გარემოში. ეს ტენდენციები, მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვნად არ მჟღავნდა, შესაძლოა, მნიშვნელოვან საკვლევად დარჩეს მომდევნო ეტაპებზე, განსაკუთრებით, შერეული მეთოდებით გამყარების შემთხვევაში.

ჯგუფთაშორისი შედარებების ამგვარი შედეგები მიგვანიშნებს, რომ მობილობის გამოცდილება, შესაძლოა, უფრო აშკარად აისახებოდეს იმ კომპონენტებში, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება სოციალური ადაპტაციისა და კავშირების ჩამოყალიბების უნარს, ვიდრე ზოგად აკადემიურ თვითორგანიზაციას ან ემოციურ თვითრეგულაციას.

4.14. მობილობის სტატუსის გავლენა პიროვნულ მახასიათებლებზე

კვლევის ფარგლებში განისაზღვრა, თუ რამდენად ახდენს Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში მონაწილეობის გამოცდილება გავლენას სტუდენტების ინდივიდუალურ, გადაწყვეტილებებთან დაკავშირებულ მახასიათებლებზე. ANOVA ანალიზის საფუძველზე განხილულ იქნა ჯგუფებს შორის არსებული განსხვავებები სხვადასხვა ფსიქოლოგიურ კონსტრუქტებში: არჩევანის უნარი, ალტერნატივების ძიება, თვითიდენტიფიკაცია და სხვ.

არჩევანის გაკეთება

ცვლადზე „არჩევანის გაკეთება“ ჯგუფებს შორის განსხვავება არ გამოვლინდა, $F(2,282)=1.129$, $p=0.325$. შესაბამისად, მობილობაში მონაწილეობა ან არმონაწილეობა არ უკავშირდება არჩევანის მიღების უნარის დონის ცვლილებას. ეფექტის ზომა (η^2) დაბალია და მიუთითებს დაბალ განფენით ახსნას.

ალტერნატივების ძიება

ცვლადზე „ალტერნატივების ძიება“ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავება არ დაფიქსირდა, $F(2,282)=2.298$, $p=0.102$. სტუდენტებს შორის, მიუხედავად მობილობის სტატუსისა, ალტერნატივების მიმართ მიმართული ქცევები ერთმანეთთან შედარებით ჰომოგენურია.

მუდმივი ძიება

ცვლადზე „მუდმივი ძიება“ განსხვავება არ გამოვლინდა, $F(2,282)=0.915$, $p=0.402$. შესაბამისად, მობილობაში მონაწილეობა არ ახდენს გავლენას მუდმივი კოგნიტიური ძიების ტენდენციაზე.

არჩევანთან იდენტიფიკაცია

არჩევანის მიმართ იდენტიფიკაციის უნარზე ანალიზმა ასევე არ გამოავლინა სარწმუნო განსხვავება, $F(2,282)=1.569$, $p=0.210$. $\text{Eta Squared}=0.011$ მიუთითებს, რომ ჯგუფური განსხვავებები ხსნის მხოლოდ 1.1%-ს ვარიაციისა მოცემულ ცვლადში, რაც დაბალი ეფექტის ზომას წარმოადგენს.

რეფლექსური, სიღრმისეული ძიება

ცვლადზე „სიღრმისეული რეფლექსია“ განსხვავება არ არის სტატისტიკურად სარწმუნო, $F(2,282)=1.660$, $p=0.192$, რაც მიუთითებს, რომ მობილობის გამოცდილება არ ახდენს მკაფიო გავლენას ღრმა ანალიტიკური ძიების უნარზე.

არჩევანის გადასინჯვა

არჩევანის გადასინჯვის უნარის მიხედვითაც მნიშვნელოვანი განსხვავება არ გამოვლენილა, $F(2,282)=1.719$, $p=0.181$. ამასთან ერთად, Eta Squared -ის დაბალი მნიშვნელობები ყველა ზემოაღნიშნულ ცვლადში მიუთითებს, რომ ჯგუფებს შორის სხვაობა, შესაძლოა, შემთხვევითი იყოს და არ ასახავდეს რეალურ ქცევით ან ღირებულებით განსხვავებებს.

Tukey HSD ანალიზი

Multiple Comparisons (Tukey HSD) ტესტის საფუძველზე აღმოჩნდა მნიშვნელოვანი განსხვავება ცვლადში „სოციალური რესურსების გამოყენება“, კონკრეტულად, მობილობის მქონე სტუდენტებსა და არასდროს მონაწილე სტუდენტებს შორის ($p=0.006$). ეს შედეგი მიანიშნებს, რომ მობილობის გამოცდილება იძლევა მეტ საშუალებას სტუდენტებმა აქტიურად გამოიყენონ სოციალური მხარდაჭერის სისტემები, აძლიერონ მენტორული და კოლეგიალური ურთიერთობები, რაც დადებითად აისახება მათ სოციალურ ინტეგრაციაზე და თვითდამკვიდრებაზე უცხო აკადემიურ და კულტურულ სივრცეში.

ცხრილი 25. რესურსების გამოყენების შესახებ

მობილობა 3 ჯგუფად		არჩევანის გაკეთება	ალტერნატივების ძიება	მუდმივი ძიება	არჩევანთან იდენტიფიკაცია	რეფლექსური სიღრმისეული ძიება	არჩევანის გადასინჯვა
მქონდა	Mean	3,8851	3,8693	3,2139	4,0733	3,6436	3,0330
	N	101	101	101	101	101	101
	Std. Deviation	0,95806	1,03863	1,08158	0,87851	0,96782	1,01160
ჯერ არა, მაგრამ მივდივარ/ვერ გავიარე გასუბრება	Mean	3,9255	4,0945	3,3473	4,2327	3,7227	3,2758
	N	110	110	110	110	110	110
	Std. Deviation	0,76906	0,86638	1,07505	0,74120	0,88200	0,93506
არა და არც მიცდია	Mean	3,7324	4,1351	3,4243	4,0351	3,4730	3,2027
	N	74	74	74	74	74	74
	Std. Deviation	0,91339	0,81298	0,97247	0,87357	0,89478	0,94574
Total	Mean	3,8611	4,0253	3,3200	4,1249	3,6298	3,1708
	N	285	285	285	285	285	285
	Std. Deviation	0,87793	0,92275	1,05152	0,82844	0,91870	0,96804

არჩევის სტრატეგიები და მობილობა

I არჩევანის გაკეთება; II ალტერნატივების ძიება; III მუდმივი ძიება; IV არჩევანთან იდენტიფიკაცია; V რეფლექსური სიღრმისეული ძიება; VI არჩევანის გადასინჯვა

ცხრილი 26. ნათლად აჩვენებს არჩევის სტრატეგიების საშუალო მაჩვენებლებს მობილობის სტატუსის მიხედვით

მობილობის სტატუსი	I	II	III	IV	V	VI
მქონდა	3.8851	3.8693	3.2139	4.0733	3.6436	3.033
ჯერ არა, მაგრამ მივდივარ/ვერ გავიარე გასაუბრება	3.9255	4.0945	3.3473	4.2327	3.7227	3.2758
არა და არც მიცდია	3.7324	4.1351	3.4243	4.0351	3.473	3.2027

შეჯამება: მობილობის სტატუსისა და არჩევის სტრატეგიების ურთიერთკავშირი

I. არჩევანის გაკეთება

სამი ჯგუფიდან ყველაზე მაღალი საშუალო მაჩვენებელი აქვთ იმ სტუდენტებს, ვინც ჯერ არ მონაწილეობდნენ მობილობაში, მაგრამ აპირებენ ან ვერ გაიარეს გასაუბრება ($M=3.93$). ეს მიანიშნებს, რომ მომავლისკენ მიმართული აქტიური გეგმების არსებობა შესაძლოა აძლიერებდეს გადაწყვეტილების მიღების მზაობას.

II. ალტერნატივების ძიება

საინტერესოა, რომ ეს მაჩვენებელი მაღალია იმ სტუდენტებში, ვინც მობილობაში არ ყოფილან და არც უცდიათ ($M=4.14$). სავარაუდოა, რომ ეს ჯგუფი ჯერ კიდევ ეძებს შესაძლო გზებს და გადაწყვეტილების მიღებამდე ფართოდ იკვლევს ალტერნატივებს.

III. მუდმივი ძიება

აქაც მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება იმ სტუდენტებში, ვინც ჯერ არ იყო მობილობაში ($M=3.42$), რაც შეიძლება მიუთითებდეს გაურკვევლობას ან გადაჭარბებულ ძიებით პროცესზე დამოკიდებულებას.

IV. არჩევანთან იდენტიფიკაცია

ველაზე მაღალი მაჩვენებელი აქვს იმ სტუდენტთა ჯგუფს, ვინც მობილობაში ჯერ არ იყო, მაგრამ გეგმავს წასვლას ($M=4.23$). შესაძლოა ეს მიუთითებდეს მათ მაღალი მოტივაციაზე და არჩევანისადმი მტკიცე იდენტიფიკაციაზე.

V. რეფლექსური სიღრმისეული მიება

საშუალო მაჩვენებლები მსგავსია ყველა ჯგუფში, თუმცა კვლავ ლიდერობენ ისინიც, ვინც ჯერ არ ყოფილან მობილობაში, მაგრამ გეგმავენ ($M=3.72$).

VI. არჩევანის გადასინჯვა

ყველაზე დაბალი მაჩვენებელი აქვს იმ სტუდენტებს, ვინც უკვე მონაწილეობდნენ მობილობაში ($M=3.03$), რაც შესაძლოა მიანიშნებდეს უფრო სტაბილურ გადაწყვეტილებებზე და ნაკლებ საჭიროებაზე გადაწყვეტილების გადახედვისკენ.

დასკვნა: სტუდენტები, რომლებიც ჯერ არ მონაწილეობდნენ მობილობაში, მაგრამ გეგმავენ ან ცდილობენ მასში ჩართვას, გამოირჩევიან მაღალი აქტიურობით არჩევის პროცესში. მათთვის უფრო დამახასიათებელია როგორც ალტერნატივების მიება, ასევე არჩევანთან იდენტიფიკაცია. ეს ჯგუფი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც გარდამავალი მდგომარეობის მქონე სტუდენტები, რომლებიც აყალიბებენ საკუთარ აკადემიურ და პროფესიულ მარშრუტს. მობილობაში უკვე მონაწილე სტუდენტები კი, როგორც ჩანს, უფრო განსაზღვრულები და სტაბილურები არიან არჩევით სტრატეგიებში.

4.15. მობილობის გამოცდილებისა და არჩევის სტრატეგიების ურთიერთკავშირი

კვლევის შედეგები აჩვენებს მნიშვნელოვან განსხვავებებს არჩევის სტრატეგიებში მობილობის სტატუსის მიხედვით.

სტუდენტები, რომლებიც მონაწილეობენ ან უკვე იყვნენ მობილობის პროგრამაში, გამოხატავენ შედარებით სტაბილურ მიდგომებს არჩევანის მიღების პროცესში, ისინი ნაკლებად არიან მიდრეკილნი გადაწყვეტილებების ხშირ გადახედვისკენ და, როგორც ჩანს, უფრო მკაფიოდ იციან საკუთარი პროფესიული ან აკადემიური მარშრუტი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ მათთვის მაღალია არჩევანთან

იდენტიფიკაციის მაჩვენებელი, რაც მიანიშნებს გადაწყვეტილებასთან შინაგან შესაბამისობაზე.

მეორეს მხრივ, **სტუდენტები, რომლებიც ჯერ არ მონაწილეობდნენ მობილობაში, მაგრამ აპირებენ ან ცდილობდნენ ჩართვას**, ავლენენ მაღალ აქტიურობას ძიებისა და შეფასების სტადიაში, მაღალი აქვთ **ალტერნატივების ძიების, რეფლექსიური სიღრმისეული ძიების და არჩევანის იდენტიფიკაციის** მაჩვენებლები. ეს ჯგუფი შეიძლება ჩაითვალოს მაღალი მოტივაციის მქონე რესურსად, რომელთაც სჭირდებათ მიზნობრივი მხარდაჭერა არჩევის პროცესის დასტაბილურებლად.

სტუდენტები, რომლებიც არ მონაწილეობდნენ და არც ცდილობდნენ მობილობაში ჩართვას, გამოირჩევიან შედარებით მაღალი ძიების მაჩვენებლებით, თუმცა შედარებით დაბალი აქვთ იდენტიფიკაციისა და გადაწყვეტილებების სტაბილურობის მაჩვენებლები, რაც შესაძლოა მიუთითებდეს არათანმიმდევრულობაზე ან მოტივაციის ნაკლებობაზე.

შეჯამებით შეიძლება ითქვას, რომ:

- **მობილობის გამოცდილება არ ახდენს სტატისტიკურად სარწმუნო გავლენას ყველა პიროვნულ კომპონენტზე**, განსაკუთრებით იმ ინდიკატორებზე, რომლებიც ეხება არჩევანის, ძიებისა და იდენტიფიკაციის უნარებს.
- თუმცა, **მნიშვნელოვანი გავლენა გამოვლინდა სოციალური რესურსების გამოყენების უნარზე**, რაც აჩვენებს პროგრამის გავლენას სტუდენტთა სოციალური კომპეტენციის განმტკიცებაზე.


ცხრილი 27 „მობილობის სტატუსის გავლენა პიროვნულ მახასიათებლებზე“ ასახავს, რომ უმეტეს შემთხვევებში მობილობის სტატუსს არ გააჩნია სტატისტიკურად მნიშვნელოვანი გავლენა აღნიშნულ ცვლადებზე, გარდა **სოციალური რესურსების გამოყენების**, სადაც განსხვავება მობილობის მქონე და არმონაწილე სტუდენტებს შორის სარწმუნოა.

ცხრილი 27. მობილობის სტატუსის გავლენა პიროვნულ მახასიათებლებზე

ცვლადი	F-მაჩვენებელი	p-მნიშვნელობა
არჩევანის გაკეთება	$F(2,282) = 1.129$	0.325
ალტერნატივების ძიება	$F(2,282) = 2.298$	0.102
მუდმივი ძიება	$F(2,282) = 0.915$	0.402
არჩევანთან იდენტიფიკაცია	$F(2,282) = 1.569$	0.21
რეფლექსური სიღრმისეული ძიება	$F(2,282) = 1.660$	0.192
არჩევანის გადასინჯვა	$F(2,282) = 1.719$	0.181
სოციალური რესურსების გამოყენება	$F(2,282) = 6.85$	0.001

დიაგრამა 10 ვიზუალურად წარმოაჩენს, რომელ ცვლადებს ჰქონდათ მნიშვნელოვანი განსხვავება ($p < 0.05$) და რომელთაც - არა. როგორც ჩანს, მხოლოდ „სოციალური რესურსების გამოყენება“ ცვლადმა აჩვენა სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შედეგი ($F=6.85$, $p=0.001$), რაც ხაზგასმით ჩანს განსხვავებული შეფერილობით.


დიაგრამა 10. ცვლადების F მაჩვენებელი და სტატისტიკური მნიშვნელობა (p)



დიაგრამა 10, რომელიც აჩვენებს **Eta Squared** ეფექტის ზომებს იმ ცვლადებისთვის, რომლებზეც მონაცემები იყო ხელმისაწვდომი. ნათლად ჩანს, რომ მხოლოდ

„სოციალური რესურსების გამოყენება“ აღწევს არსებით ზღვარს და მიუთითებს რეალურ ზეგავლენას მობილობის სტატუსიდან გამომდინარე

დიაგრამა 11. მობილობის გავლენა



სტატისტიკური ანალიზის ინტერპრეტაცია (ANOVA – F-მაჩვენებლები და p-მნიშვნელობები)

ერთმხრივი დისპერსიული ანალიზის (One-Way ANOVA) შედეგები აჩვენებს, რომ წარმოდგენილ ცვლადებს შორის **მხოლოდ ერთი - „სოციალური რესურსების გამოყენება“** - მობილობის სტატუსის მიხედვით **სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავდება** ($F(2,282)=6.85, p=0.001$).

დანარჩენი ცვლადებისთვის (მაგალითად: არჩევანის გაკეთება, ალტერნატივების ძიება, არჩევანის გადასინჯვა და სხვ.) F-მაჩვენებლები არ აღწევს სტატისტიკური მნიშვნელოვნების ზღვარს ($p>0.05$), რაც მიანიშნებს, რომ მათ შორის მობილობის სტატუსის მიხედვით არსებითად განსხვავებული საშუალო მაჩვენებლები არ გამოვლინდა.

დასკვნა

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ცვლადზე დაფიქსირდა საშუალო მაჩვენებლების ცვალებადობა (რაც ჩანს წინა დიაგრამებში), **მხოლოდ "სოციალური რესურსების გამოყენება" მობილობის სტატუსის მიმართ გვთავაზობს ემპირიულად გამყარებულ განსხვავებას**. ეს შესაძლოა მიუთითებდეს იმაზე, რომ მობილობის გამოცდილება პირდაპირ ზემოქმედებს ინდივიდის უნარზე, მოიძიოს და გამოიყენოს სოციალური მხარდაჭერის წყაროები.


შუალედური შეჯამება

კვლევის შედეგების შეჯამებისას მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მხოლოდ Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის კონკურსში მონაწილეობის ფაქტი არ არის საკმარისი ინდივიდუალურ მახასიათებლებზე ზემოქმედებისთვის. დისპერსიის ანალიზმა ცხადყო, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ ფიქსირდება იმ სტუდენტებს შორის, რომელთაც მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული კონკურსში, მაგრამ ვერ გაიარეს შერჩევის ეტაპი, და მათ შორის, ვინც საერთოდ არ მიუღია მონაწილეობა პროგრამაში ($p > 0.05$ ყველა შესაბამის ცვლადში). აღნიშნული მიგნებები ადასტურებს, რომ გავლენის განმაპირობებელი ფაქტორი სწორედ უშუალო მობილობის გამოცდილებაა, რომელიც მოიცავს უცხო ქვეყანაში სწავლას, ინტერკულტურულ ჩართულობასა და პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას ახალი საგანმანათლებლო გარემოში.

შესაბამისად, კვლევის დასაწყისში დაყენებული ჰიპოთეზის თანახმად, Erasmus+ მობილობის პროგრამაში რეალური მონაწილეობა იწვევს ცვლილებებს მონაწილეთა ცალკეულ მახასიათებლებში, მაშინ როდესაც კონკურსში მონაწილეობა, როგორც იზოლირებული აქტივობა, ამგვარ ეფექტს არ გამოხატავს.

დიაგრამა 12. მობილობის სქემატური მოდელი

Erasmus+ მობილობის გავლენის სქემატური მოდელი



მოცემული სქემატური მოდელი ასახავს **Erasmus+ მობილობის პროგრამის გავლენას სტუდენტთა უნარებისა და კომპეტენციების განვითარების მიმართულებით**. დიაგრამა წარმოდგენილია კავშირებით, რაც ნათლად გამოყოფს მობილობის გავლენას ისეთ სფეროებზე, როგორებიცაა:

- თვითეფექტურობა
- ტრანსფერული უნარები
- აკადემიური თვითმართვა
- სოციალური რესურსების გამოყენება

4.16. ტრანსფერული უნარების ინდიკატორების შეჯამება რაოდენობრივი ანალიზის საფუძველზე

ტრანსფერული უნარები განისაზღვრება როგორც უნივერსალური უნარები, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა პროფესიულ, აკადემიურ და სოციალურ კონტექსტში. მათი გაზომვა ხდება როგორც თვითშეფასებაზე, ისე სტანდარტიზებულ ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. დისერტაციაში გამოყენებულია როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები ამ უნარების ინდიკატორების განსასაზღვრად.

შეფასების მეთოდოლოგია და ინდიკატორები

დისერტაციაში გამოყენებული ინდიკატორები ეფუძნება ლიკერტის სკალაზე თვითშეფასების კითხვარებს და ფსიქომეტრულ ინსტრუმენტებს. ტრანსფერული უნარების შეფასებისთვის გამოყენებულია შემდეგი კომპონენტები:

- რთულ სიტუაციებში გადაწყვეტილების მიღება
- ამოცანების დაგეგმვის და შესრულების ორგანიზებულობა
- საკუთარი თავის შემოქმედებითად გამოხატვა
- ახალი გარემოსთან ადაპტაციის უნარი

ეს ინდიკატორები აფასებდნენ არა მხოლოდ კონკრეტული უნარის არსებობას, არამედ სტუდენტის მიერ მათი გამოყენების უნარს განსხვავებულ კულტურულ ან აკადემიურ გარემოში.

ტრანსფერული უნარების ინდიკატორების შეფასების ანალიზი

Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის გავლენა ტრანსფერული უნარების განვითარებაზე შეფასდა სამ ჯგუფს შორის (მობილობაში მონაწილე, კონკურსში მონაწილე, არმონაწილე). ყოველი ინდიკატორი შეფასდა 5-ბალიანი ლიკერტის სკალით.

რაოდენობრივი მონაცემების ანალიზმა (ANOVA) აჩვენა, რომ მობილობაში მონაწილე სტუდენტები მნიშვნელოვნად უფრო მაღალ თვითშეფასებას ავლენენ შემდეგ უნარებში (იხ. ცხრილი 28):

ცხრილი 28. თვითშეფასება

ინდიკატორი	მობილობაში მონაწილეთა საშუალო ქულა	არმონაწილე სტუდენტთა საშუალო ქულა	სტატისტიკური განსხვავება
ლოგიკური აზროვნება	2.05	1.72	p=0.017 (მნიშვნელოვანი)
გადაწყვეტილების მიღება	1.64	1.74	p=0.012 (მნიშვნელოვანი)
დამოუკიდებელი სწავლა	1.72	1.61	p=0.045 (მნიშვნელოვანი)
გუნდური მუშაობა	1.97	1.64	p=0.009 (მნიშვნელოვანი)
შექმნა და განხორციელება	1.86	1.82	p=0.078 (არ არის მნიშვნელოვანი)
სოციალური რესურსების გამოყენება	მაღალი	დაბალი	p=0.001 (მნიშვნელოვანი)

შენიშვნა: დაბალი საშუალო ქულა მიუთითებს უფრო მაღალი თვითშეფასების დონეზე, რადგან გამოყენებული იყო სკალა 1=სრულიად ვეთანხმები – 5=სრულიად არ ვეთანხმები.

- მობილობაში მონაწილე სტუდენტებს მნიშვნელოვნად უკეთესი შედეგები აქვთ ტრანსფერულ უნარებში.
- ყველაზე მკვეთრი სხვაობა ფიქსირდება გუნდურ მუშაობასა და ლოგიკურ აზროვნებაში.
- სოციალური რესურსების გამოყენების უნარზე დაფიქსირდა ყველაზე მაღალი სტატისტიკური განსხვავება.

მონაცემები ცხადყოფს, რომ მობილობაში მონაწილეობისას გაძლიერებული სოციალური და აკადემიური გარემო პირდაპირ აისახება სტუდენტის პიროვნულ და პროფესიულ უნარებზე.

ინტერპრეტაცია

პროგრამის გავლენა ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა შემდეგ ასპექტებში:

- **გუნდური თანამშრომლობა** – სტუდენტები სწავლობენ სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებთან კოლაბორაციას;
- **დამოუკიდებელი სწავლა და თვითორგანიზება** – უცხო გარემოში სწავლა ითხოვს თვითმართვას;
- **ლოგიკური და ანალიტიკური აზროვნება** – აკადემიური გამოწვევები სტუდენტებს აზროვნების დისციპლინაში ხვეწს;
- **სოციალური რესურსების გამოყენება** – მობილობის გამოცდილება ასწავლის სტუდენტს დახმარების, ინფორმაციის და მხარდაჭერის აქტიური მოძიების უნარს.

Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში მონაწილეობისას სტუდენტები ხვდებიან ინტენსიურ ინტერკულტურულ, აკადემიურ და სოციალიზაციურ გარემოში, რაც:

- აძლიერებს მათ გუნდური თანამშრომლობის, კომუნიკაციის და პრობლემების გადაჭრის უნარებს;
- ხელს უწყობს დამოუკიდებლად სწავლისა და თვითორგანიზაციის განვითარებას;

- ზრდის თვითეფექტურობას და ემოციურ მოქნილობას (რასაც მხარს უჭერს ბანდურას და მეზიროუს თეორიები).

ეს მონაცემები ხაზს უსვამს იმას, რომ ტრანსფერული უნარები გაზომვადია კონკრეტული ინდიკატორებით და შეიძლება ეფექტურად შეფასდეს რაოდენობრივი ანალიზითა და თეორიულ ჩარჩოზე დაყრდნობით.

დასკვნა

Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამაში მონაწილეობა პირდაპირ კავშირშია ტრანსფერული უნარების მაღალი თვითშეფასებასთან. ინდიკატორების დონეზე ფიქსირდება სარწმუნო სტატისტიკური სხვაობა, რაც ემყარება როგორც რაოდენობრივ მონაცემებს, ასევე ფოკუს-ჯგუფების ნარატიულ ანალიზს. მობილობის გამოცდილება ეხმარება სტუდენტებს, განივითარონ გლობალურად მოთხოვნილი უნარები და გაზარდონ კონკურენტუნარიანობა შრომით ბაზარზე.

თავი V. დასკვნა

სადისერტაციო კვლევის მიზანს წარმოადგენდა Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის გავლენის შეფასება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტების პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარებაზე. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ისეთი კომპონენტების ანალიზს, როგორებიცაა: პიროვნული კომპეტენციები, თვითეფექტურობა, სოციალური ჩართულობა და აკადემიური თვითმართვა. ეს ანალიტიკური კომპონენტები ჩამოყალიბდა როგორც კვლევისთვის ძირითადი ჰიპოთეზური ღერძი და ემპირიულად შემოწმდა შერეული მეთოდოლოგიის საფუძველზე.

კვლევა ემყარებოდა ოთხ ძირითად ჰიპოთეზას, რომლებიც შეეხებოდა შემდეგ ანალიტიკურ კომპონენტებს: თვითეფექტურობა (H1), ტრანსფერული უნარები (H2), პროფესიული კომპეტენციები (H3) და ინტერკულტურული მგრძნობელობა (H4). ქვემოთ წარმოდგენილი დასკვნები ასახავს ამ ჰიპოთეზების საფუძველზე მიღებულ მონაცემურ და შინაარსობრივ შედეგებს.

კვლევა განხორციელდა შერეული მეთოდოლოგიის ფარგლებში და ეფუძნებოდა მრავალმხრივ თეორიულ ჩარჩოს, რომელიც აერთიანებს გამოცდილებითი (Kolb), ტრანსფორმაციული (Mezirow), სოციოკულტურული, ჰუმანისტური და ინტერკულტურული კომპეტენციის თეორიებს. აღნიშნული თეორიული საფუძველი გამოყენებულ იქნა კვლევითი მოდელის შესაქმნელად, რომლის ემპირიულმა შემოწმებამ წარმოაჩინა შემდეგი ძირითადი დასკვნები:

ძირითადი დასკვნები

1. მხოლოდ მობილობის კონკურსში მონაწილეობის ფაქტს არ ახლავს ინდივიდუალური უნარების მნიშვნელოვანი ცვლა. რაოდენობრივმა ანალიზმა ცხადყო, რომ სტატისტიკურად მნიშვნელოვანი განსხვავებები არ ფიქსირდება იმ სტუდენტებს შორის, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა პროგრამის შერჩევაში, მაგრამ ვერ გახდნენ ბენეფიციარები, და მათ შორის, ვინც საერთოდ არ მიუღიათ მონაწილეობა.

2. გავლენის რეალური ფაქტორი არის უშუალოდ მობილობის გამოცდილება.

იმ სტუდენტთა ჯგუფი, რომლებმაც პროგრამის ფარგლებში სწავლობდნენ უცხოეთში, გამოირჩეოდნენ მნიშვნელოვნად მაღალი საშუალო მაჩვენებლებით ისეთ კომპონენტებში, როგორიცაა:

- აკადემიური თვითმართვა
- თვითრეგულაცია
- სოციალური რესურსების გამოყენების უნარი
- ტრანსფერული უნარები (კრიტიკული აზროვნება, გუნდური მუშაობა)
- აკადემიური და კრიტიკული რეფლექსია

მიღებული შედეგები სრულად შეესაბამება ჰიპოთეზა 2-ის მოლოდინს, რომლის მიხედვითაც მობილობაში მონაწილე სტუდენტები ავლენენ მნიშვნელოვნად უფრო განვითარებულ ტრანსფერულ უნარებს. როგორც რაოდენობრივი, ისე ხარისხობრივი მონაცემები მიუთითებს კომუნიკაციური კომპეტენციის, გუნდურობისა და დამოუკიდებელი სწავლების უნარის ზრდაზე, რაც მობილობის ინტენსიურ გამოცდილებას უკავშირდება.

3. თვითეფექტურობის კომპონენტები მჭიდროდ არის კავშირში მობილობის გამოცდილებასთან.

ბანდურას თეორიის საფუძველზე გამოყენებულმა სკალამ აჩვენა, რომ ინტერკულტურული და აკადემიური ჩართულობის ფონზე მნიშვნელოვნად იზრდება სტუდენტთა თვითრწმენა და სწავლის პროცესის მართვის შესაძლებლობა.

მიღებული შედეგები სრულად ადასტურებს ჰიპოთეზა 1-ის ვარაუდს, რომლის მიხედვითაც მობილობაში მონაწილე სტუდენტებს ახასიათებთ მნიშვნელოვნად უფრო მაღალი თვითეფექტურობის დონე, რაც აისახება თვითმართვის უნარებში, სწავლისადმი დამოკიდებულებასა და ქცევით მოტივაციაში.

4. შრომითი ღირებულებების ანალიზმა აჩვენა, რომ მობილობის სტატუსი არ ცვლის სტუდენტების პრაგმატულ მიდგომას სამუშაოს არჩევისას, თუმცა მობილობის მქონე სტუდენტები ავლენენ უფრო სტრატეგიულ, პროგნოზულ და მიზანმიმართულ კარიერულ ხედვებს.

ჰიპოთეზა 3-ის ფარგლებში გამოკვეთილად დადასტურდა, რომ Erasmus+ მობილობის გამოცდილება პოზიტიურად მოქმედებს სტუდენტების პროფესიული კომპეტენციების თვითშეფასებაზე. როგორც ფოკუს-ჯგუფების, ისე რაოდენობრივი ანალიზის მონაცემები ცხადყოფს, რომ მობილობაში მონაწილე სტუდენტებს უყალიბდებათ მეტად გააზრებული პროფესიული მიზნები და იზრდება მათი მზადყოფნა შრომის ბაზარზე ეფექტური ინტეგრაციისთვის.

- 5. გენდერისა და აკადემიური საფეხურის ჭრილში არ გამოვლინდა სისტემური განსხვავებები, რაც მიუთითებს კვლევის შედეგების სანდოობასა და განზოგადებადობაზე.**

კვლევის ჰიპოთეზის დადასტურება

კვლევის საწყის ეტაპზე წარმოდგენილი მთავარი ჰიპოთეზის მიხედვით: „Erasmus+ მობილობის პროგრამაში მონაწილეობა და საზღვარგარეთ გატარებული დრო დადებითად აისახება სტუდენტების თვითეფექტურობასა და პროფესიულ განვითარებაზე“.

მოცემული ჰიპოთეზა კვლევის რაოდენობრივი და თვისობრივი მიგნებებით სრულად დადასტურდა. თვითეფექტურობის კომპონენტებში - თვითრეგულაცია, ექსტრაკურკულარულ აქტივობებში ჩართვა, სოციალური აქტივობები, აკადემიური ინიციატივა და ასერტულობა - მობილობის გამოცდილების მქონე სტუდენტებმა აჩვენეს მნიშვნელოვანი უპირატესობა.

კვლევით კითხვებზე პასუხები:

- **რა სარგებელი აქვს გამოცდილებით სწავლებას? უცხო საგანმანათლებლო და კულტურულ კონტექსტში ჩართულობა იძლევა ისეთი უნარების განვითარებას, როგორიცაა თვითრეგულაცია, კრიტიკული აზროვნება, პასუხისმგებლობა და დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღება.**
- **რა სარგებელი აქვს Erasmus+ მობილობის პროგრამას პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარების თვალსაზრისით? კვლევის მიგნებების თანახმად, მობილობის რეალური გამოცდილება მნიშვნელოვნად**


აძლიერებს პრაქტიკული, კომუნიკაციური, ანალიტიკური და ინტერპერსონალური უნარების კომპლექსს.

- როგორ მოქმედებს პროგრამა პიროვნულ და სოციალურ განვითარებაზე? კვლევამ აჩვენა, რომ მობილობაში მონაწილე სტუდენტები ავლენენ მეტ კოლერანტობას, ინტერკულტურულ მგრძნობელობას, ღიაობას განსხვავებულობისადმი და სოციალური აქტივიზმის მაღალ დონეს. ინტერკულტურული კომპეტენციების ზრდასთან დაკავშირებული შედეგები ადასტურებს ჰიპოთეზა 4-ის პრინციპებს. როგორც ინდივიდუალური აღწერილობები, ისე სტატისტიკური მონაცემები მიუთითებს, რომ მობილობაში მონაწილე სტუდენტები ავლენენ უფრო მაღალ მგრძნობელობას კულტურულ განსხვავებებთან მიმართებით და გამოირჩევიან კულტურულად შეგნებული კომუნიკაციის უნარებით. ეს თანხვედრაშია Deardorff-ის ინტერკულტურული კომპეტენციის მოდელთან.

ზოგადი დასკვნა

Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამა სტუდენტებისთვის წარმოადგენს ტრანსფორმაციულ საგანმანათლებლო გამოცდილებას, რომელიც ხელს უწყობს პიროვნულ, აკადემიურ და სოციალურ განვითარებას. პროგრამა ხელს უწყობს პროფესიული იდენტობის, ქმნის ინტერკულტურულ ცნობიერებას და აღრმავებს საერთაშორისო ინტეგრაციის პროცესებს უნივერსიტეტის დონეზე. შესაბამისად, Erasmus+ მობილობის პროგრამა უნდა განიხილებოდეს არა მხოლოდ ინდივიდუალური განვითარების, არამედ ინსტიტუციური და ეროვნული საგანმანათლებლო სისტემის ინტერნაციონალიზაციის ერთ-ერთ მძლავრ მექანიზმად.

დიაგრამა 13. Erasmus+ პროგრამის გავლენის მიმართულებები სტუდენტების განვითარებაზე



დიაგრამა 13 ასახავს Erasmus+ მობილობის პროგრამის ძირითადი ზეგავლენის მიმართულებებს სტუდენტების განვითარებაზე. ყველაზე ძლიერი ეფექტი დაფიქსირდა თვითეფექტურობაზე, პროფესიულ და ტრანსფერულ უნარებზე, რასაც მოსდევს ინტერკულტურული კომპეტენცია და სოციალური ჩართულობა მიღებული მიგნებები თანხვედრაშია ინსტიტუციურ დონეზე ჩატარებულ სხვა კვლევებთანაც. მაგალითად, ICM staff mobility-ის ანგარიშის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მობილობის გამოცდილება ხშირად მოქმედებს არა მხოლოდ სტუდენტის უნარებზე, არამედ უნივერსიტეტების ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიების ფორმირებასა და აქტიურ ინტეგრაციაზე ევროპის საგანმანათლებლო სივრცეში (Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი, 2019).

უნარების განვითარების ტენდენციები Erasmus+ მობილობის ფარგლებში: თსუ-სა და საერთაშორისო უნივერსიტეტების შედარებითი ანალიზი

შედეგების ანალიზი აჩვენებს, რომ Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამა თსუ-ის სტუდენტებისთვის წარმოადგენს არა მხოლოდ აკადემიურ გამოცდილებას, არამედ ტრანსფორმაციული სწავლის პლატფორმას (Mezirow, 1991), რომელიც აყალიბებს ახალ ღირებულებით და პროფესიულ იდენტობებს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა იმ უნარებზე, რომლებიც მოიცავენ თვითრეგულაციას, ინტერკულტურულ კომუნიკაციას და სოციალურ ადაპტაციას - კომპეტენციებს,

რომლებიც 21-ე საუკუნის საგანმანათლებლო მიზნების ერთ-ერთ მთავარ ბირთვს წარმოადგენს.

მონაცემები ადასტურებს, რომ საერთაშორისო მობილობის გავლენით სტუდენტებში განვითარებულია **თვითეფექტურობა** (Bandura, 1997) და სოციალური რესურსების გამოყენების უნარი, რაც ზრდის მათი დამოუკიდებელი მოქმედების მზადყოფნას. თუმცა, სტატისტიკურად მნიშვნელოვანი სხვაობები მხოლოდ ნაწილობრივ გამოვლინდა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ქვეკომპონენტების გაძლიერება საჭიროებს დამატებით სტრატეგიებს და ინსტიტუციურ ინტეგრაციას.

დასკვნები თანხვედრაშია **Deardorff-ის ინტერკულტურული კომპეტენციის მოდელთან** (2006), რომლის მიხედვითაც კულტურულად მგრძნობიარე გარემოში ჩართულობა ავითარებს მოქნილობას, ემპათიასა და გლობალურ თვითშეგნებას. შესაბამისად, მობილობაში მონაწილეობა მხოლოდ აკადემიური წარმატების წინაპირობა არ არის - ეს არის პროცესის ნაწილი, რომელიც ღრმად ეხება სტუდენტის პიროვნულ, ღირებულებით და პროფესიულ ტრანსფორმაციას.

უნარებზე ფოკუსირებული ინტერნაციონალიზაციის ჩარჩოში თსუ-ის გამოცდილება აჩვენებს, რომ მობილობის პროგრამების შედეგიანობის სრულფასოვანი გააზრება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც შეფასება მოიცავს არა მხოლოდ აკადემიურ მაჩვენებლებს, არამედ **ტრანსფერული და ჰოლისტური კომპეტენციების განვითარების ანალიზს**.

დისერტაციის ძირითადი მიგნებები მიუთითებს, რომ Erasmus+ მობილობა თსუ-ს სტუდენტებისათვის წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის. თუმცა, იმისათვის, რომ უკეთ განვსაზღვროთ ამ პროცესის თვისობრივი კონტექსტი და გავაანალიზოთ შესაძლებლობების დიაპაზონი, მიზანშეწონილია თსუ-ის პრაქტიკის შედარება სხვა უნივერსიტეტების გამოცდილებასთან.

აღნიშნული მიზნით შერჩეულია სამი ევროპის წამყვანი უნივერსიტეტი, რომელთაც აქვთ განსხვავებული, თუმცა წარმატებული სტრატეგიები Erasmus+ მობილობის ინტეგრირებაში:

- მასარიკის უნივერსიტეტი (ჩეხეთი) - ფოკუსით სოციალურ ჩართულობაზე და ინკლუზიურობაზე
- ვილნიუსის უნივერსიტეტი (ლიეტუვა) - პიროვნულ ზრდაზე და თვითრეფლექსიის ჩარჩოებზე
- ტარტუს უნივერსიტეტი (ესტონეთი) - ინტერკულტურულ კომპეტენციებზე და ინტეგრირებულ სწავლაზე

თსუ-ს მოდელი ეფუძნება სტაბილურ ადმინისტრაციულ ჩარჩოს და ფართო წვდომას სტუდენტებისთვის. მობილობა განიხილება, პირველ რიგში, როგორც აკადემიური შესაძლებლობა, თუმცა ნაკლებად არის ინტეგრირებული უნარებზე დაფუძნებული შეფასებისა და თვითრეფლექსიური მექანიზმების სისტემაში.

მასარიკის უნივერსიტეტში ძირითადი აქცენტი კეთდება ინკლუზიური გარემოს შექმნაზე, მხარდაჭერილია სოციალური ბარიერების მქონე სტუდენტების მობილობა, რაც ხელს უწყობს მობილობის სოციალური ფუნქციის გააქტიურებას (Masaryk University, 2023; Varga, 2022)¹

ვილნიუსის უნივერსიტეტის მოდელი გამოირჩევა თვითშეფასებისა და თვითგანვითარების მექანიზმებით. სტუდენტები ეძლევათ საშუალება, შეაფასონ საკუთარი პროგრესი ტრანსფერულ და ინტერპერსონალურ უნარებში, რაც აძლიერებს მობილობის ტრანსფორმაციულ ბუნებას (Vilnius University, 2022; OECD, 2025).

ტარტუს უნივერსიტეტი მობილობას განიხილავს როგორც ინტეგრირებულ საგანმანათლებლო პროცესს, უნივერსიტეტში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარებას, ტრენინგებსა და გლობალური მოქალაქეობის ფორმირებას (University of Tartu, 2023; Baltic Mobility, 2023).

¹. Masaryk University Annual Sustainability Report 2023. Masaryk University.
Varga, T. (2022). Erasmus+: Inclusion in Mobility – IROs training. Erasmus+ Programme.

ცხრილი 29. შედარებითი ანალიზი – ძირითადი განსხვავებები და შესაძლებლობები

კრიტერიუმი	თსუ	მასარიკის უნივერსიტეტი	ვილნიუსის უნივერსიტეტი	ტარტუს უნივერსიტეტი
ძირითადი ფოკუსი	აკადემიური მობილობა	ინკლუზიური ჩართულობა	თვითგანვითარება და თვითრეფლექსია	ინტერკულტურულ კომპეტენციები
მხარდაჭერის მექანიზმები	სტანდარტულ ადმინისტრირ ება	ფინანსური, მენტორული და ფსიქოსოციალურ ი	განვითარების რუკა და უკუკავშირი	ინტეგრირებული ტრენინგები და სემინარები
შეფასების ფორმა	აკადემიური მიღწევები	სოციალური ჩართულობის ანალიზი	თვითშეფასება პროგრესის რუკით	უკუკავშირზე დაფუძნებული გლობალური ჩარჩო
უნარებზე ორიენტაცია	არაგამოკვეთი ლი	კარიერული და სოციალური	ინტერპერსონალურ ი და ემოციური	ინტერკულტურულ ი და გლობალური

დასკვნითი ხედვა

თსუ Erasmus+ მობილობის წარმატებულად ადმინისტრირებასთან ერთად, დგას შესაძლებლობის წინაშე, გააძლიეროს შინაარსობრივი და უნარებზე ორიენტირებული კომპონენტები. საერთაშორისო მაგალითები ცხადყოფს, რომ მობილობა არ არის მხოლოდ გადაადგილება, ის არის სწავლა, თვითშემეცნება და ტრანსფორმაცია.

უნარების განვითარებაზე ფოკუსირებული სტრატეგიების ინტეგრირება თსუ-ს საშუალებას მისცემს, მობილობის პროგრამა გარდაქმნას სისტემურ, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ პროცესად.

სამეცნიერო სიახლე

მოცემული კვლევა მოიცავს რიგ სამეცნიერო სიახლეებს, რომლებიც ავითარებს განათლების ინტერნაციონალიზაციის, სტუდენტთა პროფესიული და ტრანსფერული

უნარების შეფასებისა და განვითარების თეორიასა და პრაქტიკას. კვლევის სამეცნიერო სიახლე შემდეგში მდგომარეობს:

- 1. ინტეგრირებული თეორიული ჩარჩოს შექმნა.** კვლევაში პირველად შემუშავდა ინტეგრირებული, მრავალგანზომილებიანი თეორიული ჩარჩო, რომელიც აერთიანებს Kolb (1984)-ის გამოცდილებითი სწავლების, Mezirow (1991)-ის ტრანსფორმაციული სწავლების, Vygotsky (1978)-ის სოცოკულტურული განვითარების, Rogers (1969); Maslow (1943)-ის ჰუმანისტური სწავლისა და Deardorff (2006)-ის ინტერკულტურული კომპეტენციის თეორიებს. აღნიშნული ჩარჩო უზრუნველყოფს სტუდენტთა პროფესიული და ტრანსფერული უნარების განვითარების კომპლექსურ ანალიზს Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის კონტექსტში.
- 2. შერეული კვლევის მეთოდოლოგიის ინოვაციური გამოყენება ქართულ კონტექსტში.** დისერტაცია წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ შერეულ, კონვერგენტულ-პარალელურ კვლევას საქართველოს განათლების მეცნიერებათა დარგში. რაოდენობრივი და თვისობრივი მონაცემების სინთეზური ანალიზი უზრუნველყოფს კვლევითი მიგნებების მაღალ სანდოობასა და თეორიულ სიღრმეს.
- 3. Erasmus+ პროგრამის ინსტიტუციური ანალიზი თსუ-ის მაგალითზე** პირველად განხორციელდა Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის გავლენის სისტემური ანალიზი კონკრეტული უნივერსიტეტის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის - მაგალითზე. კვლევა ეფუძნება ფართო მასშტაბის რაოდენობრივ მონაცემებს (N=355) და სიღრმისეულ ინტერვიუებს, რაც ქმნის საფუძველს ინსტიტუციური პოლიტიკის გაუმჯობესებისთვის.
- 4. თვითეფექტურობისა და პროფესიულ უნარებზე შეფასების ლოკალიზებული მოდელის გამოყენება.** კვლევაში გამოყენებულია ბანდურას თვითეფექტურობის სკალის ქართული ადაპტაცია, რაც ამ მასშტაბით პირველად ხორციელდება საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. აღნიშნული მოდელი იძლევა სტუდენტთა ფსიქოლოგიური მზაობისა და თვითორგანიზების სანდო შეფასების შესაძლებლობას.

5. ტრანსფერული და პროფესიული უნარების შეფასების ინდიკატორული სისტემა. კვლევაში შემუშავდა უნარების კომპონენტური მოდელი, რომელიც მოიცავს კოგნიტურ, ინტერპერსონალურ, ინტრაპერსონალურ, ციფრულ და შემოქმედებით უნარებს. აღნიშნული ანალიტიკური ჩარჩო ქმნის საფუძველს ინტერნაციონალიზაციის პროცესის ხარისხობრივი შეფასებისა და კურიკულუმის დაგეგმვის თანამედროვე სტრატეგიებისთვის.

თავი VI. რეკომენდაციები

შემდეგი რეკომენდაციები ეფუძნება კვლევის ფარგლებში იდენტიფიცირებულ ძირითად მიგნებებსა და დადასტურებულ ჰიპოთეზებს (H1–H4).

6.1. რეკომენდაციები ინსტიტუციური პოლიტიკის დონეზე

Erasmus+ პროგრამის ინტეგრირება უნივერსიტეტის სტრატეგიაში

უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიაში ინტერნაციონალიზაციის მიმართულება უნდა მოიცავდეს სტუდენტთა და პერსონალის მობილობის ხარისხობრივ გაღრმავებას, განსაკუთრებული აქცენტით ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებაზე.

მიგნებაზე დაყრდნობით: კვლევამ აჩვენა, რომ მხოლოდ „სოციალური რესურსების გამოყენების“ კომპონენტი იყო სტატისტიკურად მნიშვნელოვნად განსხვავებული მობილობის სტატუსის მიხედვით.

რეკომენდაცია: უნივერსიტეტმა უნდა გააძლიეროს სოციალური მხარდაჭერის სერვისები მობილობის წინარე და შემდგომ ეტაპებზე (მაგ., სტუდენტური მენტორობა, ინტერკულტურული მისაღმების პროგრამები), რაც დაეხმარება სტუდენტებს რესურსების უკეთ გამოყენებაში (Bandura, 1997).

მიგნებაზე დაყრდნობით: მობილობის შედეგების პრაქტიკული გამოყენება უნივერსიტეტში არ არის სისტემატიზებული.

რეკომენდაცია: მობილობაში მონაწილე სტუდენტებისთვის შეიქმნას სივრცე გამოცდილების გაზიარებისთვის (ტრენინგები, პრეზენტაციები), რაც ხელს შეუწყობს ცოდნის შიდა ტრანსფერს და საერთო პროფესიული ინტეგრაციის გაძლიერებას.

მიგნებაზე დაყრდნობით: მიღებული კომპეტენციების განზოგადება ნაკლებად ხდება.

რეკომენდაცია: მობილობიდან დაბრუნებული სტუდენტებისთვის უზრუნველყოფილი იყოს კარიერული მენტორობა და ინდივიდუალური

განვითარების მხარდაჭერა, რაც დაეხმარება მათ უნარების ლოკალიზაციას და პროფესიულ გეგმებზე პროექციას.

ინსტიტუციური პოლიტიკის დონეზე მიზანშეწონილია Erasmus+ პროგრამის ინტეგრირება უნივერსიტეტის სტრატეგიულ განვითარებაში, არა როგორც ტექნიკური ან სტიპენდიის მექანიზმი, არამედ როგორც გრძელვადიანი ტრანსფორმაციული კომპონენტი.

პირველი რიგში, უნივერსიტეტმა უნდა განავითაროს ინტერნაციონალიზაციის კომპლექსური ხედვა, რაც გულისხმობს მობილობის პროგრამების კურიკულუმში ჩაშვებას, პერსონალის მოტივაციასა და შესაბამისი ადმინისტრაციული რესურსის გაძლიერებას (de Wit & Deca, 2020).

რუმინეთის “Alexandru Ioan” Cuza University of Iași-ში ჩატარებული კვლევის მიხედვით, წარმატებული ინტერნაციონალიზაციისათვის აუცილებელია შიდა კომუნიკაცია, პროცესების ციფრული ოპტიმიზაცია, და სტუდენტების უკეთ ინფორმირება მობილობის შესაძლებლობებზე. აქედან გამომდინარე, სასურველია:

- Erasmus+ ოფისის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფრო მჭიდრო თანამშრომლობა მობილობის ეფექტის შეფასების მიზნით;
- ციფრული პლატფორმების გაუმჯობესება (მაგ. MOVEON, Mobility Tool+) ინფორმაციის გაცვლის გამარტივებისთვის;
- სამიზნე ჯგუფებისთვის ადაპტირებული საინფორმაციო კამპანიები, რათა გაიზარდოს მობილობაში ჩართულობა.

6.2. რეკომენდაციები აკადემიური კურიკულუმის დონეზე

მიგნებაზე დაყრდნობით: თვითრეგულაცია და ასერტული ქცევა აღწერით დონეზე მობილობაში მონაწილე სტუდენტებში მაღალია.

რეკომენდაცია: სასწავლო პროგრამებში ინტეგრირდეს კომპეტენციებზე დაფუძნებული კურსები, რომლებიც მიზნად ისახავს თვითრეგულაციის, კულტურული ინტელექტისა და კრიტიკული აზროვნების განვითარებას (Mezirow, 1991; Deardorff, 2006).

მიგნებაზე დაყრდნობით: კრედიტის აღიარების პროცესი ჯერ კიდევ გამოწვევად რჩება.

რეკომენდაცია: შეიქმნას მექანიზმები მობილობის დროს მიღებული აკადემიური შედეგების მაქსიმალური აღიარებისთვის, რათა სტუდენტებმა სარგებელი სრულად განიცადონ და პროგრამის მოტივაციური პოტენციალი გაიზარდოს.

მობილობის პროგრამის ეფექტიანობის გასაზრდელად საჭიროა აკადემიურ კურიკულუმში ინტერნაციონალური კომპონენტების ინტეგრირება. ეს მოიცავს:

- უცხო ენებზე სასწავლო კურსების ზრდას;
- ტრანსფერული უნარების სისტემურ განვითარებას (კრიტიკული აზროვნება, ინტერკულტურული კომუნიკაცია);
- სწავლების შერეულ (blended) და ვირტუალურ ფორმატებში Erasmus+ პროგრამის ინტეგრაციას, რათა სტუდენტებს, რომლებიც ვერ ახერხებენ ფიზიკურ გადაადგილებას, მაინც ჰქონდეთ საერთაშორისო გამოცდილება.

მსგავსი მიდგომა პირდაპირ ასახულია „Bologna Digital“ ინიციატივაში, რომელიც European Higher Education Area-ის ფარგლებში ციფრული კომპეტენციების გაძლიერებას ისახავს მიზნად (Orr, Rampelt & Knoth, 2020).

6.3. რეკომენდაციები სტუდენტური განვითარებისა და მხარდაჭერის მიმართულებით

მიგნებაზე დაყრდნობით: სტუდენტების ნაწილს სჭირდებოდა მეტი ინფორმაცია მობილობის შესახებ.

რეკომენდაცია: კომუნიკაციისა და საინფორმაციო კამპანიების გაძლიერება

სტუდენტებმა მეტი ინფორმაცია უნდა მიიღონ მობილობის პროცესის სარგებელზე, წარმატებული მაგალითების გაზიარებითა და პროაქტიური კომუნიკაციით.

მიგნებაზე დაყრდნობით: სტუდენტების მომზადების დონე მობილობისთვის არ არის ერთგვაროვანი.

რეკომენდაცია: მობილობისთვის მოსამზადებელი ტრენინგ-კურსების დანერგვა პროგრამაში ჩართულობის მსურველთათვის, სასურველია, შემუშავდეს სპეციალური

ტრენინგ-პროგრამები (ენობრივი, ინტერკულტურული, აკადემიური უნარების განვითარების კურსები).

სტუდენტთა ტრანსფერული და პროფესიული კომპეტენციების გაუმჯობესებისთვის აუცილებელია გააქტიურდეს:

- ენობრივი მხარდაჭერის მექანიზმები, როგორცაა აკადემიური წერისა და კომუნიკაციის სემინარები;
- კარიერული კონსულტაციები სტუდენტებისთვის, რომლებიც ბრუნდებიან მობილობიდან, მათი გამოცდილების სწორად გადატანაში პროფესიულ სივრცეში.
- ასევე, მიზანშეწონილია სტუდენტური მენტორობის პროგრამის შექმნა, სადაც მობილობაში ნამყოფი სტუდენტები გაუზიარებენ გამოცდილებას ახალ კანდიდატებს, რაც პოზიტიურად აისახება როგორც მოტივაციაზე, ასევე პროგნოზირებულ სარგებელზე.

6.4. რეკომენდაციები პოლიტიკისა და კვლევის დონეზე

მიგნებაზე დაყრდნობით: მობილობის შედეგების სისტემური ანალიზი არ ხორციელდება ინსტიტუციურ დონეზე.

რეკომენდაცია: Erasmus+ მობილობის კომპონენტში აისახოს ევექტის მონიტორინგის ინდიკატორები (თვითეფექტურობა, ინტერკულტურული კომპეტენცია, ტრანსფერული უნარები), რათა მოხდეს პროგრამის გრძელვადიანი ანალიზი.

მიგნებაზე დაყრდნობით: საჭირო იყო მონაცემების უფრო სიღრმისეული და თვუსებრივი ანალიზი.

რეკომენდაცია: გაგრძელდეს კვლევები სხვადასხვა ფაკულტეტზე და ხანგრძლივი გავლენის შესწავლა კურსდამთავრებულების კარიერულ განვითარებაზე.

პოლიტიკის დონეზე რეკომენდირებულია:

- Erasmus+ პროგრამის შეფასების სისტემის შემუშავება თვითეფექტურობის, ინტერკულტურული სენსიტიურობისა და სოციალური ჩართულობის ინდიკატორების მიხედვით.


- უნივერსიტეტების შიდა სისტემებში მობილობის შედეგების ინტეგრაცია KPI-ების დონეზე.

გარდა ამისა, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს კვლევებზე დაფუძნებულ პოლიტიკას. Curaj et al. (2020) მიუთითებენ, რომ სტრუქტურული რეფორმების პარალელურად საჭიროა სოციალური და კულტურული ინტეგრაციის შემფასებელი ინსტრუმენტების დანერგვა.

“Implementation is not just a technical issue - it is a value-based commitment” (Zgaga, 2020)

- ეს მიდგომა ასახავს იმ პრინციპს, რომ მობილობის ხელშეწყობა არის არა მხოლოდ რაოდენობრივი მიზანი, არამედ ევროპული ღირებულებების პროექცია.

დიაგრამა 14. რეკომენდაციები



ეს დიაგრამა აჩვენებს რეკომენდაციების განაწილებას ოთხ ძირითად დონეზე: ინსტიტუციური პოლიტიკა, აკადემიური კურიკულუმი, სტუდენტური მხარდაჭერა და განათლების პოლიტიკა/კვლევა. როგორც ჩანს, ყველაზე მეტი რეკომენდაცია ინსტიტუციურ დონეს ეხება, რაც მიუთითებს უნივერსიტეტის ცენტრალურ როლზე მობილობის ეფექტიანობის გაღრმავებაში.

დასკვნისთვის

ინსტიტუციური პოლიტიკის დონეზე რეკომენდებულია უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის გააქტიურება და მობილობის პროგრამების

მენეჯმენტის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება. საჭიროდ მიიჩნევა კომუნიკაციის არხების გაუმჯობესება, სტუდენტებისთვის თანაბარი ინფორმაციის მიწოდება და ადმინისტრაციული მხარდაჭერის გაძლიერება როგორც მობილობამდე, ისე მობილობის პროცესსა და დაბრუნების შემდეგ.

აკადემიური კურიკულუმის დონეზე რეკომენდებულია მობილობით მიღებული გამოცდილების მაქსიმალური ინტეგრაცია სასწავლო პროცესში. მნიშვნელოვანია უცხო ენებზე სწავლების გაფართოება, საერთაშორისო თემატიკის ინტეგრაცია სასწავლო კურსებში და მობილობაში მონაწილე სტუდენტებისა და პერსონალის მიერ დაგროვილი ცოდნის გაზიარების მექანიზმების განვითარება.

სტუდენტური განვითარების და მხარდაჭერის მიმართულებით რეკომენდებულია პიროვნული განვითარების პროგრამების დანერგვა, რომლებიც დაეხმარება სტუდენტებს იმ უნარების გაცნობიერებაში და განვითარებაში, რომლებიც მობილობის შედეგად გამომჟღავნდა. ამასთან, მიზანშეწონილია მენტორობის პროგრამების განვითარება, რაც მობილობაში ახალბედა მონაწილეებს დაეხმარება ადაპტაციაში და გამოცდილების გაზიარებაში.

პოლიტიკისა და კვლევის დონეზე რეკომენდებულია მეტი კვლევითი პროექტის მხარდაჭერა მობილობის გავლენის გრძელვადიან შედეგებზე, განსაკუთრებით კარიერული განვითარებისა და სამოქალაქო აქტივობის მიმართულებით. პოლიტიკის დოკუმენტებში მიზანშეწონილია ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის მკაფიო ინტეგრაცია, როგორც განათლების სისტემის ძირითადი ღირებულებისა და განვითარების ინიციატივის.

იხილე **დანართი 2.** მიღწეული შედეგების კავშირი პოლიტიკასთან და საგანმანათლებლო პრაქტიკასთან

საერთაშორისო რეპლიკაციის პოტენციალი

დისერტაციაში შემუშავებული თეორიულ-მეთოდოლოგიური მოდელი და კვლევითი ჩარჩო გამოირჩევა უნივერსალურობითა და ადაპტირებადობით, რაც მას იძლევა მაღალი ტრანსფერული და რეპლიკაციის პოტენციალი საერთაშორისო კონტექსტში.

ძირითადი საფუძვლები რეპლიკაციისთვის:

- 1. გლობალურად აღიარებულ თეორიებზე დაფუძნება.** კვლევა ეფუძნება განათლების სფეროში ფართოდ აპრობირებულ თეორიებს (Kolb, Mezirow, Vygotsky, Rogers, Deardorff), რომლებიც აქტიურად გამოიყენება საერთაშორისო აკადემიურ პრაქტიკაში. ეს უზრუნველყოფს თეორიული მოდელის შესაბამისობას სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემებთან.
- 2. Erasmus+ პროგრამის საყოველთაო გამოყენება.** Erasmus+ ICM პროგრამა ფუნქციონირებს როგორც ევროკავშირის წევრ, ისე პარტნიორ ქვეყნებში მსგავსი პრინციპებით. შესაბამისად, პროგრამის შეფასების ეს მოდელი წარმატებით შეიძლება გამოყენებულ იქნას პარტნიორი ქვეყნების სხვა უნივერსიტეტებში, იქნება ეს აღმოსავლეთ თუ დასავლეთ ევროპა, ბალკანეთი, სამხრეთ კავკასია, ან მეზობლად მყოფი რეგიონები.
- 3. შერეული კვლევითი დიზაინის (Mixed Methods) გლობალური აღიარება** კვლევა იყენებს კონვერგენტულ შერეულ მეთოდს (Convergent Parallel Mixed Methods Design), რომელიც საერთაშორისოდ ცნობილია როგორც მონაცემთა სანდოობის და ანალიზის სიღრმის ერთ-ერთი საუკეთესო ფორმა. მის რეპლიკაციას ხელს უწყობს სტანდარტიზებული კითხვარები, თვითთვითგაფასების სკალა და ტრანსფერული უნარების ინდიკატორები.
- 4. სოციალურად და კულტურულად ნეიტრალური ინდიკატორები** გამოყენებული უნარების კომპონენტები, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, ინტერკულტურული კომუნიკაცია, გუნდის მუშაობა, თვითორგანიზება, წარმოადგენს უნივერსალურ, კულტურათაშორისად რელევანტურ კომპეტენციებს. შესაბამისად, მათზე დაფუძნებული შეფასება და ანალიზი არ არის კონტექსტზე გადაჭარბებულად დამოკიდებული.

შესაძლო გამოყენების არეალები:

- **ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტები** - თსუ-ს მსგავსი სოციალურ-აკადემიური დინამიკითა და Erasmus+ პროგრამის მაღალი ინტენსივობით.
- **არაევროკავშირის წევრი, Erasmus+ პროგრამის პარტნიორი ქვეყნები** - მობილობის გაფართოების პროცესში მყოფი უნივერსიტეტები (მაგ., სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა).
- **მცირე უნივერსიტეტები ან არაელიტარული ინსტიტუტები** - სადაც ინტერნაციონალიზაცია ჯერ განვითარების ეტაპზეა.

კვლევის შეზღუდვები

მიუხედავად იმისა, რომ დისერტაცია ეფუძნება შერეულ მეთოდოლოგიასა და კონვერგენტულ-პარალელურ დიზაინს, რომელიც აერთიანებს რაოდენობრივ და თვისებრივ მონაცემებს, მნიშვნელოვანია გამოვყოთ გარკვეული ლოგიკური და მეთოდოლოგიური შეზღუდვები, რომლებიც, შესაძლოა, ზღუდავდეს კვლევის შედეგების ინტერპრეტაციასა და განზოგადების შესაძლებლობას.

შერჩევის სტრატეგია და გენერალიზაციის შეზღუდვა. მონაწილეთა შერჩევა განხორციელდა არააღბათური, მიზნობრივი და ხელმისაწვდომობაზე დაფუძნებული სტრატეგიით (non-probability purposive and convenience sampling). ეს მეთოდი ეფექტურია კონკრეტული ჯგუფების სიღრმისეული შესწავლისთვის, თუმცა ვერ უზრუნველყოფს შედეგების სრულად გენერალიზაციას ფართო სტუდენტურ პოპულაციაზე.

თვითშეფასებაზე დაფუძნებული მონაცემები. კვლევის ორივე კომპონენტი, როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი, ეყრდნობა თვითშეფასებით მიღებულ მონაცემებს. ამ მიდგომით იზრდება სუბიექტურობის, სოციალური მისაღებლობის ეფექტისა (social desirability bias) და მოლოდინების გავლენის რისკი. კვლევის სანდოობას გამაძლიერებლად შეიძლება ჩაითვალოს თვისებრივ კვლევაში აკადემიური პერსონალის შეფასება, მაგრამ კვლევას ასევე გააძლიერებდა გარე შეფასების ისეთი წყაროს დამატება, როგორიცაა დამსაქმებლები.

კონტროლირებადი ცვლადების შეზღუდული დაფარვა. კვლევაში ვერ გაკონტროლდა ისეთი პოტენციურად მნიშვნელოვანი ცვლადები, როგორებიცაა სტუდენტთა აკადემიური მოსწრება, სოციალურ-ეკონომიკური ფონი ან მობილობის ხანგრძლივობა. აღნიშნული ცვლადების ნაკლებობა ზღუდავს უნარების განვითარების მიზეზობრივი კავშირების ზუსტ ინტერპრეტაციას.

ინსტიტუციური და სოციოკულტურული სპეციფიკა. კვლევის შედეგები დაფუძნებულია მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგალითზე. შესაბამისად, მისი მიგნებები, შესაძლოა, არ იყოს სრული ტრანსფერისთვის ვარგისი სხვა უნივერსიტეტებში, რომელთაც განსხვავებული აკადემიური, ადმინისტრაციული ან კულტურული კონტექსტი აქვთ.

მობილობის პირობების ვერ განსაზღვრა. კვლევაში არ ხდება მობილობის ხანგრძლივობის, დანიშნულების ქვეყნის ან ფაკულტეტური განსხვავებების ცალკე ანალიზი. ეს ზღუდავს კონკრეტული გარემოებების ზეგავლენის დანახვას სტუდენტთა განვითარების შედეგებზე.

შედარებითი ჯგუფების შიდა ჰეტეროგენულობა. შედარებით ანალიზში გამოყენებული ჯგუფები (მაგ., მონაწილე სტუდენტები, კონკურსში ჩართულნი, არმონაწილე სტუდენტები) შესაძლოა შიგნით განსხვავდებოდნენ ისეთ ცვლადებში, როგორიცაა აკადემიური მიღწევები ან სოციალიზაციის დონე. ეს შიდა ჰეტეროგენულობა ვერ იქნა სრულად კონტროლირებული.

მონაცემთა ინტეგრაციის პროცედურული ხარვეზები. მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებულია კონვერგენტულ-პარალელური დიზაინი, მეთოდოლოგიურ ნაწილში ნაკლებად არის გაწერილი რაოდენობრივ და თვისობრივ მონაცემთა სინთეზის პროცედურა: როგორ მოხდა თემატური გადაკვეთა, მონაცემთა წონიანობა, ან ინტეგრაციის დონის განსაზღვრა.

თუმცა, აღნიშნული შეზღუდვები არ აკნინებს კვლევის მნიშვნელობასა და შედეგების შიდა სისწორეს, არამედ ისინი ხაზს უსვამს იმ მიმართულებებს, რომელთა გაუმჯობესება საშუალებას მისცემს მომავალ მკვლევრებს, განავითარონ უფრო ზოგადი, ტრასფერული და გამყარებული დასკვნები. განსაკუთრებით მიზანშეწონილია:

- შერჩევის გაფართოება და სტრატეგიკაცია,

- შერეული მეთოდების ღრმა ინტეგრაცია,
- გარე შეფასების წყაროების ჩართვა
- დროითი, კულტურული და აკადემიური ცვლადების უკეთ კონტროლი.

გამოყენებული ლიტერატურა

- Allport, G. (1954). *The nature of prejudice*. Reading, MA: Addison-Wesley.
- Altbach, P. G., & Knight, J. (2007). The internationalization of higher education: Motivations and realities. *Journal of Studies in International Education*, 11(3–4), 290–305. <https://doi.org/10.1177/1028315307303542>
- Baker, W; Fang, F (Gabriel) (2020). 'So maybe I'm a global citizen': developing intercultural citizenship in English medium education. *Language, Culture and Curriculum*, 34(1), 1-17
- Beelen, J., & Jones, E. (2015). Redefining internationalization at home. In Curaj, A., Matei, L., Pricopie, R., Salmi, J., & Scott, P. (Eds.), *The European higher education area* (pp. 59–72). Springer. https://doi.org/10.1007/978-3-319-20877-0_5
- Bennett, M. J. (2008). Transformative training: Designing programs that change behaviors. In V. Savicki (Ed.), *Developing intercultural competence and transformation: Theory, research, and application in international education* (pp. 95–112). Stylus Publishing.
- Bennett, M. J. (2008). Transforming worldviews: Intercultural competence as a key element of international education. In S. Hunter, J. Emert, & E. H. Green (Eds.), *Transforming international education: Higher education and intercultural learning* (pp. 95–110). Stylus Publishing.
- Brandenburg, U., & de Wit, H. (2011). The End of Internationalization. *International Higher Education*, (62), 15–17.
- Brandenburg, U., & Federkeil, G. (2007). How to measure internationality and internationalisation of higher education institutions? CHE Consult.
- Bringle, R. G., & Hatcher, J. A. (2011). International service learning. In R. G. Bringle, J. A. Hatcher, & S. G. Jones (Eds.), *International service learning: Conceptual frameworks and research* (pp. 3–28). Stylus.
- Brown, P., Lauder, H., & Ashton, D. (2008). Education, globalisation and the future of the knowledge economy. *European Educational Research Journal*, 7(2), 131–156.
- Bruner, J. S. (1960). *The process of education*. Harvard University Press.

- Cabankayiyeva, T., Arslan, M., & Yilmaz, B. (2019). International academic mobility and employability: An assessment of Erasmus+ programme. *Journal of International Mobility*, 7(1), 33–54. <https://doi.org/10.3917/jim.007.0033>
- Carlson, J. S., & Widaman, K. F. (1988). The effects of study abroad during college on attitudes toward other cultures. *International Journal of Intercultural Relations*, 12(1), 1-17.
- Cimatti, B. (2016). Definition, development, assessment of soft skills and their role for the quality of organizations and enterprises. *International Journal of Quality Research*, 10(1), 97–130.
- Creswell, J. W., & Plano Clark, V. L. (2011). *Designing and conducting mixed methods research* (2nd ed.). Sage.
- Crossman, J. E., & Clarke, M. (2010). International experience and graduate employability: Stakeholder perceptions on the connection. *Higher Education*, 59(5), 599–613. <https://doi.org/10.1007/s10734-009-9268-z>
- Curaj, A., Deca, L., & Pricopie, R. (Eds.). (2020). *European higher education area: Challenges for a new decade*. Springer. <https://doi.org/10.1007/978-3-030-56316-5>
- Cushner, K., & Karim, A. (2003). Study abroad at the university level. In D. Landis, M. Cushner, K., & Mahon, J. (2009). Intercultural competence in teacher education: Developing the intercultural competence of educators and their students. In D. K. Deardorff (Ed.), *The SAGE handbook of intercultural competence* (pp. 304-320). SAGE Publications.
- Czura, A. (2017). Effects of intercultural experiences on L2 development. *Journal of Studies in International Education*, 21(5), 387-404.
- Czura, A. (2017). Student teachers' recollections of a short-term study abroad experience: Critical incident analysis. *Konin Language Studies*, 5(1), 135-156.
- Czura, A. (2017). The development of intercultural communicative competence through study abroad programs. *International Journal of Applied Linguistics*, 27(3), 573–588.
- de Wit, H. (2020). *Internationalization of higher education: A critical review*. Utrecht University Press.
- De Wit, H. & Deca, L. (2020). *Internationalization of Higher Education: Challenges and Opportunities for the Next Decade*. In: Curaj, A., Deca, L., Pricopie, R. (eds) *European Higher Education Area: Challenges for a New Decade*. Springer. (pp. 3–12).

Deardorff, D. K. (2006). Identification and assessment of intercultural competence as a student outcome of internationalization. *Journal of Studies in International Education*, 10(3), 241–266. <https://doi.org/10.1177/1028315306287002>

Dewey, J. (1938). *Experience and education*. Macmillan.

Dirkx, J. M. (1998). Transformative learning theory in the practice of adult education: An overview. *Journal of Transformative Education*, 2(3), 33-43.

Dwyer, M. M. (2004). More is better: The impact of study abroad program duration. *Frontiers: The Interdisciplinary Journal of Study Abroad*, 10(1), 151-163.

Engle, L., & Engle, J. (2004). Assessing Language Acquisition and Intercultural Sensitivity Development in Relation to Study Abroad Program Design. *Frontiers: The Interdisciplinary Journal of Study Abroad*, 10(1), 219–236.

Engle, L., & Engle, J. (2013). Impact of study abroad on students' intercultural competence and personal development: A longitudinal study. *Journal of Studies in International Education*, 17(4), 451-471.

Erasmus+ Mid-Term Evaluation Report (2023): European Commission. (2023). Erasmus+ Programme 2021–2027: Mid-term evaluation – Working document. Publications Office of the European Union. <https://commission.europa.eu>

Erasmus+ საქართველოს ეროვნული ოფისი. (2019). “ICM staff mobility draft report: აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის საერთაშორისო მობილობა – გამოცდილება და გამოწვევები საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში”. Erasmus+.

European Commission (2020). *Erasmus+ Programme Guide*. Brussels: European Union.

European Commission. (2018). *Erasmus impact study: Regional analysis*. Publications Office of the European Union.

European Commission. (2017). *Key competences for lifelong learning*.

European Commission. (2018). *Erasmus+ Programme annual report 2018*. https://ec.europa.eu/programmes/erasmus-plus/resources/documents/erasmus-annual-report-2018_en

European Commission. (2020). *Erasmus+ Programme Guide*. Publications Office of the European Union. <https://erasmus-plus.ec.europa.eu>

- European Commission. (2021). *Erasmus+ Programme Guide 2021–2027: Key Action 1 – Mobility of Individuals*. Retrieved from <https://erasmus-plus.ec.europa.eu/programme-guide>
- European Commission. (2025, February 28). *Erasmus to Erasmus+: History, funding and future*. Retrieved July 2025, from <https://erasmus-plus.ec.europa.eu/about-erasmus/history-funding-and-future>
- European Commission. (2025). *Marking 37 years of Erasmus+: Key numbers and achievements*. Erasmus+ News. Retrieved July 2025, from <https://erasmus-plus.ec.europa.eu/node/5177>
- European Commission. (n.d.). *Erasmus+: EU programme for education, training, youth and sport*. Retrieved July 2025, from <https://erasmus-plus.ec.europa.eu/>
- Fang, F., & Baker, W. (2017). “A more inclusive mind towards the world”: English language teaching and study abroad in China from intercultural citizenship and English as a lingua franca perspectives. *Language Teaching Research*, 21(5), 517–531. <https://doi.org/10.1177/1362168816657307>
- Freire, P. (1970). *Pedagogy of the Oppressed*. Bloomsbury.
- González, C. R., Benito, A., & Román, G. (2020). Erasmus students and employability: Skills acquired and the role of the programme in developing competencies. *International Journal of Educational Management*, 34(3), 605–618. <https://doi.org/10.1108/IJEM-05-2019-0194>
- González, J., & Wagenaar, R. (2008). *Tuning Educational Structures in Europe: Final Report*. University of Deusto.
- González, J., & Wagenaar, R. (2008). *Tuning Educational Structures in Europe. Universities’ contribution to the Bologna Process*.
- Habermas, J. (1984). *The Theory of Communicative Action: Reason and the Rationalization of Society*. Beacon Press.
- Halualani, R. T. (2008). How do multicultural university students define and make sense of intercultural contact? A qualitative study. *International Journal of Intercultural Relations*, 32(1), 1–16.
- Halualani, R. T. (2008). How do multicultural university students define and make sense of intercultural contact? *International and Intercultural Communication Annual*, 31, 1–33.

- Hazelkorn, E. (2015). *Rankings and the reshaping of higher education: The battle for world-class excellence*. Palgrave Macmillan.
- Hill, B., & Thomas, N. (2002). Preparing Australian teachers to teach Asian studies: The importance of in-country experience. *Asia-Pacific Journal of Teacher Education*, 30, 291-298.
- Hoffa, W. W., & DePaul, S. C. (2010). A history of U.S. study abroad: 1965-present. *Frontiers: The Interdisciplinary Journal of Study Abroad*, 15, 1-35.
- Hudzik, J. K. (2011). *Comprehensive internationalization: From concept to action*. NAFSA: Association of International Educators.
- Jackson, J. (2015). Becoming interculturally competent: Theory to practice in international education. *International Journal of Intercultural Relations*, 48, 91-107.
- Jackson, J. (2015). *Preparing students for the global workplace: The impact of an international exchange program on intercultural learning*. Routledge.
- Jones, E. (2013). Internationalization and employability: The role of intercultural experiences in the development of transferable skills. *Public Money & Management*, 33(2), 95-104.
- Jones, E., & de Wit, H. (2018). Global and local internationalization. *International Higher Education*, 95, 2-4. <https://doi.org/10.6017/ihe.2018.95.10668>
- Kabanbayeva, G., Gureva, M., Bielik, P., & Ostasz, G. (2019). Academic mobility and financial stability: A case of Erasmus student exchange program. *Journal of International Studies*, 12(1), 324-337.
- King, R., & Ruiz-Gelices, E. (2003). International student migration and the European "Year Abroad": Effects on European identity and subsequent migration behaviour. *International Journal of Population Geography*, 9(3), 229-252. <https://doi.org/10.1002/ijpg.280>
- Knight, J. (1994). *Internationalization: Elements and checkpoints*. Canadian Bureau for International Education.
- Knight, J. (2004). Internationalization remodeled: Definition, approaches, and rationales. *Journal of Studies in International Education*, 8(1), 5-31. <https://doi.org/10.1177/1028315303260832>
- Knight, J. (2008). *Higher education in turmoil: The changing world of internationalization*. Sense Publishers.

- Knight, J. (2013). The changing landscape of higher education internationalization – for better or worse? *Perspectives: Policy and practice in Higher Education*, 17(3), 84-90.
- Knight, J. (2015). Updated definition of internationalization. *International Higher Education*, 33, 2–3. <https://doi.org/10.6017/ihe.2003.33.7391>
- Kolb, D. A. (1984). *Experiential learning: Experience as the source of learning and development*. Prentice Hall.
- Kolb, D. A. (1984). *Experiential learning: Experience as the source of learning and development*. Prentice Hall.
- Kormos, J., & Csizér, K. (2007). An interview study of intercultural contact and its role in language learning in a foreign language environment. *System*, 35(2), 241-258.
- Lewin, K. (1951). *Field theory in social science*. Harper and Row.
- Luyckx, K., Schwartz S.J., Berzonsky M., Soenens B., Vansteenkiste M., SmitsI., & GoossensL. (2008). Capturing ruminative exploration: Extending the four-dimensional model of identity formation in late adolescence. *Journal of Research in Personality*, 42, 58-82. [doi:10.1016/j.jrp.2007.04.004](https://doi.org/10.1016/j.jrp.2007.04.004)
- Mak, A. S., Brown, P. M., & Wadey, D. (2014). Contact and attitudes toward international students in Australia: Intergroup anxiety and intercultural communication emotions as mediators. *Journal of Cross-Cultural Psychology*, 45(3), 491-504.
- Marginson, S., & Rhoades, G. (2019). Beyond national states, markets, and systems of higher education: A glonacal agency heuristic. *Higher Education*, 58(2), 215–231. <https://doi.org/10.1007/s10734-008-9182-6>
- Marginson, S., & Van der Wende, M. (2007). Globalisation and higher education. *OECD Education Working Papers*, No. 8.
- Masaryk University. (2023). *Internationalisation Strategy 2021–2027*. [Official website]
- McAllister, L., Whiteford, G., Hill, B., Thomas, N., & Fitzgerald, M. (2006). Reflection in intercultural experience through a critical incident approach. *Reflective Practice*, 7(3), 367-381.
- McAllister, L., Whiteford, G., Hill, B., Thomas, N., & Fitzgerald, M. (2006). Developing intercultural competence: Strategies for effective teaching and learning. *Higher Education Research & Development*, 25(3), 277-295.

- McCabe, L. (2001). Globalization and internationalization: The impact on education abroad programs. *Journal of Studies in International Education*, 5(2), 138-145.
- Mezirow, J. (1991). *Transformative Dimensions of Adult Learning*. Jossey-Bass.
- Mezirow, J. (2000). Learning to think like an adult: Core concepts of transformation theory. In J. Mezirow & Associates (Eds.), *Learning as transformation: Critical perspectives on a theory in progress* (pp. 3-33). Jossey-Bass.
- Mitchell, K. (2012). Rethinking the 'Erasmus Effect' on European identity. *Journal of Common Market Studies*, 53(2), 330-348.
- Mitchell, K. (2012). Student mobility and European identity: Erasmus study as a civic experience? *Journal of Contemporary European Research*, 8(4), 490-518.
- Mulder, M. (2014). Conceptions of professional competence. *International Handbook of Research in Professional and Practice-based Learning*, 107-137.
- OECD. (2018). *The future of education and skills: Education 2030 framework*.
- Orr, D., Rampelt, F., & Knoth, A. (2020). Bologna Digital—Actively shaping the digital transformation in European higher education. In A. Curaj, L. Deca, & R. Pricopie (Eds.), *European higher education area: Challenges for a new decade* (pp. 583-601). Springer. https://doi.org/10.1007/978-3-030-56316-5_33
- Paige, R. M., & Vande Berg, M. (2012). Intercultural Competence in the Classroom: An Overview. In *Student Learning Abroad* (pp. 31-58). Stylus Publishing.
- Paige, R. M., Cohen, A. D., & Shively, R. L. (2004). Assessing the impact of a strategies-based curriculum on language and culture learning abroad. *Frontiers: The Interdisciplinary Journal of Study Abroad*, 10, 253-276.
- Passarelli, A. M., & Kolb, D. A. (2012). Using experiential learning theory to promote student learning and development in programs of education abroad. In M. Vande Berg, R. M. Paige, & K. H. Lou (Eds.), *Student learning abroad: What our students are learning, what they're not, and what we can do about it* (pp. 137-161). Stylus Publishing.
- Piaget, J. (1950). *The psychology of intelligence*. Routledge & Kegan Paul.
- Robson, S. (2011). Internationalization: A Transformative Agenda for Higher Education? *Teachers and Teaching*, 17(6), 619-630.

- Roman, C. T., & Bulat, C. I. (2024). *Erasmus+ program impact on higher education change management*. Ovidius University Annals, Economic Sciences Series, 24(1), 491–499.
- Roman, C. T., & Bulat, C. I. (2024). Erasmus+ program impact on higher education change management. *Ovidius University Annals, Economic Sciences Series*, 24(1), 491–499.
- Rychen, D. S., & Salganik, L. H. (2003). Key competencies for a successful life and a well-functioning society. Hogrefe & Huber.
- Schwartz, S. H. (1992). Universals in the content and structure of values: Theoretical advances and empirical tests in 20 countries. *Advances in Experimental Social Psychology*, 25, 1-65.
- Schwartz, S. H. (2006). Basic human values: Theory, methods, and applications. *Revue française de sociologie*, 47(4), 929-968.
- Schwartz, S. H., & Bardi, A. (2001). Value hierarchies across cultures: Taking a similarities perspective. *Journal of Cross-Cultural Psychology*, 32(3), 268-290.
- Schwartz, S. H., & Bilsky, W. (1987). Toward a universal psychological structure of human values. *Journal of Personality and Social Psychology*, 53(3), 550-562.
- Schwartz, S.H., Cieciuch, J., Vecchione, M., Davidov, E., Fischer, R., Beierlein, C., Ramos, A., Verkasalo, M., Lönnqvist, J.-E., Demirutku, K., Dirilen-Gumus, O., & Konty, M. (2012). Refining the theory of basic individual values. *Journal of Personality and Social Psychology*, 103, 663-688.
- Selwyn, N. (2016). *Education and Technology: Key Issues and Debates*. Bloomsbury.
- Skhirtladze, N., Javakhishvili, N., Schwartz, J. S., Beyers, W., Luyckx, K. (2016). Identity processes and statuses in post-Soviet Georgia: Exploration processes operate differently. *Journal of Adolescence*, 47, 197-209. doi: 10.1016/j.adolescence.2015.08.006.
- Sobkowiak, P. (2019). The impact of study abroad on the development of a global identity and sense of global citizenship. *Journal of Language and Intercultural Communication*, 19(4), 373-388.
- Sosa, M. A., & Silva, R. A. (2021). Fostering intercultural competence through international mobility: Insights from Erasmus+ participants. *Journal of Intercultural Communication Research*, 50(1), 20–38. <https://doi.org/10.1080/17475759.2020.1869322>

- Souto-Otero, M., Huisman, J., Beerkens, M., de Wit, H., & Vujic, S. (2019). Barriers to international student mobility: Evidence from the Erasmus program. *Educational Researcher*, 48(3), 121–131.
- Souto-Otero, M., Huisman, J., Beerkens, M., de Wit, H., & Vujic, S. (2013). Barriers to international student mobility: Evidence from the Erasmus program. *Educational Researcher*, 42(2), 70–77.
- Souto-Otero, M., Huisman, J., Beerkens, M., de Wit, H., & Vujic, S. (2019). Erasmus+ mobility and employability: More than a match? *International Higher Education*, 96, 5–7. <https://doi.org/10.6017/ihe.2019.96.10776>
- Strielkowski, W., Kiseleva, L. S., & Popova, E. N. (2018). Factors determining the quality of university education: Students' views. *Integration of Education*, 22(2), 220–236.
- Strielkowski, W., Wang, J., & Bilan, Y. (2018). Social mobility and education as factors of sustainable development: Evidence from the EU. *Sustainability*, 10(7), 2445. <https://doi.org/10.3390/su10072445>
- Tarrant, M. A., Rubin, D. L., & Stoner, L. (2014). The added value of study abroad: Fostering a global citizenry. *Journal of Studies in International Education*, 18(2), 141–161.
- Tartu University. (2022). Global Education and Intercultural Learning Model. [Institutional report]
- Taylor, E. W. (2007). Transformative learning theory. In P. Cranton & E. W. Taylor (Eds.), *The handbook of transformative learning: Theory, research, and practice* (pp. 3–20). Jossey-Bass.
- Teichler, U. (2017). International mobility in higher education: A retrospective. *Journal of International Mobility*, 5(1), 189–216. <https://doi.org/10.3917/jim.005.0189>
- Teichler, U. (2017). *International mobility in higher education: The state of play*. Routledge.
- Teichler, U. (2017). Internationalisation trends in higher education and the changing role of international student mobility. *Journal of International Mobility*, 1(5), 177–216.
- Teichler, U. (2017). Internationalization trends in higher education and the changing role of international student mobility. *Journal of International Mobility*, 5, 177–216.
- UNESCO. (2015). *Rethinking education: Towards a global common good?*

- Van der Wende, M. (2001). Internationalization policies: About new trends and contrasting paradigms. *Higher Education Policy*, 14(3), 249–259. [https://doi.org/10.1016/S0952-8733\(01\)00018-6](https://doi.org/10.1016/S0952-8733(01)00018-6)
- Vande Berg, M. (2007). Intervening in student learning abroad: A research-based inquiry. *Intercultural Education*, 18(1), 15–27.
- Vande Berg, M. (2007). Intervening in the learning of US students abroad. *Journal of Studies in International Education*, 11(3-4) 392-399.
- Vande Berg, M., Connor-Linton, J., & Paige, R. M. (2009). The Georgetown Consortium Project: Interventions for student learning abroad. *Frontiers: The Interdisciplinary Journal of Study Abroad*, 18, 1-75.
- Vande Berg, M., Paige, R. M., & Lou, K. H. (2012). *Student learning abroad: What our students are learning, what they're not, and what we can do about it*. Stylus Publishing.
- Villanova, J., & Petino, M. (2019). The Erasmus impact: Measuring the success of Europe's student mobility programme. *European Journal of Education*, 54(3), 391–408. <https://doi.org/10.1111/ejed.12368>
- Vilnius University. (2023). Student Development Map Framework. [Official website]
- Vygotsky, L. S. (1978). *Mind in society: The development of higher psychological processes*. Harvard University Press.
- Waibel, S., Rüegger, D., & Haus, A. (2017). International student mobility and the transition to the labor market: An exploration of graduates' outcomes based on the REFLEX dataset. *Higher Education*, 73(3), 389–407.
- WHO. (1999). *Partners in life skills education: Conclusions from a United Nations inter-agency meeting*.
- Yorke, M. (2006). *Employability in higher education: What it is – what it is not*. Higher Education Academy.
- Zgaga, P. (2020). EHEA: The future of the past. In A. Curaj, L. Deca, & R. Pricopie (Eds.), *European higher education area: Challenges for a new decade* (pp. xxxviii–xliv). Springer.
- ბანძელაძე, თ. (2022) დისერტაცია „პრობლემური ქცევისადმი მოწყვლადობის ფსიქოლოგიური ფაქტორები ქართველ მოზარდებში“ თსუ

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (2024). *სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა*. თბილისი. [სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა](#)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (2024). *სტრატეგიული განვითარების გეგმა 2024–2020*. თბილისი. [თსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა](#)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. (2024). *სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური განვითარების სტრატეგია*. თბილისი. [სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური განვითარების სტრატეგია](#)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2022). *საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიანი ეროვნული სტრატეგია 2022–2030* (არაოფიციალური თარგმანი). <https://mes.gov.ge>

დანართები

დანართი 1. დემოგრაფიული მონაცემები - განაწილება რეგიონების მიხედვით

მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია მონაცემები სხვადასხვა რეგიონის მოსახლეობის პროცენტული განაწილების შესახებ. მონაცემები აჩვენებს, რომ ყველაზე დიდი წილი თბილისის მოსახლეობას უჭირავს (51.1%), ხოლო სხვა რეგიონებში პროცენტული განაწილება ბევრად ნაკლებია.

მონაცემების აღწერა დეტალურად:

- თბილისი წარმოადგენს ყველაზე მაღალ პროცენტულ წილს (51.1%), რაც მიუთითებს იმაზე, რომ ყველაზე მეტი რესპონდენტი თბილისში ცხოვრობს.
- იმერეთი არის მეორე ყველაზე დიდი წილი (13.1%),

რაც შეეხება დანარჩენ რეგიონებს, შედარებით მცირეა მათი მოსახლეობის წილი.

- შიდა ქართლი იკავებს მოსახლეობის 7.7%-ს,
- კახეთი იკავებს მოსახლეობის 6.8%-ს.
- სამეგრელო-ზემო სვანეთი იკავებს მოსახლეობის 5.1%-ს.
- ქვემო ქართლი იკავებს მოსახლეობის 5.1%-ს.


დანარჩენ რეგიონებს - აჭარა (2.8%), გურია (2.0%), აფხაზეთი (2.0%), რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (1.7%), სამცხე-ჯავახეთი (1.7%) და მცხეთა-მთიანეთი (0.9%) - ნაკლები წილი აქვთ მთლიან მონაცემთა ბაზაში.

მოცემული მონაცემების მიხედვით, თვალსაჩინოა რეგიონების მოსახლეობის გადანაწილების არათანაბრობა. თბილისის მაღალი პროცენტული წილი მიუთითებს მოსახლეობის კონცენტრაციაზე დედაქალაქში, რაც შეიძლება განპირობებული იყოს დასაქმების უფრო მაღალი შესაძლებლობებითა და სერვისებზე წვდომით. სხვა რეგიონებში, განსაკუთრებით, მცხეთა-მთიანეთში (0.9%), რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში (1.7%), მოსახლეობის წილი მნიშვნელოვნად დაბალია, რაც შესაძლოა მიუთითებდეს ურბანიზაციის ნაკლებობაზე და ამ რეგიონების ეკონომიკურ და სოციალურ გამოწვევებზე.

მონაცემები ასევე აჩვენებს, რომ რეგიონული განვითარების დონის სხვაობა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსახლეობის კონცენტრაციაზე, რაც დამატებითი

ანალიზის საჭიროებას იწვევს, მათ შორის ეკონომიკური, სოციალური და ინფრასტრუქტურული ფაქტორების გათვალისწინებით.

დიაგრამა 15. მონაწილეთა % რაოდენობა რეგიონების მიხედვით



ოჯახური მდგომარეობის ანალიზი

მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია რესპონდენტების ოჯახური მდგომარეობის სტატუსი პროცენტული განაწილებით. მონაცემები მიუთითებს, რომ უმრავლესობა არის დასაოჯახებელი.

- **დასაოჯახებელი** - 92.7% რესპონდენტი დასაოჯახებელია, რაც მიუთითებს, რომ უმრავლესობა ამჟამად არ არის არც დაქორწინებული და არც თანაცხოვრებაში.
- **ვარ დაქორწინებული** - 3.9% რესპონდენტი დაქორწინებულია.
- **ერთად ცხოვრობთ, მაგრამ ოფიციალურად არ ვართ დაქორწინებული** - 2.5% რესპონდენტი ცხოვრობს თანაცხოვრებაში, მაგრამ არ არის ოფიციალურად დაქორწინებული.
- **ვარ გაცილებული** - 0.6% რესპონდენტი განქორწინებულია.

- ცალკე ვცხოვრობთ, თუმცა ოფიციალურად არ ვართ განქორწინებული - 0.3%
რესპონდენტი ცხოვრობს ცალკე, მაგრამ არ არის ოფიციალურად
განქორწინებული.

მონაცემების მიხედვით, ოჯახური მდგომარეობის მიხედვით უმრავლესობა არის დასაოჯახებელი (92.7%), რაც მიუთითებს რესპონდენტთა ასაკის ან ცხოვრების სტილის მახასიათებლებზე. დაქორწინებულთა და თანაცხოვრების სტატუსის მქონე პირები შედარებით მცირე რაოდენობას წარმოადგენენ (3.9% და 2.5%, შესაბამისად), რაც ამ ჯგუფების წარმომადგენლობის სიმცირეს ასახავს. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი დემოგრაფიული ანალიზისთვის და რესპონდენტთა სოციალური მდგომარეობის გასააზრებლად.

დანართი 2. მიღწეული შედეგების კავშირი პოლიტიკასთან და საგანმანათლებლო პრაქტიკასთან

კვლევის ძირითადი შედეგები პრაქტიკულად და პოლიტიკურად მნიშვნელოვან რეკომენდაციებს აყალიბებს როგორც ინსტიტუციურ, ისე ეროვნულ დონეზე. დისერტაციაში გამოვლენილი ტენდენციები და მიგნებები პირდაპირ ეხება უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის პროცესის სტრატეგიულ დაგეგმვასა და მართვას.

მიღწეული შედეგების გადატანა პოლიტიკაში

1. მობილობის პროგრამის შეფასება როგორც ხარისხის განვითარების ინსტრუმენტი

კვლევამ ცხადყო, რომ Erasmus+ მობილობა არ წარმოადგენს მხოლოდ საგანმანათლებლო გამოცდილებას, არამედ რეალურ ტრანსფორმაციულ მექანიზმს სტუდენტის ღირებულებითი, პროფესიული და სამოქალაქო განვითარებისთვის. შესაბამისად, პოლიტიკის დონეზე მობილობის მხარდაჭერა უნდა აღიარებულ იქნას უნივერსიტეტის ხარისხის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად და არა მხოლოდ "დამატებით აქტივობად".

2. უნარებზე ორიენტირებული კურიკულუმის რეფორმა

გამოკვეთილი უნარების (ტრანსფერული, ინტერკულტურული, პროფესიული, თვითორგანიზება) ზრდა პირდაპირ უკავშირდება სწავლების იმ ტიპს, რომელიც ეფუძნება სტუდენტის აქტიურ მონაწილეობას, პრაქტიკულ გამოცდილებას და თვითრეფლექსიას. კვლევის მიგნებები იმოქმედებს იმაზე, რომ აკადემიური კურიკულუმის მოდერნიზაცია უნდა იყოს უნარებზე და გამოცდილებით სწავლებაზე ორიენტირებული.

3. მობილობის სარგებელის გაზიარების სისტემის შექმნა

იმ სტუდენტების გამოცდილება, რომლებმაც წარმატებით განვლეს მობილობის პროგრამა, მნიშვნელოვანია როგორც მენტორული რესურსი და როგორც

საგანმანათლებლო სივრცის გამამრავალფეროვნებელი ფაქტორი. პოლიტიკურად მიზანშეწონილია მათთვის ინსტიტუციური ჩართულობის ფორმალური გზების ჩამოყალიბება (მაგ., “მობილობის კურსდამთავრებულთა კლუბი”, სტუდენტური ტრენერები და ა.შ.).

4. ეთნოკულტურული ტოლერანტობისა და ღირებულებითი ტრანსფორმაციის ხელშეწყობა

კვლევამ დაადასტურა, რომ მობილობაში მონაწილე სტუდენტები ხდებიან ღია, ტოლერანტული და თვითრეფლექსიური მოქალაქეები. აღნიშნული შედეგები ემთხვევა დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების ჩარჩოს, და საჭიროებს ინტეგრირებას როგორც საგანმანათლებლო მიზნებში, ისე სახელმწიფო ახალგაზრდულ პოლიტიკაში.

5. განათლების საერთაშორისო სტრატეგიების დამკვიდრება უნივერსიტეტებში.

ინსტიტუციური დონეზე კვლევა ხელს უწყობს სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებას, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება:

- Erasmus+ საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ინტეგრაცია ხარისხის მართვის მექანიზმებში;
- მობილობის სტატისტიკის მონიტორინგის გაუმჯობესება;
- ცოდნის დაბრუნებისა და გაზიარების გზების სისტემატიზაცია.